ნ. ლიბენკო

**ანთებს ჩემს ლამპარს უფალი**

"ანთებს ჩემს ლამპარს უფალი; ჩემი ღმერთი სინათლედ მიქცევს სიბნელეს" (ფსალმ. 17:29).

# წინასიტყვაობა

ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, როცა ღმერთი, რომლის სახელია **ჭეშმარიტება**, თავს გამოაცხადებს თავისი სიყვარულის ენით გამოუთქმელ ბრწყინვალებაში: მას გულანთებული ელოდება დედამიწის მცხოვრებთა მხოლოდ მცირე რაოდენობა, ის სჭირდება მხოლოდ ცოტას, მათ, ვინც იგი ირწმუნეს მაშინ, როცა საუკუნე შეპყრობილი იყო სულიერი სამყაროსადმი საერთო გულგრილობით, ცოდვიან სიამოვნებათა წყურვილით, სკეფსისით, ამაოებითა და ქარის დევნით.

კაცობრიობის ქრისტესმიერი ხსნის ჩანაფიქრი ჩვენს დროში საკმაოდ ფართოდ, მისაწვდომად და ნათლად არის გაცხადებული იმის წყალობით, რომ ღვთის სიტყვა გავრცელდა შეუდარებელი მასშტაბებით, რასაც ხელი შეუწყო მეცნიერებისა და ტექნიკის არნახულმა განვითარებამ.

და ამის თაობაზე რაიმე ახლის თქმა საკმაოდ ძნელია. აქ გამონაკლისია მხოლოდ საიდუმლო წინასწარმეტყველებათა რომელიმე ნაწილის გაცნობიერება, მათ შორის დანიელისა და გამოცხადების წიგნებისა, რომლებიც უკიდურესად ცხადი გახდება მათი სრული ახდენის მიხედვით.

დილის საკითხავი შედგენილია ქრისტიანებისთვის ცნობილი ჭეშმარიტებებისგან. მათი ცენტრი (ისე როგორც ალფა და ომეგა) არის ღვთის სიყვარული - მის გამოხატვაში, გამოვლინებაში, რეალიზაციაში. როგორც კი დავიწყებთ ამ სიყვარულის გაცნობიერებას, წინ გადაგვეშლება თვალუწვდენელი მარადისობა, რათა შევიცნოთ "ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება". თუ ჩვენ ვართ ნამდვილი მწიგნობრები, ცათა სასუფევლის მოწაფეები, მაშინ აუცილებლად შეპყრობილი ვიქნებით ღვთისმოსაური მისწრაფებით, და დავემსგავსებით ადამიანს, "რომელსაც თავისი საუნჯიდან გამოაქვს ძველი და ახალი".

ამ საკითხავის შედგენისას სირთულეებიც გამოვცადე. ერთი მათგანი კი გამუდმებით არ მასვენებდა: როგორ გადმოვცე მასალა ისე, რომ ის თუნდაც მცირედით მაინც აკმაყოფილებდეს ყველაზე სხვადასხვანაირი აღქმის, ხედვის, აღზრდის მქონე მკითხველებს, ერთი სიტყვით, ყველაზე განსხვავებული სულიერი ასაკის თანამოძმეებს. მაგრამ ამასთან ერთად არ მასვენებდა აზრი და იმედი, რომ ამ საკითხავს შეიძლებოდა გაცნობოდნენ ადამიანები, რომლებსაც ჯერ არ გაუხდიათ ბიბლია თავისი ცხოვრების სინათლედ. და რარიგ ვისურვებდი, რომ ღმერთი ყოველ დილით ანთებდეს ყოველი მკითხველის ლამპარს, და ის აუცილებლად გახდეს "ანთებული და მანათობელი" ამ ქვეყნიერებაზე!

ამის შესახებ მიწევს მხოლოდ ვილოცო უფლის წინაშე!

# იანვარი

**სიყვარული**

„ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი - მასში".

## 1 იანვარი

### ღმერთი სიყვარულია

„ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი - მასში" (1იოან. 4:16).

სამყაროს შემოქმედმა და მმართველმა კაცობრიობას აჩუქა წიგნების კურთხეული და ფასდაუდებელი სერია "საუკუნეთა კონფლიქტი" (ე. უაითი). ბიბლიური გამოცხადების შუქზე საოცარი უბრალოებითა და ეჭვშეუტანელი ტალანტით გადმოცემულია სამყაროს და ჩვენი პლანეტის თავს დატეხილი ენით უთქმელი უბედურება: ბოროტების წარმოშობა და მასთან ბრძოლა. ამ სერიის პირველი ტომი იწყება და მისი ბოლო ტომი მთავრდება ერთი და იმავე მოკლე ბიბლიური ფრაზით, რომელიც სულ ორი სიტყვისგან შედგება. აი, ისინი, ეს ორი ღირსშესანიშნავი და სანუკვარი სიტყვა: "**ღმერთი სიყვარულია**"!

უსასრულო სამყაროში ვერცერთი არსება ვერასდროს ჩაწვდება და ვერც ბოლომდე შეიცნობს ქრისტეს სიყვარულს, "ცოდნას რომ აღემატება"! აქ მას არანაირი მარადისობა არ ეყოფა, არავითარ სიბრძნეს არ ძალუძს, არავითარი ძალისხმევა აქ ვერ უშველის, რათა წარმოიდგინოს ღვთის სიყვარულის სისრულე!

აი, როგორ იწყება სერია "საუკუნეთა კონფლიქტი": "ღმერთი სიყვარულია" (1იოან. 4:16). მისი არსი, მისი კანონი სიყვარულს წარმოადგენს. ასე იყო და ასე იქნება მარად... ღვთის შემოქმედებითი ძალის ყოველი გამოვლინება მისი უსასრულო სიყვარულის გამოხატულებაა... ბოროტებასა და სიკეთეს შორის დიადი ბრძოლის ისტორია, რომელიც ზეცაში დაიწყო და გრძელდება დედამიწაზე ამ ამბოხების საბოლოო ჩახშობამდე და ცოდვის სრულ განადგურებამდე, აგრეთვე ღვთის უცვლელი სიყვარულის მოწმობას წარმოადგენს" (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 7).

და აი, უკანასკნელი სიტყვები ამ სერიის ბოლო წიგნისა: «"დიადი ბრძოლა დამთავრებულია. ცოდვა და ცოდვილნი აღარ არსებობენ. მთელი სამყარო განწმედილია. უფლის უამრავ შექმნილთა შორის დამყარებულია სიხარული და თანხმობა. უსასრულო სივრცის ყოველ მხარეს მოედინება სიცოცხლის მდინარეები, სიცოცხლის და სინათლის ნაკადები **მისგან**, ვინც შექმნა ყოველივე ეს. უმცირესი ატომიდან დაწყებული სამყაროს უდიდესი სისტემებით დამთავრებული - ყოველი სულიერი თუ უსულო, თავის შეურყვნელი სილამაზით და სრული სიხარულით წარმოთქვამს: "**ღმერთი სიყვარულია**"» (დიადი ბრძოლა, გვ. 529).

## 2 იანვარი

### სიყვარულით აღძრული

რადგან თვალწინ მიდგას შენი წყალობა და მივყვებოდი შენს ჭეშმარიტებას (ფსალმ. 25:3).

ბიბლია არის განსაკუთრებული, სპეციალური გამოცხადება - ღმერთი თავის თავს უცხადებს ცოდვილ კაცობრიობას. მასში ნათქვამი და ნაჩვენებია, რომელ თვისებებს ფლობს უფალი ღმერთი, რა ახასიათებს მას, როგორია მისი ღვთიური ბუნება. ღმერთი მარად არსებული, უცვლელი, ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე, ყველგან არსებულია, ეს და სხვა უსაზღვრო ფიზიკური და ინტელექტუალური თვისებები ახასიათებს მის ბუნებას. ღმერთს, როგორც ასეთ უბადლო თვისებათა მფლობელს, მათი რეალიზება

თავის ყველაზე ფანტასტიკურ ზრახვათა განხორციელებაში შეუძლია მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისი ყოფის ზნეობრივი არსი არის სიყვარული - თავისი ბუნების შეუდარებელი უნიკალური თვისება.

სწორედ სიყვარული, და მხოლოდ სიყვარული არის ღვთის ყველა ჩანაფიქრის, სიტყვისა და საქმის დასაწყისი, შუაგული და დასასრული მარადისობის დროიდან და უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ სიყვარულით აღძრულმა ღმერთმა შექმნა უთვალავი რაოდენობა გალაქტიკებისა, ვარსკვლავებისა, ვარსკვლავთა სისტემებისა და კოსმოსური სხეულებისა, რომლებისგანაც უსაზღვრო სამყარო შედგება.

სწორედ სიყვარულით აღძრულმა უფალმა შექმნა ასობით მილიონი ანგელოზი, აგრეთვე სიცოცხლე მისცა უკვდავი სამყაროების უამრავ მცხოვრებს.

სწორედ სიყვარულით აღძრული ღმერთი ყოველ წამს უნარჩუნებს თავის ქმნილებებს სიცოცხლეს უსაზღვრო სამყაროში და ბედნიერებისთვის, სიხარულისა და ნეტარებისთვის უხვად და უანგაროდ უგზავნის მათ თავის ნიჭებს, სიკეთესა და კურთხევებს.

სწორედ სიყვარულით აღძრულმა ღმერთმა სამყაროში - თავის სამეფოში მოაწყო და დაადგინა სრულყოფილი, მარადიული, იდეალური მსოფლიო წესრიგი - უჭკნობ პრინციპებსა და კანონებზე, რომლებშიც ხორცი შეასხა თავის ზნეობრივ არსს.

სწორედ სიყვარულით აღძრულმა ღმერთმა არ წაართვა სიცოცხლე ადამიანს ჩვენს პლანეტაზე მისი შეცოდების გამო, არამედ თავისი სიყვარული მთელი სისრულით გამოაცხადა, როცა თავისი მხოლოდშობილი ძე გამოგვიგზავნა დედამიწაზე, რათა მას გაეწირა სიცოცხლე კაცობრიობის გამოსასყიდად ცოდვისა და სიკვდილისგან.

სწორედ სიყვარულით აღძრულმა ღმერთმა გამოგზავნა სულიწმიდა დედამიწაზე, რათა ცოდვილებს დახმარებოდა, რომ ერწმუნათ იესო და მიეღოთ მისი სიყვარულისა და სიმართლის ძღვენი.

რა საკვირველი თვისება აქვს ღმერთს - **სიყვარული**!

# 3 იანვარი

## "რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი"

სიყვარული არასოდეს მთავრდება ("სიყვარული მარადიულია" (1კორ. 13:8).

ბიბლია საზეიმოდ მოწმობს: ყველაფერს, რასაც ღმერთი აკეთებს, სიყვარულის გამო აკეთებს. მისი საქმეებიც კი, რომლებიც ჩვენი აზრით უსამართლო და სასტიკი ჩანს, ისინიც ჩადენილია სიყვარულის გამო. საჭიროა მხოლოდ ჩავწვდეთ ბიბლიური გამოცხადების არსს, როგორც ოდესღაც ანგელოზმა უთხრა წინასწარმეტყველს: "დანიელ, სასურველო კაცო! ჩასწვდი ამ სიტყვებს, მე რომ უნდა გითხრა" (დან. 10:11).

ღვთის მსახურების (და არა მარტო) დროს ისრაელის ხალხი უძველესი დროიდან ადიდებდა და ემადლიერებოდა ღმერთს. რის გამო და რატომ ემადლიერებოდა, ადიდებდა და თაყვანს სცემდა ხალხი ღმერთს? ერთადერთი მიზეზი: ღვთის სიყვარული, მარადიული და უცვლელი. ფსალმ. 105:1-ში ნათქვამია: "ალელუია! ქებით შემოსეთ უფალი, რადგან კეთილია, წყალობა მისი მარადიულია!"

ორიგინალის სიტყვების აზრში წვდომისას (გადათარგმნილი სიტყვით "კეთილია"), მთარგმნელმა განმარტა, რომ ებრაულ სიტყვას ტოვ-ს აქვს მრავალი მნიშვნელობა, რომელთა გადმოცემაც შეუძლებელია ერთი ან ორი სიტყვით: "კეთილი", "კარგი", "კმაყოფილების გრძნობის მომცემი", და ამიტომ გადაწყვიტა, დაეტოვებინა "კეთილი" (სინოდალური თარგმანი). უფრო სწორი იქნებოდა გადათარგმნა სიტყვით "კარგი". თუმცა გამოთქმა "კარგი ღმერთი" ცოტა უჩვეულოდ იუღერებდა, მაგრამ შინაარსი "კარგი" უფრო ღრმად ახასიათებს ღვთიურ ბუნებას - ის უფრო ვრცელი და ფართოა, ვიდრე "კეთილი". შემდეგ მთარგმნელმა განმარტა, რომ სიტყვას ხესედ, გადათრგმნილს სიტყვით "წყალობა", ასევე აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: "ერთგულება", "წყალობა", "სიყვარული" (იხ. შენიშვნა იგავ. 3:3-ზე). და სავსებით სწორად მოიქცა მთარგმნელი, რომ შეარჩია სიტყვა "სიყვარული" - ღვთის სიყვარულის ახალაღთქმისეული გამოცხადების ფონზე, ღვთისა, რომელმაც თავისი ძე მისცა ტანჯვისა და სიკვდილისთვის ცოდვილის ნაცვლად.. და განა "სიკეთე" არ არის სიყვარულის გამოხატულება? უდავოდ, არის. ამიტომაც ბიბლია ამბობს, რომ ღვთის

მიმართ მადლიერებისა თუ განდიდების მიზეზი ყველა მისი საქმის გამო არის ის, რომ "უკუნისამდეა წყალობა მისი". და ეს ფრაზა მრავალ ფსალმუნში არის, როგორც დიდებული რეფრენი: "ადიდეთ უფალი, რადგან კეთილია, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი" (ფსალმ. 106:1,2; 117:1-4; 135:1-26).

## 4 იანვარი

### საზეიმო რეფრენი

დიდია და საკვირველი შენი საქმენი, უფალო, ღმერთო ყოვლისმპყრობელო! წრფელი და ჭეშმარიტია შენი გზები, ხალხთა მეფეო! (გამოცხ. 15:3).

ნამდვილად ამტკიცებს თუ არა ბიბლია, რომ ღმერთი ყველა მოქმედებას სიყვარულის გამო აღასრულებს, და იმ მოქმედებებსაც კი, რომლებიც მისი ბუნების სიწმიდისა და სრულყოფილების თვალსაზრისით ეჭვებს იწვევს, ასრულებს თუ არა ის მათ სიყვარულით აღძრული? დიახ, ეს უდავო ჭეშმარიტებაა. 135-ე ფსალმუნის ყველა 26 მუხლი ამას ადასტურებს. ამ საოცარი ფსალმუნის ყოველი მუხლი იხსენიებს ღვთის საქმეების ამა თუ იმ ფაქტს სამყაროს შექმნის თუ ისრაელის ისტორიიდან, რომლის გამოც ეკუთვნის განდიდება ან მადლიერება ღმერთს, შემდეგ კი მითითებულია, თუ რატომ აღასრულა მან ეს. ღმერთის საქმეების ფაქტები მოყვანილია სხვადასხვა, მაგრამ მათი განხორციელების მიზეზი კი ერთია: "უკუნისამდეა წყალობა მისი".

ეს საზეიმო რეფრენი ყოველი მუხლის ბოლოს ისმის, როგორც მარადიული და ძლევამოსილი სამყაროსეული ზარის რეკვა, და წარმოადგენს მიუწვდომლად საიდუმლო და მარად სანუკვარი ღვთიური ბუნების საქმეთა კურთხეულ გამოცხადებას. ღმერთი, მაშინაც კი, როცა ქმნის ზეცას, თუ ხალხი მიჰყავს უდაბნოში, თუ მას ქანაანს აძლევს სამკვიდროდ, თუ საკვებს უგზავნის ყველა ცოცხალს - ყველაფერს, ყველაფერს აღასრულებს იმიტომ, რომ "უკუნისამდეა წყალობა მისი".

მაგრამ ღვთის საქმეთა ჩამონათვალში არის ასეთებიც: "განგმირა ეგვიპტელნი თავიანთი პირმშოებითურთ", "ჩაღუპა ფარაონი და მისი ჯარი" და სხვა. შემდეგ ყველა

შემთხვევის დროს დასახელებულია ღვთის მოქმედების ერთი და იგივე მიზეზი: "უკუნისამდეა წყალობა მისი". ხომ არ გვაშფოთებს აზრი, რომ განადგურება და მოკვლა არ არის ღმერთის საქმე, ეს არ არის მისი სიყვარულის თვისება - მაშ, რატომ იღუპება ფარაონი და მისი ლაშქარი ზღვაში? და იქნებ, დავფიქრდეთ იმაზე, რომ ფარაონს განზრახული ჰქონდა რჩეული ხალხის მოსპობა, როცა მისთვის მოაწყო, ერთი მხრივ, საკონცენტრაციო ბანაკები, ხოლო მეორე მხრივ, ნამდვილი გენოციდი, როცა ყოველ ახალშობილს კლავდნენ? და ისმის კითხვა, რა მიზნით შეყარა ჯარი და დაედევნა ისრაელიანებს? მას სურდა მოეწყო სასაკლაო - სასტიკი, უკანასკნელი ხოცვა-ჟლეტა სრულიად უდანაშაულო ადამიანებისა. უფალმა დაიცვა თავისი ხალხი, რისთვისაც ჩადგა ფარაონის ჯარისა და ისრაელიანების შუა. და როდესაც ხალხი ნაპირზე გავიდა, კედლებად აღმართული წყალი შეერთდა, და ფარაონმა მოიმკო ის, რასაც თესავდა - სიკვდილი. ბოროტება, რომელიც სურდა, ისრაელისთვის მიეყენებინა, მის თავზე მობრუნდა...

## 5 იანვარი

### ღვთის დიდება

რადგან შეგიყვარა შენ უფალმა, შენმა ღმერთმა (რჯლ. 23:5[6]).

იცოდა თუ არა ისრაელის ხალხმა ფუძემდებლური ჭეშმარიტება, რომ ღმერთისა და მისი რჯულის სულიერი, ზნეობრივი არსი სიყვარულია? არც თუ ისე ბევრმა, თანაც ძალიან ნაკლებად იცოდა ეს ჭეშმარიტება. მოსემ, რომელსაც ღმერთთან, რასაც ჰქვია, პირისპირ ჰქონდა ურთიერთობა, ერთხელ მას მიმართა ცოდვილებისთვის გაუგონარი თხოვნით: "მაჩვენე შენი დიდება", ანუ უფლება მომეცი, შენი სახე ვიხილო. ასეთი უჩვეულო თხოვნით მოსეს შემთხვევით არ მიუმართავს ღმერთისთვის.

საუბრის დროს ერთხელ უფალმა უთხრა მოსეს: "მე თავად წამოვალ და დაგასვენებ შენ" (გამ. 33:14). ორიგინალში სიტყვასიტყვით ასეა ნათქვამი: "ჩემი სახე წამოვა შენთან ერთად" (იხ. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის თარგმანი). და მოსემ იქვე სთხოვა: "თუ

შენ თავად არ წამოხვალ, ნუ გაგვიყვან აქედან", ანუ სიტყვასიტყვით: "თუ შენი სახე არ წამოვა ჩვენთან ერთად". სავარაუდოა, მოსემ ჩათვალა, რომ სწორედ დროა, ღმერთს სთხოვოს უფლება, შეხედოს მის სახეს. ხომ სწორედ ღვთის სახე უნდა გამოხატავდეს ენით აუწერელ სილამაზესა და დიდებულებას - მის დიდებას. და უფალმა აღუთქვა, რომ "ამას აუცილებლად გააკეთებს" (იხ. გამ. 33:19): "მე ჩამოვატარებ მთელ ჩემს სიკეთეს შენს წინაშე და წარმოვთქვამ უფლის სახელს შენს წინ".

ღვთის დიდება - ესაა გარეგანი და შინაგანი, ფიზიკური და სულიერი (ზნეობრივი) ღვთიური ბუნების აბსოლუტური ერთიანობა. ამიტომ აღუთქვა უფალმა მოსეს, რომ "წარმოვთქვამ უფლის სახელს (ებრ. იაჰვე) შენს წინ" (იხ. გამ. 33:19). ამით ღმერთმა მოსეს აჩვენა, რომ ფაქტობრივად თვითონაა მთავარი ღვთიური დიდების ბუნებაში. და უფალი გამოეცხადა მოსეს «და გაიარა უფალმა მის წინაშე, და წარმოთქვა: "უფალი, უფალი, ღმერთი შემბრალე და მოწყალე, სულგრძელი და დიდად მოწყალე, და ჭეშმარიტი, ინახავს წყალობას ათასებისათვის, შეუნდობს ბრალს და დანაშაულს, და ცოდვას» (გამ. 34:6,7).

აი, ღვთის დიდების გამოცხადება: ღმერთის მიერ ჩამოთვლილი თვისებები შეადგენენ მის უცვლელ სიყვარულს. მოსე, როცა ისრაელს მოუთხრობდა მის მიერ განვლილ გზას, ცდილობდა, დაერწმუნებინა და ჩაეგონებინა ფასდაუდებელი ჭეშმარიტება: ღმერთი სიყვარულია (იხ. რჯლ. 4:37; 7:8; 10:15; 23:5; 33:3).

ამიტომაც გალობდა ისრაელი ერთ-ერთ თავის სადღესასწაულო ჰიმნში: "

«იტყვის ისრაელი: "მართლაც უკუნისამდეა წყალობა მისი!"

იტყვის სახლი აარონისა: "მართლაც უკუნისამდეა წყალობა მისი!"

იტყვიან მოშიშნი უფლისა: "მართლაც უკუნისამდეა წყალობა მისი!"» (ფსალმ. 117:2-4).

# 6 იანვარი

## მსხვერპლის გამღები სიყვარული

როგორც მამამ შემიყვარა მე, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ (იოან. 15:9).

უმძიმეს ღრმა ლოცვაში, რომელიც თავისი წამების წინა დღეს წარმოთქვა უფალმა, მამას უთხრა: "შენი სახელი გამოვუცხადე ადამიანებს, რომლებიც შენ მომეცი სოფლისგან" (იოან. 17:6). უფალი, რომელიც ოდესღაც თავის დიდებას და თავის სახელს უცხადებდა მოსეს, ახლა, ცოდვილ მიწაზე, ცოდვილი ადამიანის სხეულში მოვიდა, და ღვთიურ არსს ავლენს ასეთი გზით - სიყვარულით. სწორედ სიყვარულმა ჩაადენინა უფალს მთელი ვრცელი სამყაროსთვის უნახავი და გაუგონარი გმირობა: მან მიიღო მონის სახე, დაკნინდა, თავს ჩამოართვა ღვთიური ბუნება, დაექვემდებარა სატანის უსასტიკეს განსაცდელებს, დასცინეს, დაამცირეს, ცილი დასწამეს, შეარცხვინეს და ჯვარს აცვეს - თავს დაატეხეს ულმობელი, მხეცური, საშინელი სასჯელი, როგორც ყველაზე გამოუსწორებელ ბოროტმოქმედს.

მაინც რატომ წავიდა უფალი ასეთ დამცირებასა და სიკვდილზე? აქ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პასუხი: იმიტომ, რომ მას უყვარდა ადამიანები. ცოდვილი ადამიანები უყვარდა? დიახ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებმა წუთისოფლის დასაბამიდან უგულებელყვეს შემოქმედის ავტორიტეტი, ამჯობინეს ცხოვრების ცოდვილი წესი, როცა ღვთისმგმობნი გახდნენ, ღმერთს უყვარდა ისინი. და მისი სიყვარული იმდენად უსაზღვრო და უკიდეგანო იყო, რომ ის მზად იყო, ნებისმიერი სიკვდილით მომკვდარიყო ცოდვილთა გამო, გადაეტანა ნებისმიერი ტანჯვა, ოღონდაც მათ შეეცნოთ, მისკენ მოქცეულიყვნენ და მისი სიყვარულისთვის ეპასუხათ. ეს, როგორც მოციქული ამბობს, "დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო: ღმერთი გამოჩნდა ხორცში"!

იოანე მოციქული, ღვთისმეტყველებაში სიყვარულის მოციქულად წოდებული, ამ საიდუმლოზე წერდა: "ღვთის სიყვარული იმით გამოგვეცხადა, რომ ღმერთმა მოავლინა სოფელში თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა მისით ვიცოცხლოთ. ამაშია სიყვარული, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა და მოავლინა თავისი ძე ჩვენი ცოდვების მოსატევებლად" (1იოან. 4:9,10). აი, ღვთის

სიყვარულის საიდუმლო! ეს ღმერთი - წმიდა, მართალი, უნაკლო - თავის თავზე იღებს ცოდვილთა დანაშაულს და მათი ცოდვების გამო ისჯება. აი, მისი სიყვარული! ის მსხვერპლის გამღები სიყვარულია! აი, მისი უბადლო სიყვარულის დიდებულება! ეს საოცრად პარადოქსული სიყვარულია ღვთისა!

## 7 იანვარი

### "ცოდნას რომ აღემატება"

აჰა, მაღალია ღმერთი და ვერ შევიცნობთ მას (იობ. 36:26).

ღმერთი უკიდეგანოა თავის ყველა თვისებაში. მისი სიყვარული არ არის გამონაკლისი - ისიც უსაზღვრო, მიუწვდომელი, ამოუწურავია. ეს კი ნიშნავს, რომ მთელი მოცულობით განსაზღვრება, თუ რა არის ღვთის სიყვარული, ასევე მისი შეცნობაც შეუძლებელია ჩვენი შეზღუდულობის გამო. და მაინც ადამიანები, ღმერთის მიერ შექმნილი მის მსგავსად და ხატად, ფლობენ უნარს, შეიცნობდნენ თავიანთ შემოქმედს: მის ნებას, სიყვარულსა და მისი ღვთიური ბუნების სხვა თვისებებს. მართალია, ადამიანისთვის ბოძებული უნარები მისი ცოდვისადმი მონობისა და ღმერთისგან განშორების გამო ერთობ დასუსტებულია და ღმერთის - მისი თვისებების, ნების, საქმეების შეცნობა - მძიმე შრომაა, და ღვთის უშუალო დახმარების გარეშე შეუძლებელია.

აი, როგორ აღწერს ბიბლია ადამიანის მდგომარეობას, როცა რაიმე ნაბიჯებს დგამს და ცდილობს შეიცნოს ღმერთი: "გავიხსენებ ღმერთს და ვკვნესი, ვისაუბრებ და უძლურდება ჩემი სული" (ფსალმ. 76:4). "მაოცებს - როგორ შემიცან ასე, მაღალია, ვერ შევწვდები მას" (ფსალმ. 138:6).

ამიტომაც პავლე მოციქული, თავის თავზე რომ ჰქონდა გამოცდილი, თუ რას ნიშნავს ცდილობდე, უფლის დახმარების გარეშე შეიცნო მისი სიყვარული, თავის ძმებს - თანამედროვეებს წერდა ეფესოში (რომ უფრო ღრმად გავიგოთ ღვთის მსახურის ამ ღვთივშთაგონებული დარიგების არსი, კარგი იქნება, მისი მოყვანა სხვა თანამედროვე

თარგმანშიც): "ამისათვის ვიდრეკ მუხლს მამის წინაშე, ვის მიერაც იწოდება ყოველი მამობა ცაში და ქვეყანაზე, რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრით, თავისი სულით შინაგან კაცში განსამტკიცებლად. ქრისტეს დასამკვიდრებლად რწმენით თქვენს გულებში, და იყოთ თქვენ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში, რათა შეძლოთ ყველა წმიდასთან ერთად ჩაწვდეთ, რა არის განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე, და შეიცნოთ ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით" (ეფეს. 3:14-19).

აი, პარადოქსული ჭეშმარიტება: მიუწვდომელის შეცნობა! მაგრამ სხვანაირად ვერც იქნება, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს ღმერთთან, რომელიც უკიდეგანოა თავის თვისებებში.

ო, რა საოცარი, ღვთისმოსაობაში და აღტაცებაში მომყვანია ღვთის სიყვარული!

## 8 იანვარი

### შემეცნების სკოლა

ჩვენ ვცანით და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს (1იოან. 4:16).

ღმერთის, მისი სიყვარულის შეცნობა არ არის ერთდროული მოქმედება და არც ერთხელ და სამუდამოდ აღსრულებული აქტი, არამედ სათუთი ზრდის პროცესია. მოციქული მოგვიწოდებს: "არამედ აღიზარდეთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მადლით და ცოდნით" (2პეტრ. 3:18). და ეს პროცესი მარადიულად გაგრძელდება. ამიტომ სიტყვებით, "ვცანით სიყვარული", მოციქულს მხედველობაში ჰქონდა, რომ მათ შეიმეცნეს ქრისტეს სიყვარულის გარკვეული მოქმედება. მაინც რომელი? ამ კითხვას თავად მოციქული პასუხობს: "ამით შევიცანით სიყვარული, რომ მან საკუთარი სული გაწირა ჩვენთვის" (1იოან. 3:16). დიახ, მოციქულებმა ქრისტეს სიკვდილის შესახებ იცოდნენ არა გადმოცემებით, არამედ მართლა იყვნენ უფლის ტანჯვისა და სიკვდილის მოწმეები, და ნამდვილად: "ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ძალი და მოსვლა ბრძნული იგავების მოყოლით კი არ გაუწყეთ, არამედ მისი სიდიადე

საკუთარი თვალით ვიხილეთ". ამიტომაც მათ სრული დარწმუნებით შეეძლოთ ეთქვათ, რომ იციან, ვინც ირწმუნეს.

ამიტომ ის წლები, რაც მოციქულებმა უფლის გვერდით გაატარეს, თვით მის ამაღლებამდეც კი, მათთვის იყო კურთხეული სკოლა ღვთის სიყვარულის შეცნობის ზრდაში. და ეს ზრდა, უფლის შეცნობაში ეს სრულყოფილებამდე სვლა მათთვის იოლი არ ყოფილა. ჰქონდათ შეცდომები, ეჭვები, ვერ ხვდებოდნენ იესოს სიტყვებსა და საქმეებს. ყველაფერი იყო. და რა დიდი უპირატესობა ჰქონდათ მათ - თავად უფლის ბაგეებიდან მოესმინათ რჩევები, დარიგებები, რომლებიც მათ ეხმარებოდა, თავიდან აერიდებინათ მცდარი თვალსაზრისი, ურწმუნოება, შეზღუდულობა, უმეცრება. ეს იყო მათი გამოცდილება დიადი ღმერთისა და მისი სიყვარულის შეცნობის შეძენისა.

მაგრამ ღვთის სიყვარულის შეცნობა არის მხოლოდ პირადი გამოცდილება და პროცესი, რომელიც მოითხოვს ურყევ რწმენას, მაქსიმალურ ძალისხმევას, ღმერთზე მორჩილ დამოკიდებულებას, განუწყვეტელ წყურვილს წარმატების მიღწევისა სულიწმიდის ძლევამოსილი ძალის ზეიმის რწმენაში. ამ შემეცნების გზაზე მოსალოდნელია მძიმე ბრძოლა საკუთარ თავთან, ბოროტების ძალებთან და ღმერთთან. იცოდე, რომ დასჯილი იყო თავად უფალი, იცოდე, რომ სასტიკ სიკვდილზე ის წაიყვანა ცოდვილისადმი სიყვარულმა, იცოდე, რომ მას სწყურია, შემოვიდეს ჩვენი სულის ტაძარში - ეს უმაღლესი ცოდნა შეიძლება შეიძინო მხოლოდ უფლის დახმარებით და მის სკოლაში. მისი სიყვარულის შეცნობის ეს სკოლა უნდა გაიაროს ღვთის ყველა ჭეშმარიტმა შვილმა ყოველ საუკუნეში.

## 9 იანვარი

### ღვთის სიყვარული კარგია

ამრიგად, რჯული წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი (სიტყვასიტყვით კარგი) (რომ. 7:12).

მაინც როგორია ღვთის სიყვარული, თუკი შევეცდებით მივცეთ ყველაზე განზოგადებული განსაზღვრება - კარგი თუ ცუდი? ბიბლია არ იძლევა პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე. მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით მისი მოწმობების არსს, მაშინ შეიძლება, ღვთის სიყვარულს უშეცდომო განსაზღვრება მივცეთ.

ზნეობრივი, სულიერი რჯული ღვთისა - ათი მცნება - გამოხატავს ღმერთის ხასიათს, მის სულიერ, ზნეობრივ არსს - მის სიყვარულს. პავლე მოციქული წერდა: «რადგან: "არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუმოწმე, არ ინდომო" და სხვა რამ მცნებაც შედის ამ სიტყვაში: "გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი"» (რომ. 3:9). მაინც როგორია რჯული? "ამრიგად, რჯული წმიდაა, - წერდა ამავე წერილში მოციქული,- მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი" (რომ. 7:12). (თანამედროვე თარგმანებში ნაცვლად სიტყვისა "კეთილი" ერთსულოვნად იყენებენ სიტყვას "კარგი", და ეს ორიგინალთან უფრო ზუსტი და სწორია. ამგვარად, თუკი ღვთის რჯული და მცნება არის წმიდაც და კარგიც, მაშინ ღვთის სიყვარულიც (რჯულში გამოხატული) წმიდა და კარგია.

3 იანვრის საკითხავში ბიბლიის ფონზე იყო გამორკვეული, რომ მართებულია ღმერთის განდიდება ან მადლიერება, რადგან ის კეთილია (ანუ კარგია) და იმიტომ, რომ მას გააჩნია სიყვარული, და ისიც კარგია.

ძალიან მნიშვნელოვანია ათვისება ამ ჭეშმარიტებისა ღმერთის შესახებ, რომ ის და მისი არსი - სიყვარული - კარგია. ეს ხომ ლუციფერმა, რომელიც სიამაყემ და პატივმოყვარეობამ გადარია, წამოიწყო ღმერთის საწინააღმდეგო ამბოხი ზეცაში, ავრცელებდა ცილისწამებას, სიცრუესა და გმობას მასზე, და ამტკიცებდა, რომ ღმერთი სასტიკი, ქედმაღალი, ძალაუფლების მოყვარულია, ერთი სიტყვით, ღმერთი ცუდია და მისი მმართველობაც ცუდია. და კაცობრიობაც ისე, როგორც ადრე არასდროს, დღეს ყველაფერში, რაც დედამიწაზე უბედურება ხდება, მთელი ხმით ღმერთს ადანაშაულებს.

ღვთის ჭეშმარიტი შვილები, რომლებმაც მთელი არსით შეიცნეს ღმერთი და თავის თავზე გამოსცადეს მისი სიყვარულის ზეგავლენა, ცოცხალი მოწმეები იქნებიან წუთისოფელში იმისა, რომ ღმერთი საოცრად კეთილი, კარგი და მშვენიერია!

## 10 იანვარი

### ღვთის ოქრო

მაგრამ მან (ღმერთმა) იცის ჩემი გზა-სავალი, გამომცდის, ოქროსავით გამოვალ (იობ. 23:10).

ნებისმიერი არსება (ანგელოზი, ადამიანი, ცხოველი), ნებისმიერი მოვლენა, მებისმიერი მოქმედება შეიძლება იყოს ან კარგი, ან ცუდი. ერთი ნიშნის მიხედვით შეუძლებელია გაკეთდეს დასკვნა რომელიმე ადამიანზე, რომ ის კარგია, უნაკლოა, ან პირიქით, ცუდია, უწესოა. ამაზე უძველესი დროიდან კამათობდნენ.

ბიბლიის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ წიგნში - იობის წიგნში აღწერილია ფენომენალური კამათი იმის შესახებ, თუ როგორია იობი. თავიდან ეს მიმდინარეობდა ზეცაში, სამყაროსეულ დონეზე, ღმერთსა და სატანას შორის, შემდეგ კი დედამიწაზე იობის სამ ვაი-მეგობარსა და თავად იობს შორის.

უფალი ამტკიცებდა, რომ იობი სპეტაკი, კარგი ადამიანია, სატანა კი კატეგორიულად უარყოფდა ღმერთის აზრს და სთავაზობდა, იობი გამოეცადათ. უფალი დათანხმდა და სატანას ნება მისცა, რომ ნებისმიერი საშუალებით, როგორითაც კი მოისურვებდა, გამოეცადა იობი, მხოლოდ სიცოცხლის წართმევის უფლება არ ჰქონდა. სატანამ მაშინვე გამოაჩინა, თუ როგორია თვითონ და რა შეუძლია: იობის ყველა შვილი მოკლა, მთელი მისი სიმდიდრე გაანადგურა, იობი კი სასტიკი კეთრით დაასნეულა. უფრო მეტიც, ცოლი (თითქოს სხვას ვის, თუ არა მას უნდა გაემხნევებინა ტანჯული კაცი) ურჩევდა ქმარს, იობს, რომ მისთვის ყველაზე კარგი იქნებოდა, თუ დაწყევლიდა ღმერთს და მოკვდებოდა.

ყველაფრის დასასრულს, მისმა სამმა მეგობარმა, რომლებიც იობთან მოვიდნენ თანაგრძნობისა და ნუგეშის გამოსახატავად, იმ დროისთვის გამორჩეული ღვთისმეტყველური შემეცნების გამოყენებითა და ორატორული ხელოვნების ყველა ხერხის მოშველიებით რიგრიგობით, უმოწყალოდ დაიწყო იობის ბრალდება იმაში,

რომ ყველა უბედურება მოეწია სხვა არაფრის, თუ არა მისი უწესო ცხოვრების გამო. იობი, როგორც შეეძლო და ახერხებდა, თავს იცავდა თავისი მდევნელების, და არა მანუგეშებლების, თავდასხმებისგან, მათ სინდისისკენ მოუწოდებდა, ეყრდნობოდა თავად ღმერთს და აჩვენებდა, რომ თავის ცხოვრებაში ცუდი არაფერი ჩაუდენია.

ამ კამათს წერტილი თავად ღმერთმა დაუსვა - მან თავისი სამსჯავრო გამოიტანა: ჩემი ერთგული მსახური სიმართლეს ამბობდა ჩემზე, თქვენი მსჯელობა კი უგუნურობაა (იხ. იობ. 42:8). დაე, თქვენზე ილოცოს იობმა, თორემ თქვენ სასჯელს იმსახურებთ. იობი ასეც მოიქცა.

მძიმე განსაცდელებმა დაამტკიცა, რომ ღმერთი მართალი იყო, როცა ამბობდა: იობი უმწიკვლო, კარგი კაცია. და მართლაც: იობი ნამდვილი ღვთის ოქროა.

## 11 იანვარი

### სრულქმნილების კავშირი

და ყოველივე ამას დაურთეთ სიყვარული, რაც სრულქმნილების კავშირია (კოლ. 3:14).

ღვთის წყალობით ჩვენ გავარკვიეთ და ბიბლიის დახმარებით დავრწმუნდით, რომ ღვთის სიყვარული კარგია. დიახ, ეს ზნეობრივი, სულიერი არსი სამყაროს შემოქმედისა მმართველისა ჭეშმარიტად საოცარი და იდუმალია.

ამ ელემენტარული ჭეშმარიტების პოვნა ადვილი არ არის. მასში დარწმუნება სულაც არაა მარტივი. მაგრამ მისი ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია. ღვთის მსოფლიომოწყობის შეცნობისას, სულიერი და ზნეობრივი პრობლემების არსზე პასუხების პოვნის მცდელობისას, ადამიანები ამ ფაქტს ეხლებოდნენ ყველა საუკუნისა და დროის განმავლობაში.

სახელგანთქმული სოკრატე, ძველი დროის ერთ-ერთი ნიჭიერი მოაზროვნე, ცდილობდა ეპოვა ჭეშმარიტება, პასუხები მარადიულ კითხვებზე, და ამ მიზნით ხშირად გამოდიოდა მოედანზე ათენში და თანამედროვეებს უსვამდა კითხვებსა და

პრობლემებს, რომლებიც მას აწუხებდა. მის დროს ბატონობდნენ სოფისტები, რომლებიც უარყოფდნენ სულიერი სამყაროს გამოვლინებებს და ყველაფრის საფუძვლად თვლიდნენ მატერიას. სწორედ ამ სისტემის ფუძემდებელს ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: "ადამიანი არის ყველა ნივთის საზომი". აი, ასეთი ბრძენების წინაშე აღმოჩნდა სოკრატე. "ისინი ამტკიცებდნენ, რომ შეუძლიათ ყველას ასწავლონ სხვადასხვა სახის სიკეთის შეძენის საშუალებები; სოკრატე ამბობდა, რომ წინააღმდეგი არ არის, მათგან ისწავლოს, მაგრამ სურს, ჯერ იცოდეს, თუ რა არის სიკეთე, რომელიც შეუძლია მიიღოს? და როდესაც სოფისტები პასუხად უთითებდნენ ძალაუფლებაზე, სიმდიდრეზე, სიამოვნებაზე, ის პასუხობდა, რომ ეს ყველაფერი ცალკეული სიკეთეებია, მას კი სურს იცოდეს, რა არის სიკეთე ზოგადად, რომლის ყველა კერძო სიკეთე თავის დასახელებას ღებულობს? მან მოითხოვა ზოგადი განსაზღვრება, სოფისტებმა კი ვერ შეძლეს მისი მიცემა..." (ბ. ჩიჩერინი). და შემთხვევითი არ არის, რომ ისინი ჩამოვიდნენ ისტორიის სცენიდან.

როგორც მატერიალური, ისე სულიერი სამყაროს შეცნობას თავისი კანონზომიერებები აქვს. ასე შექმნა ღმერთმა ყველაფერი, ის ავტორია ყველა კანონისა, რომლებიც სრულყოფილი, უჭკნობი, მარადიულია. ადამიანი შექმნილია, რათა შეიცნოს ღმერთი - მისი უსაზღვრო თვისებები, მისი კანონები, სამყაროს მისმიერი მართვა. და ყველაფერზე უწინ და ყველა სიკეთეზე მაღლა მართებულია შეცნობა მისი სიყვარულისა - "სრულქმნილების კავშირისა", "ზოგადი სიკეთისა", რომლებშიც ყველა სხვა სიკეთეები იძენენ აზრს, და რომელიც არის ღვთის უსასრულო სასუფევლის არსის საფუძველი.

## 12 იანვარი

### ღვთის სიყვარულის გამოხატვა

აღმიხილე თვალნი და ვჭვრეტდე საოცრებებს შენი რჯულისას! (ფსალმ. 118:18).

თუკი ღვთის სიყვარული შეიძლება დახასიათდეს ერთი სიტყვით "კარგი", მაშინ აუცილებლად ჩნდება კითხვა: როგორ გამოხატა, როგორ გახსნა თავისი თავი ღმერთმა? სიყვარული, რომელიც არის ღვთის ზნეობრივი არსი, თავად მან გამოხატა ზნეობრივ კანონში და მთელი სამყაროს გონიერ არსებებს დაავალა, ამით ეხელმძღვანელათ მასთან და ერთმანეთთან ურთიერთობებში. უფალმა სწორედ ეს კანონი გამოუცხადა რჩეულ ხალხს ყველას გასაგონად. რაც შეეხება მრავალრიცხოვან მცნებებს, დადგენილებებს, წესდებებს, ისინი მხოლოდ განმარტავდა ათი მცნებიდან ერთ-ერთის არსს და მოსემ ჩაიწერა უფლის ნებით. ათი მცნებიდან ცხრა მოცემულია აკრძალვით ფორმაში, რაც ნიშნავს, რომ ღვთის სიყვარულს არ ახასიათებს და მისთვის აბსოლუტურად უცხო და დაუშვებელია ღვთის გონიერი ქმნილებების უზნეო ცხოვრების წესი - ცხოვრება რჯულის საწინააღმდეგოდ, ცხოვრება მცნებების დარღვევით, რომელსაც ტანჯვის, ქაოსის, დეგრადაციისა და სიკვდილისკენ მიჰყავს ისინი.

ღვთის რჯულის ყოველი მცნება ეხება ცხოვრების გარკვეულ სფეროს, და ამ სფეროს არ გააჩნია საზღვრები და მიჯნები. ეს ძალიან ზუსტად გამოხატა მეფსალმუნემ: "ყოველნაირი სრულქმნილების მინახავს ბოლო; მაგრამ ვრცელია შენი მცნებანი ფრიად". რუსეთის ბიბლიური საზოგადოების თარგმანში ეს ტექსტი ასეა გადმოცემული: "ყოველ სრულქმნილებას გააჩნია ბოლო, მაგრამ უსასრულოა მხოლოდ შენი მცნებები" (ფსალმ. 118:96). ისინი, მცნებები, ამტკიცებს უდავო ჭეშმარიტებას: მათში გამოხატული ღვთის სიყვარული არის უჭკნობი საფუძველი ღვთიური კეთილმოწყობისა, რომლის წყალობითაც შესაძლებელია ბედნიერება და კეთილდღეობა სამყაროში გონიერი არსებებისთვის.

ღვთის რჯული, რომელიც ლაკონურად და კონკრეტულად განსაზღვრავს, თუ რა არის ურჯულოება და ცოდვა, უსიტყვოდ წმიდაჰყოფს უსაზღვრო შესაძლებლობებს ყველა ადამიანისთვის, რათა "სიყვარულით ვემსახურებოდეთ ერთმანეთს" (გალ. 5:13), და "ჭეშმარიტების მეტყველნი სიყვარულით, ყველაფერში ვიზრდებოდეთ მის მიმართ, ვინც არის თავი - ქრისტე" (ეფეს. 4:15).

ღვთის რჯული - ესაა ჭეშმარიტად სიტყვებში ხორცშესხმული სასწაული ღვთის სიყვარულისა, და ამიტომ მეფსალმუნე ევედრებოდა ღმერთს, რომ მან აუხილოს თვალნი, რომ დაინახოს მისი რჯულის საოცრებები (იხ. ფსალმ. 118:18).

## 13 იანვარი

### არაფორმალური შეცნობა

არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ (ფსალმ. 1:2).

შეიძლება გვაწუხებდეს, გვაბნევდეს აზრები: ნუთუ ღმერთისა და ადამიანის (და სამყაროში ნებისმიერი გონიერი ქმნილების) ზნეობრივი ურთიერთობების ყოვლისმომცველი სამყარო შეიძლება გამოიხატოს ღვთის რჯულის ოთხ მცნებაში? ნუთუ ადამიანთა შორის ურთიერთობათა უზარმაზარი სამყარო შეიძლება გამოიხატოს ან დაეტიოს დეკალოგის (ათი მცნების) ექვს მოკლე მცნებაში? ნუთუ ღმერთის ზნეობრივი არსი - მისი უკიდეგანო სიყვარული, "ცოდნას რომ აღემატება", შეიძლება ათ მცნებაში გამოიხატოს?

მსგავს აზრებში არაფერია ცუდი. პირიქით, თუ მსგავსი აზრები ჩვენს სულში არ ჩნდება და არ გვაწუხებს, ეს იმას მოწმობს, რომ ღმერთის შესახებ ჩვენი შემეცნება ზედაპირულია და არ გვაქვს ინტერესი, გამუდმებით ვუღრმავდებოდეთ ღვთიურ გამოცხადებას. მსგავსი სულიერი მდგომარეობა არის მდგომარეობა მდიდარი ჭაბუკისა, რომელმაც ჰკითხა უფალს, რა სიკეთე უნდა გააკეთოს, რათა საუკუნო სიცოცხლე დაიმკვიდროს. და როდესაც უფალმა უთხრა, რომ ამისთვის საჭიროა ასრულებდეს ღვთის რჯულის მცნებებს, შემდეგ კი კონკრეტულად ჩამოუთვალა ზოგიერთი მათგანი, ჭაბუკმა თავდაჯერებით განაცხადა: "ყოველივე ამას ვიცავდი". შემდგომი საუბარი და ჭაბუკის რეაქცია, რაც ამას მოჰყვა, მოწმობდა იმას, რომ მას ღვთის რჯული, მისი არსი აშკარად ზედაპირულად ესმოდა.

ბიბლია ამბობს, რომ ღვთის რჯული არა მარტო ზეპირად უნდა ვიცოდეთ, არამედ ვიკვლევდეთ მას, ვიჭრებოდეთ მის არსსა და სულში, და "ჩავწვდეთ, რა არის განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე" (ეფეს. 3:18) ქრისტეს სიყვარულისა, რომელიც გამოხატულია მის მცნებებში. იაკობ მოციქული მორწმუნეებს მოუწოდებს, რომ ნეტარია ის, "ვინც ჩაუკვირდება თავისუფლების სრულყოფილ რჯულს და ასე განაგრძობს, მომსმენი და დამვიწყებელი კი აღარაა" (იაკ. 1:25).

აი, როგორ ექცევიან რჯულს ჭეშმარიტი ღვთისშვილები: "რარიგად მიყვარს რჯული შენი! ის არის ჩემი საფიქრალი დღენიადაგ", "განმამტკიცე და გადავრჩე, ასეა ჩემი შველა და ჩავწვდები შენს წესდებებს ყოველთვის" (ფსალმ. 118:97, 117). "შენი რჯული სასიამოვნოა ჩემთვის" (ფსალმ. 118:174). როცა დაჟინებით ვიფიქრებთ, ჩავუღრმავდებით, ვილოცებთ და დავემორჩილებით, აუცილებლად გამოვცდით გონების განათებას ზეციდან: "მორჩილი ვარ შენი: გონიერმყავ, რათა შევიმეცნო მოწმობანი შენი" (ფსალმ. 118:125).

## 14 იანვარი

### რჯული სულიერია

კეთილი აზრი და გაგება მასწავლე, რადგან ვირწმუნე შენი მცნებანი (ფსალმ. 118:66).

უფალი ხალხს ასწავლიდა ღვთის რჯულის სულიერი არსის შეცნობის აუცილებლობას: «გსმენიათ, რომ თქმულა: "არ იმრუშო", მე კი გეუბნებით, რომ ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში» (მათ. 5:27,28). პავლე მოციქულმა, რომელიც ამბობდა, რომ "რჯული სულიერია", განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ღვთის მცნების საოცარ ფუნქციას: «ვერც გულისთქმას შევიცნობდი, რჯულს რომ არ ეთქვა: "არ ისურვო"» (რომ. 7:7). ღვთის რჯული არის გამოცხადება ღმერთის ხასიათისა, მისი არსისა - სიყვარულისა, და მას უნდა ვექცეოდეთ უდიდესი პასუხისმგებლობით, გულწრფელი სურვილითა და განუწყვეტელი ძალისხმევით, რათა ვწვდებოდეთ მის დიდებულებასა და სრულყოფილებას.

ებრაელი ღვთისმეტყველები და თორას (რჯულის) მცოდნეები მეტად გულმოდგინედ სწავლობდნენ ღვთიურ გამოცხადებას, როცა მასში თითოეულ ასოსაც კი მნიშვნელობას ანიჭებდნენ, და ზოგიერთ მათგანთან ეს უკიდურესობამდე მიდიოდა. მ. ბუბერი მოგვითხრობს ერთ რაბინზე, რომელიც ამბობდა: "თორა შეუცვლელია, და მისი ყველა ასო ღრმა მნიშვნელობით არის აღსავსე. არა მარტო ასოები, არამედ მათ შორის მანძილებიც აღვსილია მნიშვნელობით, ოღონდ ჩვენ არ გვაქვს უნარი მათი წაკითხვისა. მაგრამ დადგება დრო, და ღმერთი გაგვიხსნის თორას ასოებს შორის მანძილების აზრს".

შეიძლება აღტაცებაში მოხვიდე, როცა ხედავ, თუ როგორ თავგამოდებას იჩენენ ადამიანები ღმერთის თაყვანისცემასა და ჭეშმარიტების ძებნაში, მაგრამ უაზრო ეიფორიაში გადავარდნა, მატერიალური სიმბოლოების გაღმერთება და ჭეშმარიტი რელიგიის ფეტიშიზმად გადაქცევა აბსურდია. პავლემ გამოსცადა ეს გზა ცრუ ღვთისმოსაობისა, რომელსაც უეჭველ ფანატიზმამდე მიჰყავდა, და გულისტკივილით წერდა: "ძმებო! ჩემი გულის სურვილი და ჩემი ვედრება ღვთისადმი ისრაელისათვის არის, რათა გადარჩნენ. ვინაიდან ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ გულმოდგინება ღვთისადმი, ოღონდ არა შეცნობილად" (რომ. 10:1,2). უფალიც ეუბნებოდა თავის მდევნელებს, მისი სიკვდილი რომ სწყუროდათ: "იკვლევთ წერილებს, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე, ისინი კი ჩემზე მოწმობენ. თქვენ კი არ გსურთ ჩემთან მოსვლა, რომ სიცოცხლე გქონდეთ" (იოან. 5:39). და ჭეშმარიტების ამ ყოველ დრამატულ ძებნაში ყველაზე მთავარი და ყველაზე სამწუხარო არის ის, რომ "ღვთის სიყვარული არ არის თქვენში" - ასე უთხრა უფალმა მათ, მძებნელთ (იოან. 5:42).

აი, მიზეზთა მიზეზი ყველა წარუმატებლობისა ღმერთის ძებნაში.

## 15 იანვარი

### როგორია ის - ღმერთი?

ადამიანებს კი უკვირდათ და ამბობდნენ: "ვინ არის ეს, ქარებიც და ზღვაც რომ მას ემორჩილებიან?" (მათ. 8:27).

წმიდა წერილი გვიცხადებს, თუ როგორია ღმერთი. და ადამიანთა რომელიღაცა ნაწილს გულწრფელად სურს, შეიტყოს ღმერთზე: ვინ არის ის, როგორია ის, როგორია მისი განზრახვები, ნება, კანონები?

დ. მილიმანს აქვს საინტერესო მოთხრობა. ოთხი წლის სატიმ, ძმის დაბადების შემდეგ მშობლებს ხვეწნა დაუწყო, რომ ახალშობილთან მარტო დაეტოვებინათ. თავიდან ისინი არ თანხმდებოდნენ, რადგან ეშეინოდათ, რომ გოგონა ეჭვიანობს და შეიძლება, მას რაიმე ავნოს. მაგრამ სატი არ ავლენდა ეჭვიანობის ნიშნებს. ის სათუთად ექცეოდა პატარას, და მისი თხოვნები, რომ მარტო დაეტოვებინათ, სულ უფრო დაჟინებული ხდებოდა. მშობლებმა გადაწყვიტეს, დაეთმოთ.

აღტაცებული სატი შევიდა ბავშვის ოთახში და კარი მოხურა, მაგრამ ის ოდნავ გაიღო ისე, რომ შეიძლებოდა შეხედვა და მოსმენა. მშობლებმა დაინახეს, რომ პატარა სატი მივიდა ძამიკოსთან, დაიხარა და ხმადაბლა უთხრა: "პატარავ, მომიყევი, როგორია ის - ღმერთი. მე ლამისაა დამავიწყდეს".

იგავია ეს თუ ნამდვილი ამბავი, მაგრამ ეს ისტორია ინახავს ერთგვარ საფუძველს არც თუ ისე წარმავალი ფიქრებისთვის: ოთხი წლის ბავშვს სურს იცოდეს ღმერთის შესახებ, თუ როგორია ის, და ამას ეკითხება არა დიდ ბიძიებსა და დეიდებს, არამედ ახალშობილს, რომელსაც ლაპარაკიც კი არ შეუძლია. ეს კი ისეთი საკითხია, რომ მთელი კაცობრიობა წვალობს მის გადასაჭრელად მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში და ვერ გაუცია გონივრული პასუხი. და თუკი ადამიანებს არ შეუძლიათ პასუხი გასცენ ამ კითხვას, მაშინ, გამოდის, რომ ახლა ძუძუმწოვარი ჩვილების ჯერი დამდგარა. და აქ სახუმარო არაფერია. ოდესღაც მღვდელმთავრებმა და რელიგიურმა წინამძღოლებმა რომ მოისმინეს, თუ ბავშვები მთელი ხმით როგორ აცხადებდნენ ჭეშმარიტებას ქრისტეს მისიის შესახებ, დაუფარავი გაღიზიანებითა და გულისწყრომით ჰკითხეს უფალს: «"თუ გესმის, რას ამბობენ ისინი?" იესომ უთხრა მათ: "ჰო! ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ: 'ჩვილთა და ძუძუმწოვართა პირით დაიმკვიდრე დიდება'"» (მათ. 21:16). და დატოვა ისინი შეფიქრიანებული, მოღუშული, გაბრაზებული. ეს ისინი

ცდილობდნენ წინადღეს, გაეჩუმებინათ იესოს მოწაფეები, რომლებიც ხმამაღლა ამბობდნენ იგივე ჭეშმარიტებას, რომელსაც ბავშვები. ეს ისინი სთხოვდნენ უფალს, რომ მოწაფეებისთვის აეკრძალა ელაპარაკათ ასეთი რამ და უფალმა უთხრა, რომ თუ ისინი დადუმდებიან, მაშინ ქვები იღაღადებენ...

## 16 იანვარი

### სიცოცხლის საიდუმლო

და ახლა, უფალო, ჩვენი მამა ხარ შენ, ჩვენ თიხა ვართ, შენ კი ჩვენი შემქმნელი; შენი ხელის ნაკეთები ვართ ჩვენ ყველანი (ეს. 64:8).

თითქოს, ახალშობილს შეეძლოს იმის თქმა, თუ როგორია ის - ღმერთი? ხოლო სხვათა შორის, ახალშობილ ბავშვს, უფრო ზუსტად, მის სხეულს შეუძლია რაღაცა თქვას, თუ როგორია ღმერთი. განა არ ეუბნებოდა მოციქული, განა კეთილშობილური მამობრივი საყვედურით არ არწმუნებდა თავის მიერ ნაშობ სულიერ შვილებს კორინთოში: "ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში?" (1კორ. 3:16).

რას წარმოადგენს ადამიანის სხეული? როგორ არის ის მოწყობილი და როგორ ფუნქციონირებს? ადამიანები ათასწლეულების განმავლობაში ცხოვრობდნენ და არ იცოდნენ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ მათი სხეულები უჯრედებისგან შედგება. და როდესაც უფალმა თავისი უდიდესი სიყვარულის გამო წუთისოფლის აღსასრულის წინ ოდნავ გადასწია ფარდა, რომელიც სიცოცხლისა და ადამიანის სხეულის მოწყობის საიდუმლოს ფარავდა, მეცნიერები გაოგნებული იყვნენ მისი ყველა ცხოველმოქმედი სისტემის სირთულითა და გამართულობით.

ზრდასრული ადამიანის სხეული შედგება დაახლოებით 100 ტრილიონი უჯრედისაგან, ხოლო მათი სახეობა ითვლის დაახლოებით 250-ს. და რანაირად ურთიერთმოქმედებენ ისინი, როგორც ერთიანი ორგანიზმი, ეს დაუჯერებელი, მიუწვდომელი სასწაულია! ეს სხვადასხვა სახეობის უჯრედები გაერთიანებული არიან

ქსოვილებში, ქსოვილები - ორგანოებში, ორგანოები - სხეულის ნაწილებში. ვინ დაადგინა უჯრედების, ქსოვილების, ორგანოების იერარქია? ვინ დააპროგრამა ეს მთელი გამაოგნებელი რაოდენობა უჯრედებისა ისე, რომ ისინი უზადოდ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს? მეცნიერები ვერ პოულობენ პასუხს მთავარ კითხვაზე: მაინც ვინ დააპროგრამა ეს უჯრედები, რომ თითოეული მათგანი, თუნდ იყოს გულის, ტვინის, ღვიძლის, ძვლის ტვინის, თირკმლებისა და სხვა უჯრედები, განუხრელად, წუნდაუდებლად ასრულებს სიცოცხლის საიდუმლოს თავის ნაწილს.

ამ კითხვის პასუხს იძლევა ბიბლია, სადაც ნათქვამია, თუ ვინ არის სიცოცხლის ავტორი: "და გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად" (დაბ. 2:7). და ჩვენი სხეულიც ნამდვილად არის "სულისა და ძალის გამოცხადება" (იხ. 1კორ. 2:4).

## 17 იანვარი

### ღმერთი სიცოცხლის ავტორია

რაოდენ დიდია შენი საქმეები, უფალო, ფრიად ღრმაა შენი ზრახვები. უგუნური კაცი ვერ შეიცნობს და უმეცარი ვერ გაიგებს ამას (ფსალმ. 91:6,7).

რაოდენ დიადი საიდუმლოა ეს - ადამიანის დაბადება! ის იწყება ორი - დედისა და მამის უჯრედის შერწყმით ერთ უჯრედად. ამასთან ერთად თითოეულ მათგანს აქვს თავისი ინფორმაცია მომავალი ადამიანის შესახებ ყველა წვრილმანში, დაწყებული თვალების, თმების ფერიდან, ცხვირის, ხელების სიგრძიდან და დამთავრებული მრავალფეროვანი უნარებით, ნიჭებით, ჩვევებით.

უჯრედების შერწყმიდან დაბადებამდე ბავშვის განვითარების მთელი პროცესი ხდება დედის ნების დამოუკიდებლად. ვინ და როგორ აღასრულებს ამ განვითარებას, ჩამოყალიბებასა და დაბადებას, მეცნიერებმა არ იციან და ვერასოდეს ამოიცნობენ სიცოცხლის ამ საიდუმლოს, ვინაიდან ეს ადამიანის შესაძლებლობების მიღმა დევს. შეცნობა იმისა, რაც ღმერთმა შექმნა, შეუძლებელია, რადგან ის უსაზღვროა. რომ

გავაცნობიეროთ ღვთიური სამყაროთმოწყობის საიდუმლო, უნდა გვქონდეს ღმერთის უსასრულო თვისებები, ეს კი აბსურდია. "რაც შეეხება საგანთა რეალურ ბუნებას, - თქვა აინშტაინმა, - ამას ვერ გავიგებთ ვერასოდეს, ვერასოდეს". და როდესაც ცდილობდა ეპოვა მიზიდულობის ფორმულა სამყაროში, როგორც ამბობდა, "გაეგო ღმერთის აზრები", თავის კოლეგას ეველრებოდა, "სიგიჟისგან გადაერჩინა" (დ. ბრაიენი).

რას ამბობს ბიბლია ჩანასახის განვითარების პროცესზე დედის მუცელში? "რადგან შენ (ღმერთმა) დაბადე თირკმელნი ჩემნი, შენ გამომძერწე დედაჩემის წიაღში. გადიდებ, რადგან საოცრებით შემქმენი; საკვირველია საქმენი შენნი ("შექმნილი ვარ საოცრად და სასწაულებრივად!") (ფსალმ. 138:13,14). პავლე მოციქული ამ დიად ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობდა, როცა გამოდიოდა არეოპაგში თვითკმაყოფილი, სკეპტიკურად განწყობილი ათენის ელიტის წინაშე: "ღმერთი, შემოქმედი სამყაროსი და ყოველივესი, რაც მასშია... თავად ანიჭებს ყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს... ვინაიდან მასში ვცოცხლობთ, ვიძვრით და ვარსებობთ" (საქმე. 17:24,25,28).

აი, რა შეუძლია მოგვითხროს ახალშობილმა ბავშვმა: შემოქმედის სიდიადის - მისი საოცარი უსასრულო თვისებების, მისი მიუწვდომელი სიყვარულის შესახებ, რომელიც სიცოცხლეს აძლევს ყველა ცოცხალს დედამიწაზე და ზეცაში და მუდმივად ინარჩუნებს მას!

## 18 იანვარი

### შემოქმედი და მეცნიერები

შენ ღირსი ხარ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, ვინაიდან შენ შექმენი ყოველივე და შენი ნებით იყვნენ და შეიქმნენ" (გამოცხ. 4:11).

მთელი უსასრულო სამყარო შექმნა ღმერთმა - მან მისცა სიცოცხლე მას. მან დაასახლა ეს უკიდეგანო კოსმოსური სიშორეები და უსაზღვრო ზეციური სივრცეები გონიერი არსებებით. ყველაფერი მოძრაობს, ცოცხლობს და არსებობს მისი, ღვთიური

კანონებით. მთელი ვრცელი სამყაროს ცხოვრება დასაბამიდანვე მიედინება უცვლელი და აბსოლუტური ჰარმონიის, მარადიული სიხარულისა და უწყვეტი ნეტარების ატმოსფეროში. და ზეცის უცოდველ მკვიდრთა ეს ენით აუწერელი ბედნიერება ღვთის უსასრულო სიყვარულის საოცარი საჩუქარია. მხოლოდ მისი სიყვარულის წყალობით არის შესაძლებელი სიცოცხლე - მისი წარმოშობაც და მისი მარადიული ყოფაც.

მხოლოდ ჩვენს ცოდვილ პლანეტაზე, ერთადერთ მეამბოხე პლანეტაზე მთელ სამყაროში, არ აცნობიერებენ და ვერ აღიქვამენ ღმერთს, როგორც სიყვარულის ღმერთს. მაგრამ ხომ სწორედ ჩვენს პლანეტაზე გამოაცხადა ღმერთმა თავისი სიყვარულის მთელი სისავსე, როცა თავისი ძის სიცოცხლე მისცა ცოდვილთა გამო, რათა მათ შეეცნოთ მისი სიყვარული, მიეღოთ ის, აღვსილიყვნენ ამ სიყვარულით. ადამიანთა უმრავლესობა ვერ უგებს თავის შემოქმედს და უარყოფს მის სიყვარულს.

დღეს, როდესაც მეცნიერება თავის თავგასულ ქედმაღლობასა და თავხედობაში ღმერთს გადასწვდა, გაჩნდნენ მეცნიერების ისეთი მოღვაწეები, რომლებიც ღმერთს შავ ფერებში ახასიათებენ, რაში აღარ სდებენ ბრალს და რა დანაშაულებს აღარ აწერენ! დიდი ბრიტანეთის ყველაზე მთავარი ათეისტი, უღვთო მებრძოლი, თანამედროვე მეცნიერი რ. დოკინზი თავის წიგნში "ღმერთის ილუზია" თვლის, რომ წუთისოფელი ღმერთის გარეშე უკეთესი იქნებოდა ყველა ვითარებაში, და მოუწოდებს თანამედროვე რელიგია გადასცენ ანათემას ფუნდამენტალიზმთან თანაბრად. სწორედ დოკინზი, რომელიც ამაყობს, რომ პირწავარდნილი ათეისტია, ღმერთს ადანაშაულებს, რომ ის არის უსამართლო, მიტევებისთვის უცხო, შურისმაძიებელი, განდიდების მანიით შეპყრობილი და ა. შ. (დ. ჩოპრა). ჭეშმარიტად სრულდება პეტრე მოციქულის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, "რომ უკანასკნელ დღეებში მოვლენ დაცინვით დამცინავნი, რომელნიც საკუთარი გულისთქმისამებრ იქცევიან" (2პეტრ. 3:3).

გრცხვენოდეთ და წითლდებოდეთ, ბატონო მეცნიერებო! თქვენ ღმერთმა გამოგიცხადათ და მოგცათ შესაძლებლობა, რომ შეიტყოთ მისი უსასრულო დიდებულებისა და სამყაროს შექმნის საიდუმლოების შესახებ, რათა პატიოსნად მოწმობდეთ მის "დიდ და საკვირველ საქმეებზე". და რომ თქვენ სამყაროს მისეულ

მოწყობაში დაინახოთ ყველაზე მთავარი: მისი მეფური შემოქმედი ძალა არის **სიყვარული**!

## 19 იანვარი

### შემოქმედი და ქმნილება

შენმა ხელებმა გამომსახეს და შემქმნეს მე ერთიანად, ყოველმხრივ" (იობ. 10:8).

ღვთის სიყვარული! რა ოდნავ გვესმის ის! რა მცირედ ვაფასებთ მას! რა ცოტათი ვეძებთ მას - ღმერთის ყველა საქმეში, ზრახვებში, სიტყვებში, გეგმებში!

გადავშლით ბიბლიას, მის პირველ გვერდს, და ჩვენს წინაშე მთელი დიდებულებითა და მიუწვდომელი არსით წარდგება ის - ღვთის სიყვარული! ჩვენ გვანცვიფრებს ღმერთის ყოვლისშემძლეობა და სიბრძნე, როდესაც მან თავისი საიდუმლო სიტყვის ძალით რამდენიმე - ექვსი(!) დღის განმავლობაში შექმნა ზეციური სიშორეები, ვარსკვლავები და თანავარსკვლავედები, დედამიწა და ცხოველთა, მცენარეთა სამყარო მასზე, და ბოლოს, შექმნა ადამიანთა პირველი წყვილი - "შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად" (დაბ. 1:27). ეჭვგარეშეა, შემოქმედი უსაზღვროდ შეჰხაროდა ყველაფერს, რაც შექმნა: ის იყო ენით აუწერლად ლამაზი, საოცრად სრულყოფილი, მიუწვდომლად ბრძნულად შექმნილი. ყველაფერში, რასაც ღმერთი აკეთებდა, ყველაფერში, რასაც ქმნიდა, - ყველაფერში ხორცს ასხამდა თავის ღვთიურ ბუნებას, თავის სრულყოფილებას, არსად არაფერში არ იყო უმნიშვნელო ხარვეზი, უმცირესი ნაკლიც კი. და ამაშია მისი, ღვთის სიდიადე და დიდება!

მაგრამ რა არის ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი მის შემოქმედებით მარადიულ ჩანაფიქრებსა და მათ რეალიზაციაში? რისთვის შექმნა შემოქმედმა უსასრულო სამყარო? რა მიზნით შექმნა მასში პლანეტების უთვალავი რაოდენობა? პასუხი ერთია: რომ სამყარო გონიერი არსებებით დაესახლებინა. რაზე მეტყველებს ეს? იმაზე, რომ ღმერთი - სიცოცხლის წყარო - სხვა არსებებს აძლევს სიცოცხლეს, ის იმას გასცემს, რაც თავად აქვს, რაც მარტო მას ახასიათებს, მას არ შეუძლია სხვანაირად

იცხოვროს, არ შეუძლია სხვანაირად მოიქცეს, ასეთია მისი არსი - სიყვარული! სიყვარულს არ შეუძლია, მარტო თავისთვის იცხოვროს, ეგოიზმი მისთვის აბსოლუტურად უცხოა. სიყვარულის არსი არის - იცოცხლოს სხვისთვის, და მხოლოდ ამის წყალობითაა შესაძლებელი საერთოდ სიცოცხლე. ამაშია მისი მთელი გამოხატულება. ბიბლია ამბობს: "და გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად" (დაბ. 2:7). ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის თარგმანში აღნიშნულია, რომ სიტყვა "შექმნა" სიტყვასიტყვით ნიშნავს "გამოსახა", "გამოძერწა". შემოქმედი თავად შრომობდა, როგორც დიადი სკულპტორი პირველი ადამიანის ქანდაკებაზე, როცა მასში თავის სახეს შეასხა ხორცი. შემდეგ კი თავისი სუნთქვით გააცოცხლა თავისი უნიკალური ქანდაკება: "და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად" (დაბ. 2:7).

## 20 იანვარი

### სიყვარული არ ეძებს თავისას

ადიდე, სულო ჩემო, უფალი, და ნუ დაივიწყებ რაც კეთილი გიყო (ფსალმ. 102:2).

მზე, მთვარე, ზეციური ატმოსფერო, მიწა, ცხოველთა და მცენარეთა სამყარო - ყველაფერი ღმერთმა შექმნა ადამიანისთვის. სანამ ადამიანს შექმნიდა, შემოქმედმა უწინ შექმნა ყველაფერი აუცილებელი და მაქსიმალურად სასიკეთო პირობები მისი სიცოცხლისთვის - საუკუნო, ბედნიერი სიცოცხლისთვის. ეს ყველა შემოქმედებით აქტი ღმერთმა აღასრულა მხოლოდ ადამიანის - თავისი ქმნილების მომავალი გვირგვინის სიყვარულით. ადამიანი რომ შექმნა თავის მსგავსად და ხატად, უფალი განაგრძობდა თავისი სიყვარულისა და ზრუნვის ამოუწურავი სიმდიდრის გამოვლენას მის - თავისი საუნჯის, თავისი "მე"-ს ნაწილის მიმართ.

უფალმა გადაწყვიტა, ეზრუნა ადამიანის ყოფნის ადგილზე, მის სახლზე, მის, როგორც პატრიარქისა და მთელ მომავალ ადამიანთა მოდგმის მეთაურის რეზიდენციაზე - მან პირადად, საკუთარი ხელით (აი სასწაულები!) გააშენა ენით

აუწერელი, ფანტასტიკური სილამაზის ბაღი მისი უნიკალური ჯიშის ხეებით, ბუჩქებით, ყვავილებით, მათი საოცარი ფერების შეხამებით, სურნელებით: ბაღი, რომელში ცხოვრებაც, შემოქმედის ჩანაფიქრით, უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტად სიამოვნება და ნეტარება, აქედანაა მისი სახელწოდება - ედემი (ებრ. სიტყვასიტყვით ნეტარება, ტკბობა). ედემი უჩვეულო საჩუქარია ზეციერი მამის სიყვარულისა თავისი ქმნილების - ახალი პლანეტის მომავალ მცხოვრებთა მშობლების მიმართ.

შემდეგ, ადამიანს არაჩვეულებრივი სილამაზის ცოლი რომ აჩუქა, უფალმა აკურთხა პირველი ცოლ-ქმრის წყვილი და უთხრა: "გააჩინეთ შვილები, დასახლდით დედამიწაზე, დაეპატრონეთ მას, და თქვენს ძალაუფლებაში იყოს თევზები, ფრინველები და ყოველი ცხოველი დედამიწაზე". აი, ასე ავლენს თავს, რეალიზაციას აკეთებს ღვთის სიყვარული! სიყვარული ასომთავრულით: უსაზღვრო, მიუწვდომელი, შეუდარებელი სიყვარული! სიყვარული გასცემს არა მარტო სიცოცხლეს, მარტო მისთვის დამახასიათებელს, არამედ გასცემს ძალაუფლებასაც, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის კანონით. როცა ადამიანს სიცოცხლე მისცა, ღმერთმა აჩვენა, რომ მას - მის სიყვარულს - არ ახასიათებს ეგოიზმი, ხოლო ადამიანს ძალაუფლება რომ მისცა, ღმერთმა აჩვენა, რომ მის სიყვარულს არ ახასიათებს ძალაუფლების სიყვარული! ეს სწორედ ის ცოდვებია, რომლებშიც ლუციფერი ბრალს სდებდა ზეცაში და განაგრძობს დადანაშაულებას დედამიწაზე, ვაი-მეცნიერთა გუნდთან, თავის ენაწყლიან აგენტებთან ერთად.

ღმერთი არ ებღაუჭება ძალაუფლებას - ეს არაა მისი არსი და არ ახასიათებს მის ბუნებას - მის სიყვარულს! ის არ ეძებს თავისას! უფალმა ეს გამოაცხადა მიწაზე: "არამედ წამოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება" (ფილიპ. 2:7).

აი, როგორია მისი სიყვარული!

## 21 იანვარი

### მეფე - მსახური

უთხარით სიონის ასულს: ‘აჰა, შენი მეფე შენთან მოდის, მშვიდი და მჯდარი ვირზე და ჩოჩორზე, სახედრის ნაშიერზე’ (მათ. 21:5).

რა ამოუწურავი საგანძური და თვისებების, პრინციპებისა და მათი გამოხატვის ვრცელი სხვადასხვაობაა ღვთის სიყვარული! უკიდეგანო სამყაროს სიცოცხლე რომ მისცა, შემოქმედი უდიდესი სიხარულით ზრუნავს მასზე. ის უწყვეტი ნაკადით უგზავნის ყველა აუცილებელ სიკეთეს, ძღვენსა და კურთხევებს უთვალავი სამყაროების მცხოვრებლებს ნეტარი ცხოვრებისა და ამით ჭეშმარიტი ტკბობისათვის. უფალი თავდაუზოგავად ემსახურება თავის ქმნილებებს "ყოველ წამს რწყავს მას" - საყვარელ ვენახს, მის უკიდეგანო ზეციურ სამეფოს. ის - სამყაროს შემქმნელი და მმართველი მთლიანად უძღვნის თავს თავის მხურვალედ საყვარელ ქმნილებებზე ზრუნვას, რათა ისინი იყვნენ უმაღლესად ბედნიერები, აუწერელი სიხარულითა და გამოუთქმელი სულიერი კმაყოფილებით აღვსილი. ღვთიური ყოფის მიზანი და აზრი არის თავდადებული მსახურება თავისი ქმნილებებისადმი. ასეთია მისი სიყვარული, ამაში გამოიხატება მისი არსი.

რომაელი მწერალი კ. ელიანი მოგვითხრობს მეფე ანტიგონე II გონატზე, მაკედონიელ მეფეზე (ძვ. წ. 283-239 წწ.), რომელიც მეგობრობითა და რბილი ზნეობით გამოირჩეოდა. ერთხელ, ანტიგონმა «შენიშნა, რომ მისი ვაჟი თვითნებური და უტიფარი იყო ქვეშევრდომებთან ურთიერთობაში და უთხრა; "განა არ იცი, ბიჭო, რომ ჩვენი, ჩემი და შენი ხელისუფლება საპატიო მონობაა?" ასეთი დიადი ადამიანურობით ასწავლიდა ანტიგონი თავის ვაჟს». და შემდეგ მწერალი აკეთებს საინტერესო დასკვნას, ზნეობრივ დარიგებას: "ვინც არ იწონებს მის მსჯელობას, არასოდეს, მე ვფიქრობ, არ იცნობდა ადამიანს, რომელიც აზროვნებდა, როგორც ნამდვილი მეფე და მმართველი, არამედ ხვდებოდა მხოლოდ ადამიანებს, რომლებიც მსჯელობენ, როგორც ტირანები".

ოდესღაც დიდებული ქერუბიმი, ლუციფერი, ბედნიერი იყო, როცა ასრულებდა მსახურებას, რომელიც ღმერთმა მას დააკისრა სამყაროში. მაგრამ შემდეგ, შურითა და პატივმოყვარეობით შეპყრობილმა, დაიწყო ღმერთის დადანაშაულება ძალაუფლების სიყვარულსა და ტირანიაში. რჩება მხოლოდ წუხილი, რომ ოდესღაც საყვარელი ანგელოზი გახდა მატყუარა და ცილისმწამებელი. და უფალმა, როცა ცოდვილ

დედამიწაზე მოვიდა, თქვა, რომ მოვიდა "იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად" (მათ. 20:28). და ის ემსახურებოდა! როგორც მსახური, "მოწაფეებისათვის ფეხების დაბანვით ქრისტემ დაამტკიცა, რომ მზად არის ნებისმიერი მსახურებისათვის, როგორი დამამცირებელიც არ უნდა იყოს იგი" (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 513), ოღონდაც მის შვილებს თვალი ახელოდათ და დაბრუნებულიყვნენ შინ, ზეციერ მამასთან.

ასეთია ღვთის სიყვარული!

## 22 იანვარი

### აღვსილია სიბრალულით

ნუ გეშინია, რადგან მე შენთანა ვარ; ნუ ფრთხი, რადგან შენი ღმერთი ვარ მე. გაგამაგრებ და შეგეწევი და მხარს დაგიჭერ ჩემი სიმართლის მარჯვენით (ეს. 41:10).

ედემის ბაღი - "კიდევ ერთი მტკიცებულება", რომ ღმერთს უყვარს ადამიანი - იყო ღვთიური მხატვრისა და არქიტექტორის უსაზღვრო სიბრძნისა და ვრცელი გამგებლობის ენით აუწერელი სილამაზის ნაწარმოები. უფალმა არ დაუშვა, რომ ეს ფასდაუდებელი საუნჯე წარღვნას გაენადგურებინა - ბაღი ზეცაში იქნა წაღებული. და ეს უდიდესი სასწაული იქნება აღტაცების საგანი არა მარტო ჩვენი ახალი პლანეტის მომავალ მკვიდრთათვის, არამედ სხვა პლანეტების მცხოვრებლებისთვისაც. "და მაშინ ისინი, ვინც ღვთის მცნებებს იცავდა, უსასრულო საუკუნეთა განმავლობაში დატკბებიან უკვდავების სურნელით სიცოცხლის ხის ქვეშ. უცოდველ სამყაროთა მკვიდრთათვის ნეტარების ეს ბაღი ღვთის სრულყოფილი შემოქმედების, მისი სიწმიდის მაგალითი იქნება. მაგალითი იმისა, თუ როგორი იქნებოდა დედამიწა, ადამიანს რომ ღმერთის უდიდესი ჩანაფიქრი განეხორციელებინა" (პატრიაქები და წინასწარმეტყველები, გვ. 28).

ედემში იყო ორი საოცარი ხე: ხე სიცოცხლისა და ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა. სიცოცხლის ხის ნაყოფების გამოყენება იყო პირობა საუკუნო სიცოცხლის

შენარჩუნებისა ჩვენი წინაპრებისთვის, ხოლო კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფების დაგემოვნება გახდებოდა მათი სიკვდილის მიზეზი, ამიტომაც უფალმა მათ სთხოვა, არ ეჭამათ ეს ნაყოფები. ღმერთისა და ზეცის მკვიდრთა დიდად სამწუხაროდ და სავალალოდ, ჩვენმა წინაპრებმა არ დაუჯერეს თავიანთ შემოქმედს: მათ იგემეს ეს ნაყოფები.

როგორ მოექცა ამ ურჩობას უფალი? შეასრულა თუ არა მან თავისი გაფრთხილება, რომ იმ დღეს, როცა ისინი შეჭამდნენ აკრძალულ ნაყოფს, სიცოცხლეს დაკარგავდნენ? აქცია ზურგი შემოქმედმა თავის ურჩ შვილებს და მისცა ისინი გარდაუვალ ზნეობრივ, ხორციელ და სულიერ გადაგვარებას? მიატოვა ისინი ზეციერმა მამამ ეშმაკის ანაბარა, რომელმაც უსინდისოდ მოატყუა ისინი? არა! ღვთის სიყვარულს ეს არ ახასიათებს, მას არ შეუძლია მოატოვოს თავისი ქმნილებები მათ უბედურ მდგომარეობაში!

"როგორ გაგიმეტო, ეფრემ? როგორ გადაგაგდო, ისრაელ? როგორ გაგიმეტო ადმასავით? როგორ მოგექცე ცებოიმივით? გადამიბრუნდა გული, ერთიანად ამიტანა სიბრალულმა" (ოსია 11:8).

უფალმა ჩვენი უბედური წინაპრები დაარწმუნა, რომ მათ არ მიატოვებს. ღმერთმა მათ განუცხადა "საიდუმლო, საუკუნეთაგან და მოდგმათაგან დაფარული", ის, რაც მთელ სამყაროში ერთმა სულიერმაც კი არ იცოდა, რომ იგი მზადაა, საკუთარი სიცოცხლე მისცეს თავისი ქმნილებისთვის, თუკი ის როდისმე შესცოდავს, და ამ გზით მას დაუბრუნებს დაკარგულ სიწმიდეს და აღადგენს მასთან ურთიერთობას.

უფალს რომ მოუსმინეს, ადამი და ევა შემუსვრილი გულებით პირქვე დაემხნენ მის წინაშე.

## 23 იანვარი

### სიყვარული ყველაფერს იტანს

რადგან მადლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღვთის გულისათვის იტანს გასაჭირს (1პეტრ. 2:19).

შეუძლებელია, ბოლომდე ჩაწვდე ღვთის სიყვარულს - ის საკუთარ თავზე უნდა გამოსცადო. იმის ასახსნელად, თუ როგორ გამოხატავს თავს სიყვარული, უფალი იყენებდა იგავებს, ასევე მაგალითებს ცხოვრებიდან - ეს საუკეთესო საშუალებაა ჭეშმარიტების გასაგებად და ასათვისებლად. ვიღაცამ სამართლიანად თქვა: "გრძელია გზა დარიგებებისა, მოკლე და დამაჯერებელია გზა მაგალითებისა".

სხვისი მწუხარების თანაგრძნობა, სხვისი ხასიათის ნაკლოვანებების შემწყნარებლობა, გამოვლენა მზადყოფნისა, რომ ახლობლების გადასარჩენად გაწირო არა მარტო მატერიალური სიკეთე, არამედ სიცოცხლეც, და ხასიათის ნათელი თვისებების ასობით სხვა გამოვლენა - ეს ყველაფერი წახნაგებია ერთი და იგივე ფილიგრანულად დაწახნაგებული ძვირფასი ალმასისა, რომლის სახელია "ღვთის სიყვარული". და სიყვარულის სხვადასხვაგვარი თვისებების თვალსაჩინო გამოვლინება ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს და აღაფრთოვანებს ჩვენს სულს, რომ ეს ჩვენში იწვევს მოწონებასა და მზადყოფნას, რათა ვბაძავდეთ მსგავს საქციელებსა და ცხოვრების წესს.

როდესაც ლიკურგმა, სპარტის მეფემ, პლუტარქეს მოთხრობების მიხედვით, სასარგებლო და საჭირო რეფორმების შემოღება დაიწყო, მდიდრებმა სასტიკად შეიძულეს იგი. ერთხელ მოედანზე ისინი გარს შემოეხვივნენ და ხმამაღალი შეურაცხყოფით  დაუწყეს ხელისკვრა, და ლიკურგი ძლივს გაექცა ქვების წვიმას. მას დაედევნენ და მეფემ გადაწყვიტა, თავი ტაძრისთვის შეეფარებინა, უკვე შიგნით იყო, რომ ერთმა ახალგაზრდამ, ალექსანდრემ, საერთოდ, არა უგუნურმა, მაგრამ აღგზნებულმა და უხეშმა, იმ წამს, როცა ლიკურგი შებრუნდა, ჯოხით თვალი ამოუგდო მას. მეფე მამაცურად გადაუდგა წინ მდევრებს, აჩვენა გასისხლიანებული სახე და ცარიელი თვალის ბუდე. ყველა სიბრალულმა და საშინელმა სირცხვილმა მოიცვა. მათ მაშინვე გადაწყვიტეს, მისთვის ალექსანდრე გადაეცათ, და მისი წუხილის გაზიარებით, სახლამდეც მიაცილეს მეფე. ლიკურგმა ალექსანდრე სახლში შეიყვანა, ერთი საყვედურის სიტყვაც კი არ უთქვამს და უბრძანა, განკურნებაში დახმარებოდა, ისიც უსიტყვოდ ასრულებდა, რასაც ავალებდნენ. მუდმივად ლიკურგის გვერდით ყოფნისას მან შეიცნო მისი სულის თვინიერება და სიმშვიდე, მკაცრი ცხოვრების წესი, განიმსჭვალა

უდიდესი კეთილგანწყობით მის - საოცარი გულმოწყალებისა და შემწყნარებლობის მქონე ადამიანის მიმართ. ასე ალექსანდრე საძაგელი და უხეში ჭაბუკიდან ყველაზე თავმდაბალ და კეთილგონიერ კაცად გადაიქცა.

სიყვარული ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობს, არამედ მასზე სიკეთით იმარჯვებს (იხ. რომ. 12:21).

## 24 იანვარი

### სიყვარული არ საყვედურობს - ნაწილი 1

განა ეფრემი ჩემი ძვირფასი ძე არ არის? განა ნებიერი ბავშვი არ არის? რადგან როცა კი მის წინააღმდეგ ვლაპარაკობ, მაინც ვზრუნავ მასზე (იერ. 31:20).

მაინც რა არის ღვთის სიყვარულის განმასხვავებელი ნიშანი? მთლიანობაში რა ახასიათებს მას? მის სიყვარულს აბსოლუტურად არ ახასიათებს ნებისმიერი ტკივილის მიყენება თავისი ქმნილებებისადმი. ის აღსავსეა სურვილით, რომ მათ მხოლოდ სიკეთეს უკეთებდეს, მათ ცხოვრებას ბედნიერს, სასიამოვნოს, სასურველს ხდიდეს. ღვთის სიყვარული არ ტკენს გულს, არ საყვედურობს, არ ადარდიანებს, და იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი უღირსად იქცევიან. იუდეური სულიერი მოძღვრები ამბობდნენ: "ვინც სახალხოდ ლანძღავს (სიტყვასიტყვით "აიძულებს გაფითრდეს") თავის ახლობელს... თუნდაც მასზე ირიცხებოდეს თორაც (რჯული) და კეთილი საქმეებიც, დაკარგული აქვს წილი მომავალ სამყაროში".

ჩვენ არ გვესმის უმცირესი საყვედურიც კი ჩვენი წინაპრებისადმი ედემში, როცა მათ უგულებელყვეს ღვთის მცნება. არ უსაყვედურია უფალს არც კაენისთვის ძმათამკვლელობის ჩადენის გამო. ის, რაც ჩაიდინეს ადამმა და ევამ, ის მოღაღადე დანაშაული, რომელიც კაენმა ჩაიდინა, მძიმე ტვირთად დააწვა ჩვენი შემოქმედის სულს. მან ენით აუწერელი ტკივილით აღიქვა მისი ავტორიტეტის ღიად უარყოფა თავისი საყვარელი ქმნილებების მიერ და მთელ სამყაროში პირველი მკვლელობა. თავის უსაზღვრო სიყვარულში ზეციერ მამას არ უსაყვედურია და არ შეურცხვენია

სამყაროს მისეული მოწყობის დამრღვევები - ისინი იყვნენ მისი შვილები, და ის ცდილობდა, მხოლოდ მათი ნამუსისა და გონიერებისთვის მოეხმო, რათა მათ თვალი ახელოდათ და ჭეშმარიტი შეფასება მიეცათ თავიანთი დანაშაულებისთვის. თუ არ გვესმის ღვთის ხასიათი, მისი სიყვარული, ჩვენ ვერ გავიგებთ მის დამოკიდებულებასაც და მოქმედებებსაც ცოდვილებისადმი.

შიმშილობის დროს აბრაამმა გადაწყვიტა წასულიყო ეგვიპტეში და იქ ერთხანს ეცხოვრა. მიმართა თუ არა აბრაამმა ღმერთს, რათა გაეგო, მოსწონს თუ არა მას ეს გეგმა? არა, და ეს იყო მისი შეცდომა, რომელმაც მეორე შეცდომამდე მიიყვანა. აბრაამს ეუფლება სიცოცხლის დაკარგვის შიში და იქცევა ისე, როგორც ურწმუნო ადამიანი: ის სარას სთავაზობს, ეგვიპტელები მოატყუონ, თითქოს სარა არ არის მისი ცოლი, და ფარაონს ის თავის ჰარამხანაში მიჰყავს. გაანაწყენა თუ არა აბრაამმა ამ საქციელით ღმერთი? უდავოდ. მაგრამ როგორი შემწყნარებლობითა და გულმოწყალებით მოექცა ის აბრაამის საქციელებს! ღმერთმა ოდნავადაც არ უსაყვედურა მას, არამედ უხმოდ ჩაერია და გადაარჩინა ის ცოდვისგან. მას საყვედურობდა წარმართი, მას "ზრდიდა" ფარაონი უკეთური საქციელის გამო.

ო, საოცარი, აღტაცებისა და ღვთისმოსაობის გამომწვევი სიყვარული ღვთისა!

## 25 იანვარი

### სიყვარული არ საყვედურობს - ნაწილი 2

ხოლო მცნების მიზანია წმიდა გულით, კეთილი სინდისითა და უთვალთმაქცო რწმენით სიყვარული (1ტიმ. 1:5).

აბრაამს ეღირსა უდიდესი უპირატესობა - უშუალო ურთიერთობა ჰქონოდა სამყაროს მმართველთან. ის ათჯერ გამოეცხადა მას და უშუალო მონაწილეობას ავლენდა მის ცხოვრებაში. და ეს არაა გასაკვირი - იმ შორეულ, ამღვრეულ დროში აბრაამმა ხომ ღმერთის მოწოდებისადმი თავისი უსიტყვო მორჩილებით სამუდამოდ დაუკავშირა მას თავისი ბედი. ღვთის თვალში აბრაამი იყო ფასდაუდებელი საუნჯე

წარმართული კერპთაყვანისმცემლობის სიბნელის საერთო ფონზე. ცოდვებისგან ჩვენი პლანეტის გადასარჩენ თავის შორეულ და მარადიულ გეგმებს უფალი უკავშირებდა აბრაამის სახელს, და ამიტომ ბიბლიაში მას "ღვთის მეგობარი" ეწოდება.

და მაინც, მიუხედავად ღვთის უშუალო ხელმძღვანელობისა, აბრაამს შეცდომები მოსდიოდა. ღვთის ჭეშმარიტ შვილებს აბრაამის შეცდომები (ასევე ნებისმიერი წინასწარმეტყველისა და მართლისა ბიბლიაში) ოდნავადაც არ აშფოთებს. ცოდვის პირობებში ეს არაა გასაკვირი. ხოლო ის, რაც ყველაზე მთავარი და ყველაზე საკვირველია, ესაა უფლის დამოკიდებულება თავისი შვილებისადმი, როცა ისინი ცდებიან და სცოდავენ.

აბრაამს ღმერთი შეპირდა, რომ მისგან მრავალრიცხოვანი ხალხი წარმოიშობოდა. და ეს ეთქვა, როცა ის სამოცდათხუთმეტი წლისა იყო, თანაც ჰქონდა ოჯახური დარდი - სარას არ შეეძლო შვილების გაჩენა. საჭირო იყო, რომ აბრაამს (და სარასაც) ჰქონოდა რწმენა - ნამდვილი რწმენა ღვთის ყოვლისშემძლეობაში, რომ შთამომავლობას დალოდებოდა. და ისინი ყოველდღე ელოდებოდნენ ღვთის დაპირების შესრულებას. მაგრამ გავიდა არა დღეები, არამედ წლები (მთელი ათი წელი!), მაგრამ შვილები არ არის! და რა უნდა ექნათ? და მაშინ მშვენიერ სარას მოსდის იდეა: იქნებ, თვითონაც იღონონ რამე, რათა მათ შვილები შეეძინოთ?! აი, ხომ ჰყავს ახალგაზრდა მოახლე აგარი, რატომაც არ უნდა გაუჩინოს მან შვილი აბრაამს, და ის ყველა უფლებით მათი შთამომავალი იქნება. სარამ აბრაამს შესთავაზა ასეთი გეგმა, და ისიც დათანხმდა. და აგარმა ვაჟი გააჩინა. ხარობდა აბრაამიც, ხარობდა სარაც. მხოლოდ უფალს არ უხაროდა მთელი ეს მბავი. იგი ნაწყენი იყო აბრაამის საქციელით. რატომაც არ უნდა ეთქვა აბრაამს სარასთვის: "მოიცა, საჭიროა ღმერთს ვკითხოთ, რას იტყვის? თუ ის იტყვის, რომ ეს არ უნდა გავაკეთოთ, მაშინ დაველოდებით. ათი წელი ველოდებით, კიდევ მოვიცადოთ". სამწუხაროდ, აბრაამი არ მოიქცა ასე. და უფალმა შეწყვიტა აბრაამთან ურთიერთობა. ის ცამეტი წელი დუმდა... უფალს სურდა, ამით რამე ესწავლებინა მისთვის.

## 26 იანვარი

### სიყვარული არ საყვედურობს - ნაწილი 3

რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს (1პეტრ. 2:23).

თავისი დუმილით უფალმა აბრაამს გააგებინა, რომ ასეთი საქციელი არ მოსწონს და რომ ასეთი გადაწყვეტილება მას არ უნდა მიეღო ღმერთის დაუკითხავად და თანხმობის გარეშე. ღმერთის დუმილის მთელი ეს წლები აბრაამისთვის იყო თავისი ქმედებებისა და გზების სერიოზული გამოცდის წლები. ის მღელვარებით ეკითხებოდა საკუთარ თავს: "რა გავაკეთე არასწორად? რა დავაშავე, რომ ღმერთი დუმს?" და უეჭველად, აბრაამი მხოლოდ თავის თავს თვლიდა დამნაშავედ იმაში, რომ ღმერთი წლობით არ ურთიერთობდა მასთან. აბრაამის ადგილზე ვინ არ იწუხებდა და ღრმად არ იდარდებდა ყველაფერზე, რაც მოხდა? და უფალი გამოეცხადა აბრაამს და უთხრა: "მე ვარ ღმერთი ყოვლისშემძლე; იარე ჩემს წინ და იყავი უმწიკვლო". (ნუ დაუშვებთ რაიმე ეჭვს - მე, უფალს, ყველაფერი შემიძლია, იყავი მჭიდრო კავშირში ჩემთან, იცხოვრე იმის შეგნებით, რომ მთელი შენი ცხოვრება ჩემთვის გადაშლილი წიგნია. ყველა გზა და საქციელი ჩემს გარეშე - მანკიერია. თავი წმინდად შეინახე).

შემდეგ უფალი დიდხანს ელაპარაკებოდა აბრაამს - ეს მათი საუბრებიდან ყველაზე ხანგრძლივი იყო. მან დაარწმუნა აბრაამი, რომ მისი განზრახვები არ შეცვლილა: სწორედ სარა გაუჩენს მას აღთქმულ ძეს, არანაირი წლები არ იქნება აქ ხელის შემშლელი. საოცარია, როგორი მოთმინება, როგორი გულმოწყალება, როგორი შემწყნარებლობა გამოიჩინა უფალმა თავის სიყვარულში აბრაამისადმი! ოდნავი საყვედურიც კი არ თქმულა ღვთის ბაგეებიდან! ის ტაქტით, დელიკატურად, პატივისცემით ასწავლიდა, ზრდიდა და უტარებდა გაკვეთილს თავის მეგობარს! საოცარია სიყვარული ღვთისა! ხომ მხოლოდ ასე შეიძლება დაეხმარო ადამიანს, გამოსწორდეს.

პერიკლე - ათენის სახელმწიფოს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი და სტრატეგი იყო (V საუკუნე ქრისტეს შობამდე). ერთხელ ერთი თავაშვებული ადამიანი

რაღაცის გამო გაბრაზდა პერიკლეზე და სახალხოდ ლანძღვა და შეურაცხყოფა დაუწყო. თუმცა ყვირილი და წყევლა მთელი დღე არ შეწყვეტილა, პერიკლეს ერთი სიტყვითაც არ უპასუხია მისთვის. მაგრამ ის არ წყნარდებოდა. როდესაც საღამოს პერიკლე შინ მიდიოდა, ის კაცი კვალდაკვალ მიჰყვებოდა, მთელი გზა ხმამაღლა ყვიროდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს მისი მისამართით. პერიკლე სახლს მიუახლოვდა, როცა უკვე დაბნელებული იყო. მაშინ მან მონას უბრძანა, ჩირაღდანი აეღო და უცნობი სახლში შემოეყვანა (ვ. კესელმანი).

ასე ავლენს უფალი თავის საოცარ სიყვარულს ჩვენს სულებში.

## 27 იანვარი

### სიყვარული ყველაფერს ფარავს

მაშ, მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა. იარეთ სიყვარულში, ისევე როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ და თავისი თავი მისცა ჩვენთვის (ეფეს. 5:1,2).

იოანე ნათლისმცემელს, უფლის წინამორბედს, მისთვის გზა უნდა მოემზადებინა. ღვთის უშიშარი, თავგანწირული, ერთგული წინასწარმეტყველი სიტყვით და საქმით ნამდვილად ამზადებდა ადამიანთა გულების ნიადაგს, რათა ჰქონოდათ უნარი, მიეღოთ გადამრჩენელი, სასიხარულო უწყება თავად უფლისგან.

დადგა დრო, თავად უფალი მივიდა იოანესთან და მოინათლა მისგან. და ნათლისღების დროს გაისმა ხმა ზეციდან: "ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე" (მათ. 3:17). და იოანემ საზეიმოდ და ხმამაღლა განუცხადა იორდანეს ნაპირას შეკრებილ ხალხს: "აჰა, ღვთის კრავი, რომელმაც აიღო სოფლის ცოდვა" (იოან. 1:29).

მაგრამ ჰეროდემ ვერ მოითმინა იოანეს პირდაპირი მხილება ჰეროდიასთან თავისი უკანონო კავშირის გამო და იოანე ციხეში ჩასვა. პატიმრობაში მყოფი იოანე ელოდა, რომ იესო, როგორც ჭეშმარიტი მეფე იუდეისა, რაიმეს იღონებდა მის დასახსნელად. სამწუხაროდ, არანაირი დახმარება, არანაირი გათავისუფლება, "და მაშინ

სასოწარკვეთილებამ და ეჭვებმა შეიპყრო იგი" (ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 155). მან თავისი მოწაფეები გაგზავნა უფალთან შეკითხვით: "შენა ხარ ის, ვინც უნდა მოვიდეს, თუ სხვას უნდა ველოდოთ?" (მათ. 11:3). იოანესგან ასეთი რამის მოსმენა იესოსთვის დიდად საწყენი და მტკივნეული იყო: იოანეს ხომ ამდენი აშკარა მოწმობა და ხილული მტკიცებულება ჰქონდა მიცემული ზეციდან ქრისტეს შესახებ! და აი... ეჭვი, მცირედმორწმუნეობა. და უფალმა უპასუხა: "წადით მოახსენეთ იოანეს, რასაც ისმენთ და ხედავთ: ბრმები ხედავენ და ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმიდებიან და ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და ღატაკებს ეხარებათ. ნეტარია, ვინც არ შეცდება ჩემში" (მათ. 11:4-6). როდესაც იოანეს მოწაფეები წავიდნენ, იესომ ყველაზე ამაღლებული სიტყვებითა და ტონით დაუწყო ხალხს ლაპარაკი იოანეზე: ის არ არის ლერწამი, ქარისგან შერხეული! მას არ უვლია გაფუფუნებულ სამოსელში და არც მეფის სასახლეებში უცხოვრია! ვინ არის ის - წინასწარმეტყველი? ის წინასწარმეტყველზე მეტია. ის ღვთის ანგელოზია, ის ელიაა, რომელიც წინასწარმეტყველების თანახმად მოვიდა. წინასწარმეტყველთაგან არავინაა იოანეზე დიდი!

როგორი უმაღლესი შეფასება მისცა უფალმა იოანეს მსახურებას სახალხოდ! შეუძლია თუ არა ღვთის სიყვარულს, უსაყვედუროს თავის მსახურსა და რწმენისთვის წამებულს? არა, ჩვენი უფალი ასეთი არაა. ის, მარადიული და უცვლელი სიყვარული - იოანესთან ერთად იტანჯებოდა საპატიმროში!

## 28 იანვარი

### რჯული და სიყვარული

სიმართლე შენი მარადიული სიმართლეა, და შენი რჯული ჭეშმარიტია (ფსალმ. 118:142).

ღმერთის ზნეობრივი არსი, რომელსაც ბიბლიაში ერთი სიტყვა "სიყვარული" ეწოდება, ამოუწურავი და უკიდეგანოა. და მხოლოდ უსასრულოდ გაოცება შეიძლება, რომ ღვთის უსაზღვრო სიბრძნემ უზომო სიყვარული მოკლე, მარტივ, კონკრეტულ ათ

მცნებაში გამოხატა. და ეს უბრალოდ, მიუწვდომელი სასწაულია! ეს უბრალოდ, რაღაცა ფანტასტიკაა! მაგრამ ეს რეალობაა! რეალობაა ისიც, რომ ამ ათ მცნებაზე დგას მთელი უკიდეგანო სამყარო. და ეს ფანომენალური რეალობა არის უდავო მტკიცებულება იმისა, რომ ღვთის რჯულის - ათი მცნების - ალტერნატივა არ არსებობს და ვერც იქნება! ის აბსოლუტური, სრულყოფილი და უჭკნობია. ისიც ფაქტია, რომ სამყარო უბრალოდ კი არ ცხოვრობს და არსებობს, არამედ ცხოვრობს უკიდურესად ბედნიერად, ვინაიდან გონიერი არსებების ყველა საჭიროება - სულიერი, ზნეობრივი, ფიზიკური - მაქსიმალურად კმაყოფილდება. სამყაროში გაჩენილი ცოდვაც, რომელიც სრულად განვითარდა და გავრცელდა ჩვენს პლანეტაზე, მხოლოდ ადასტურებს ჭეშმარიტებას, რომ სამყაროს წესრიგის მოწყობას სხვა პრინციპებზე, გარდა რჯულის ათი მცნების პრინციპებისა, მივყავართ კატასტროფულ შედეგებამდე - ქაოსამდე, ნგრევამდე და სამყაროს დაღუპვამდე.

ღვთის რჯული ცხოვრების კანონია, ვინაიდან რჯულის არსი არის ცხოვრების წმინდა პრინციპი მოყვასთა დაფასებისა და ღმერთის წინაშე ღვთისმოსაობისა, და სწორედ ეს არის სიყვარულის გამოხატულება.

აფასებდე მოყვასთ (და ყოველ გონიერ სულიერს ცათა სასუფეველში) - ნიშნავს, არ ხელყოფდე მათ სიცოცხლეს მის ყველა - ზნეობრივ, ფიზიკურ, მატერიალურ, სოციალურ სფეროში.

აფასებდე მოყვასთ - ნიშნავს, ავლენდე თავდადებული მსახურებისა და დახმარების სულს მათი ბედნიერებისთვის, მათი ყველა ჩანაფიქრის, უნარისა და ნიჭების რეალიზაციისა და განვითარებისთვის სხვების მიმართ მსახურებაში.

აფასებდე მოყვასთ - ნიშნავს, ცხოვრობდე მათთვის, ავლენდე მხოლოდ უანგარო და არაეგოისტურ სულს.

რჯული არის ღმერთის არსის ანუ ხასიათის გამოხატულება, ხოლო ღმერთის არსი არის სიყვარული.

# 29 იანვარი

## სიყვარული და რჯული

ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, ჩემს მოყვარულს კი ჩემი მამაც შეიყვარებს (იოან. 14:21).

რას წარმოადგენს მრავალ პასტორთა გულანთებული ქადაგებები, მეცნიერული ღვთისმეტყველური დისპუტები და სასულიერო მწერალთა მრავალრიცხოვანი ნაშრომები ღვთის სიყვარულზე, თუკი ეს სიყვარული არ უკავშირდება რჯულს, რადგან თვლიან, რომ რჯული დროებითი, არასრულყოფილი მოვლენაა და ამიტომ ქრისტემ დაგვავალა, გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასნი, და ამაშია მთელი ჭეშმარიტება? ამასთან დაკავშირებით მეხსიერებაში ცოცხლდება საინტერესო შემთხვევა ახლო წარსულიდან, როდესაც ხელისუფლება მთელი ძალისხმევით ცდილობდა, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიით "გაეფუებინა" ინტელიგენციის სული.

პროფესორი ზისი ფილოსოფიას ასწავლიდა მხატვრული ინტელიგენციის პარტგანათლების ქსელში. სასწავლო წლის ბოლოს შემაჯამებელ მეცადინეობას უნდა დასწრებოდა მაღალი პარტიული კომისია, რათა შეეფასებინა მოსკოვის წამყვან მსახიობთა იდეოლოგიური მომზადების დონე. ზისმა ერთ-ერთი თავისი მსმენელთაგანი, ცნობილი მსახიობი პეტკერი გააფრთხილა: "მე გკითხავთ, რა არის ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, თქვენ კი მიპასუხებთ: ფილოსოფიის ძირითადი საკითხი არის აზროვნების ყოფასთან დამოკიდებულების საკითხი..." - "ახლავე, ახლავე..." და პეტკერმა გულმოდგინედ ჩაიწერა პასუხი.

შემაჯამებელი მეცადინეობა საზეიმო ვუთარებაში დაიწყო. პროფესორმა თქვა: "ჩვენს საუბარს დავიწყებთ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის პასუხით. ვის სურს მიპასუხოს?" სიჩუმე. "აი თქვენ, გთხოვთ" (და პეტკერზე მიუთითა). პეტკერი ადგა, შეიშმუშნა და დაიწყო: "ფილოსოფიის ძირითადი საკითხი - ეს არაა ფილოსოფიის რაღაც მეორეხარისხოვანი საკითხი, არამედ მთავარი, უმნიშვნელოვანესი საკითხია. და იმიტომაც ეწოდება ძირითადი, რომ ის მნიშვნელოვანი და მთავარია... ეს საკითხი ძირითადია იმიტომ, რომ მთავარია, და მთავარია იმიტომ, რომ ძირითადია, და არა

რაღაც მეორეხარისხოვანი". მეცადინეობის შემდეგ ზისმა ჰკითხა: "რატომ მპასუხობდით ასე ცუდად?" "მე დავკარგე ფურცელი, სადაც პასუხი მეწერა", - მიუგო პეტკერმა (ი. ბორევი).

მსგავსად მსახიობ პეტკერისა, შეიძლება ვილაპარაკოთ სიყვარულზე, რამდენიც გვინდა, მაგრამ არ შევეხოთ არსს, რომელიც რჯულშია გამოხატული. და ერთხელაც რას ეტყვის უფალი სიყვარულის ასეთ აღმსარებლებს? «ბევრი მეტყვის იმ დღეს: "უფალო! უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?" მაშინ მე განვუცხადებ მათ: "მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო"» (მათ. 7:22,23).

## 30 იანვარი

### სიყვარული, რჯული და ცისარტყელა

თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში დარჩებით, როგორც მე დავიცავი ჩემი მამის მცნებები და ვრჩები მის სიყვარულში (იოან. 15:10).

როგორ შეიძლება ბიბლიის საპირისპიროდ ლაპარაკი სიყვარულზე რჯულის გარეშე? პავლე მოციქული, როცა ეხება სიყვარულის არსის საკითხს, ამბობს: "სიყვარული არ უბოროტებს მოყვასს" (რომ. 13:10). აქ უეჭველად ჩნდება კითხვა: როგორ გავიგებთ, თუ რა არის ბოროტება? როგორ გავიგებთ და შევიცნობთ, თუ რას ნიშნავს ბოროტება, თუკი უარვყოფთ ღვთის რჯულს? ეს აშკარა ანტიბიბლიური პოზიციაა, რომელსაც შეცდომებისა და რჯულის დარღვევისკენ მივყავართ. წმიდა წერილი ერთმნიშვნელოვნად, ზუსტად და არაორაზროვნად ამტკიცებს, რომ ბოროტება, ცოდვა, დანაშაული - ზნეობრივი კანონის დარღვევაა: "იმიტომ, რომ რჯულის საქმეებით ვერცერთი ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე, ვინაიდან რჯულით შეიცნობა ცოდვა. მაშ, რაღას ვიტყვით? ნუთუ რჯული ცოდვაა? არამც და

არამც. ოღონდ სხვანაირად არ შემიცვნია ცოდვა, თუ არა რჯულის მეოხებით, ვინაიდან ვერც გულისთქმას შევიცნობდი, რჯულს რომ არ ეთქვა: არ ისურვო" (რომ. 3:20; 7:7).

სიტყვა "სიყვარული" ღმერთის ზნეობრივი არსის კრებითი მახასიათებელი, მისი ხასიათია. სიყვარულს, უკიდეგანოსა და მიუწვდომელს, შეუძლია თავი იჩინოს უსასრულო გზებითა და უნარებით. აქვს თუ არა ამას ანალოგი ღვთიურ სამყაროში? აქვს.

ერთხელ ცნობილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა ი. ნიუტონმა ტელესკოპების სრულყოფაზე მუშაობისას შენიშნა, რომ ობიექტივით გადმოცემულ გამოსახულებას ნაპირებში ფერადი ზოლები ჰქონდა. ამ მოვლენამ ის დააინტერესა და მოინდომა, ამოეხსნა მისი ბუნება. იმ დროს ინგლისში ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა, და ნიუტონმა გადაწყვიტა, დროებით თავი შეეფარებინა თავის მშობლიურ სოფელში. თავისი ცდების ჩასატარებლად მან იყიდა მინის პრიზმები და გაეგზავრა. იქ, ჩაბნელებულ ოთახში ფანჯრის დარაბაში მან პატარა ნახვრეტი გააკეთა, რომლიდანაც ოთახში აღწევდა სინათლე. სინათლის სხივს გზაზე ნიუტონმა დაუდგა პრიზმა, და საპირისპირო კედელზე გამოჩნდა გამოსახულება სხვადასხვა ფერის ზოლებისა, რომლებიც მან ცისარტყელას შვიდ ფერად გაყო. აი, ნიუტონის ცდამ როგორ გააცნო კაცობრიობას სინათლის ჭეშმარიტი ბუნება.

როგორც სინათლე იყოფა შვიდ ძირითად ფერად, ასევე ღმერთმაც თავისი სიყვარული გამოხატა რჯულში - ათ მცნებაში. და, ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ სამყაროს მმართველის ტახტის გარშემო ანათებს ცისარტყელა.

## 31 იანვარი

### უზომოდ ვრცელია

ვინაიდან ღვთის სიტყვა არის ცოცხალი, მოქმედი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი, და აღწევს სამშვინველისა და სულის, სახსართა და ტვინთა

გაყოფის ადგილამდე, და განიკითხავს გულის აზრებსა და ყოველგვარ ზრახვებს (ებრ. 4:12).

მსგავსად იმისა, როგორც ღმერთმა გამოხატა თავისი სიყვარული ათ მცნებაში, ასევე, თუკი გავაკეთებთ ანალიზს თითოეული მცნებისა, რომლებიც "ვრცელია... ფრიად" (ფსალმ 118:96), ექნება თავისი დიდი სპექტრი. ეს ჭეშმარიტება მტკიცდება იმით, რომ უფალმა მოსეს მისცა ზნეობრივი ხასიათის უამრავი სხვადასხვა მცნება, ბრძანება, მითითება. იუდეველმა ღვთისმეტყველებმა, მეკანონეებმა გულდასმით გამოიკვლიეს თორა (მოსეს ხუთწიგნეული), მასში დათვალეს ყველა მცნება, ბრძანება, და განსაზღვრეს, რომ მათი საერთო რიცხვი არის 613. მათ ისინი გაყვეს ორ კატეგორიად: მითითებითი ანუ დამავალდებულებელი მცნებები, მათი რიცხვია 248 (ადამიანის სხეულის ორგანოების რიცხვის მიხედვით), და ამკრძალავი - მათი რიცხვია 365 (მზის წელიწადის დღეების რიცხვის მიხედვით). მორწმუნე ადამიანი, ფიქრისა და ლოცვისას ჩაწვდება ღვთის მცნებათა არსში. და უფალიც მუდამ მზადაა, დაეხმაროს მათ, ვინც მის ჭეშმარიტებას ეძებენ.

ღვთის სიყვარულში წვდომისას, პავლე მოციქულმა მოიხსენია რამდენიმე (სულ რამდენიმე!) განსაზღვრება იმისა, თუ როგორ გამოხატავს თავს სიყვარული: "სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ მრისხანებს და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის სასოება აქვს და ყოველივეს ითმენს" (1კორ. 13:4-7). განა მოციქულის ეს ჩამონათვალი იმისა, თუ როგორ იჩენს ან გამოხატავს თავს სიყვარული, ამოწურავს მისი გამოვლენის მთელ მოცულობას? რა თქმა უნდა, არა! ის შეიძლება გაგრძელდეს და გაგრძელდეს ახალი აღთქმის წიგნების გამოყენებით. მაგრამ თუკი თავისი სიყვარული ღმერთმა გამოხატა რჯულში - ათ მცნებაში, მაშინ პავლეს მიერ ნახსენებ თოთხმეტი "მცნებიდან" არის თუ არა ნახსენები თუნდაც ერთი მათგანი? სიტყვასიტყვით არ მოიხსენიება. მაგრამ მოციქულმა მოგვცა ღვთივშთაგონებული მაგალითი, თუ როგორ უნდა განვიხილოთ ათი მცნება, როცა უფლის ბრძანებებს მივყვებით. მან თქვა: «თქვენ გსმენიათ, უთქვამთ ძველებისთვის:

"არა კლა! ვინც მოკლავს სასჯელის თანამდები იქნება". მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ განურისხდება თავის ძმას, სასჯელის თანამდები იქნება. ვინც თავის ძმას ეტყვის - რაკა (სულელი), სინედრიონის თანამდები იქნება» (მათ. 5:21,22).

აი, აქედან ჩანს, როგორ "ვრცელია [შენი] მცნებანი ფრიად"! ის "განიკითხავს გულის აზრებსა და ყოველგვარ ზრახვებს".

# თებერვალი

მიტევება

მაგრამ შენა ხარ ღმერთი შემნდობი, მოწყალე და შემბრალე, ნელი რისხვაში და უხვი სიყვარულში, ამიტომ შენ არ მიგიტოვებია ისინი (ნეემ. 9:17).

## 1 თებერვალი

### მიტევების პირველი აქტი

მაგრამ შენა ხარ ღმერთი შემნდობი, მოწყალე და შემბრალე, ნელი რისხვაში და უხვი სიყვარულში, ამიტომ შენ არ მიგიტოვებია ისინი (ნეემ. 9:17).

გარკვეულ მომენტამდე მთელმა ვრცელმა სამყარომ არ იცოდა, რა არის ცოდვებში ცხოვრება. ქურდობა, მოტყუება, ცილისწამება, ვერაგობა, ბრალის დადება, დამცირება, ეჭვის მიტანა - ზეცის მკვიდრთათვის სრულიად უცხო, წარმოუდგენელი რამ იყო. ყველგან სუფევდა სიწმიდის, უმანკოების, უბიწოების ატმოსფერო. მაგრამ აი, რომელიღაცა მომენტში ლუციფერის, ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქერუბიმის - სამყაროს მართვაში ღვთის ნების შემსრულებლის სულში გაჩნდა უცნაური აზრები: რატომ მიეგება ქრისტეს ღვთიური პატივი და სამყაროს მმართველმა მხოლოდ ის შემოსა ასეთი აღმატებული უფლებებითა და რწმუნებულებით? რატომ მე არ შემიძლია დავიკავო მისი ადგილი?.. ამით დაედო სათავე ზეცაში შემაძრწუნებელ სამყაროსეულ ტრაგედიას. ლუციფერმა დაიწყო თავისი ერეტიკული აზრებისა და მეამბოხური შეხედულებების გაზიარება სხვა ანგელოზებთან, მათ სულებში თანდათანობით ანგრევდა პატივისცემას ღმერთისა და მისი რჯულისადმი. ღმერთი დიდხანს და მოთმინებით იტანდა ლუციფერის ყველა ეშმაკურ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს.

შეუძლებელია წარმოდგენა, რა ტკივილს განიცდიდა უფალი თავის სულში, როცა ხედავდა, მისი საყვარელი არსება როგორ სწამებდა ცილს მას - თავის შემოქმედს! და როდესაც მისმა დანაშაულებრივმა საქმიანობამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ სამყაროს დადგენილებებს საფრთხე დაემუქრა, ზეციერმა მამამ გადაწყვიტა, მამობრივად დალაპარაკებოდა და განეცხადებინა ლუციფერისთვის, რით დამთავრდებოდა ეს, თუკი არ შეჩერდებოდა და არ შეწყვეტდა თავის დამანგრეველ მუშაობას. "ლუციფერს ზეციურ შეკრებებზე იწვევდნენ... მრავალჯერ შესთავაზეს მიტევება იმ პირობით, თუ მოინანიებდა და უფლის მორჩილი გახდებოდა" (დიადი ბრძოლა, გვ. 383,384). ეს იყო სამყაროში ღმერთის მიერ პირველად შეთავაზებული მიტევების აქტი. უფრო მეტიც: უფალი შეპირდა, რომ მას მთლიანად აღადგენდა უწინდელ უფლებებსა და ნდობაში. ერთი სიტყვით, ბოროტების მამამთავარს მტანჯველად დიდხანს ექცეოდნენ გულმოწყალედ, შემწყნარებლურად.

აი, ასეთია ის, ღვთის სიყვარული! მისი გაზომვა და გაგება შეუძლებელია! და რა სამწუხაროა, რომ ლუციფერს სიმაყემ არ მისცა საშუალება, მიეღო ღვთის სიყვარულის საჩუქარი - **მიტევება**.

## 2 თებერვალი

### "მე გამოგისყიდე"

რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონვე აზიდა ძელზე თვისი სხეულით, რათა ცოდვისათვის მკვდრებმა სიმართლისთვის ვიცოცხლოთ: ვისი ჭრილობებითაც თქვენ განიკურნეთ (1პეტრ. 2:24).

უფალს სურს, ჩვენს სულებში აღადგინოს თავისი ხატი და მსგავსება, რომელიც ადამიანს შექმნის დროს მიეცა. ასეთია ღმერთის სიყვარული! ცოდვამ ჩამოგვაშორა ღმერთს და ჩვენში დაამახინჯა მისი სახე. მაგრამ ღვთიური ნება უცვლელი და მარადიულია: "განიწმიდეთ და იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე" (ლევ. 11:44). "მაშ, იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი" (მათ.

5:48). და ცოდვილის სულში ღვთის მსგავსების აღდგენის გზა არ არის ადვილი და მარტივი. ცოდვის საზღაური გადახდილი უნდა იყოს, და ეს საფასური მართლაც შემაძრწუნებელია - ცოდვილის საუკუნო სიკვდილი. ასეთია სამყაროს ღვთიური წესრიგი. და ამიტომ წინაპრები, რომლებმაც ედემში შესცოდეს, განწირული იყვნენ - ლაპარაკი არ იყო არავითარ ურთიერთობაზე ღმერთთან და ღვთის მსგავსების აღდგენაზე ადამიანის გზებით, ვინაიდან ეს შეუძლებელია. ამიტომ მთელი სამყარო - ერთგული ანგელოზები და უთვალავი პლანეტების უცოდველი მცხოვრებნი - გაირინდა გადაწყვეტილების მოლოდინში: როგორ მოექცევა ღმერთი ცოდვით დაცემულ ადამსა და ევას? წაართმევს მათ სიცოცხლეს და გაიმეტებს საუკუნო სიკვდილისთვის? თუ, მკაცრად გააფრთხილებს და რაიმე პირობით შესთავაზებს პატიებას? ნუთუ ის გაანადგურებს თავის ქმნილებას, ღმერთი ხომ სიყვარულია, უსაზღვრო, უცვლელი სიყვარული! და სწორედ მაშინ გამოაცხადა უფალმა: დედამიწის მცხოვრებთა ცოდვების გამო ფასს ის გადაიხდის - თვითონ მოკვდება მათ ნაცვლად. ცოდვების სხვა საზღაური არ იქნება საკმარისი, თანაბარზომიერი და მისაღები. თავად მეფემ და შემოქმედმა საკუთარ თავზე აიღო თავისი ქვეშევრდომების პასუხისმგებლობა ცოდვებისთვის, რათა ისინი მიეტევებინა მათთვის.

"ერთხელ გვიან საღამოს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა, დაეთვალიერებინა საგუშაგო პოსტები ქალაქში, რათა პირადად დარწმუნებულიყო, რამდენად ზუსტად ასრულებდნენ სამხედროები წესდებას. ყველგან სამაგალითო წესრიგს ხვდებოდა. როდესაც ტრიუმფალურ კარიბჭესთან მდგარ საგუშაგოს მიუახლოვდა, ხელმწიფემ მორიგეს აუკრძალა ზარის დარეკვა და ჩუმად შევიდა საგუშაგო ოთახში. ყველა ღილზე შეკრულ სრულ ფორმაში გამოწყობილ მორიგე ოფიცერს ხელებზე თავდაყრდნობილს მაგრად ეძინა მაგიდასთან. მაგიდაზე წერილი იდო. ხელმწიფემ წაიკითხა წერილი. ოფიცერი თავის ნათესავებს წერდა, რომ საქმეები არეული ჰქონდა წვრილი ვალების გამო და ბოლოს დასძენდა: "ვინ გადაიხდის ამ ვალებს ჩემს ნაცვლად"? ხელმწიფემ აიღო ფანქარი, თავისი სახელი მიაწერა და წავიდა. როგორი იყო გაოცება და სიხარული ოფიცერისა, როდესაც მან,

გაღვიძებულმა, შეიტყო იმის შესახებ, ვინც გადაწყვიტა, მისი ვალები გადაეხადა" (ვ. არტემოვი).

## 3 თებერვალი

### სიყვარული მიუტევებს

რადგან შევუნდობ მათ უსამართლობას და ცოდვებს აღარ გავუხსენებ (ებრ. 8:12).

როდესაც ადამი და ევა ცოდვაში მხილებულნი, უფლის წინაშე შიშითა და კანკალით იდგნენ და ელოდნენ სასიკვდილო განაჩენის გამოცხადებას, პასუხად გაიგონეს რაღაც უჩვეულო და იდუმალი: "ჩემი ნება ასეთია: თქვენ და თქვენი შთამომავლები იბრძოლებთ ბოროტებასთან. ბრძოლა სასტიკი იქნება. მე თქვენთან ვიქნები და ოდესმე ბოლოს მოვუღებ ცოდვას და ცოდვილებს. დედამიწას ნაწილობრივ ვართმევ ჩემს კურთხევებს. თქვენ კი ვალდებული ხართ, ედემი დატოვოთ".

შემდგომში უფალი ჩვენს წინაპრებს უგზავნიდა ანგელოზებს, რათა მათ, ხსნის გეგმის გახსნით, გადაეცათ მისი ბრძანება: "თქვენ მოკვდებით, მაგრამ არა ახლა. თქვენც და თქვენი შთამომავლებიც მოკვდავნი იქნებით. თქვენც და თქვენს თშამომავლებსაც მოგეცემათ დროებითი სიცოცხლე, თითოეულს ექნება შესაძლებლობა, სიცოცხლის განმავლობაში აირჩიოს რომელიმე ერთი გზა: სიმართლის გზა ან ცოდვის გზა, ღმერთთან დაბრუნების გზა - საუკუნო სიცოცხლის გზა, ან მისი უარყოფის გზა - საუკუნო სიკვდილის გზა. ესაა ადამიანის გადარჩენის ღვთიური გზა. მე მას აღვასრულებ. მე, უფალი, მოვალ თქვენთან, მოვალ ადამიანის სახით, რათა თქვენს ნაცვლად მოვკვდე. მე ჩემს თავზე ავიღებ დანაშაულსა და სირცხვილს როგორც თქვენი, ისე თქვენი შთამომავლების ცოდვების გამო. თქვენ ჩემს სიკვდილში შეძლებთ მოიპოვოთ ყველაფერი: ცოდვების მიტევება, მშვიდობა ღმერთთან, საუკუნო სიცოცხლე.

რა ხშირად დასტიროდნენ ადამი და ევა თავიანთ დანაშაულს, თავს ისჯიდნენ, რომ მათ გამო მათი შთამომავლები თაობიდან თაობამდე სულ უფრო დაბლა ეშვებოდნენ

ზნეობრივად და სულიერად, ხდებოდნენ ცოდვიანი სიამოვნებებისა და დანაშაულებრივი გულისთქმების მონები. ვერც ჩვენი უბედური წინაპრების ცრემლები, ვერც მათი მოწოდებები, რომ შეჩერებულიყვნენ და სამართლიანად ეცხოვრათ, ვერ აკავებდა ბოროტი საქმეებისა და გარყვნილების მღვრიე ნაკადს. მათ ყველა ვედრებასა და თხოვნას მათი შთამომავლები ბოროტი საყვედურებითა და გააფთრებული წყევლით პასუხობდნენ. რა მძიმე იყო იმის შეგნება, რომ მილიონების დაღუპვა მათი დანაშაულის გამო მოხდებოდა! ეს საშინელი აუტანელი ტვირთია, ამ ტანჯვა-წამების გადატანაში მათ უფალი ეხმარებოდა. და დიდება ღმერთს, რომ ზეცაში არავინ არასოდეს უსაყვედურებს ადამსა და ევას! ასეთია ღვთის სიყვარული - ის "არ განიზრახავს ბოროტს" (1კორ. 13:5). ის მიუტევებს!

## 4 თებერვალი

### სისხლი და მიტევება

რომლის [ქრისტეს] მიერ გვაქვს გამოსყიდვა მისი სისხლით, ცოდვების მიტევება მისივე მადლის სიმდიდრით (ეფეს. 1:7).

მიტევება - ღვთის სიყვარულის საოცარი თვისებაა. ღმერთი მზადაა, ცოდვები დანაშაულში არ ჩაუთვალოს ცოდვილებს; არ დააკისროს მათ ისინი და არ დასაჯოს მათ გამო; მტკიცედ და სამუდამოდ დავიწყებას მისცეს მათი ცოდვები, არ გაიხსენოს და არც შემცოდეებს გაახსენოს ისინი; დამნაშავეებს მოექცეს ისე, თითქოს მათ არასოდეს შეუცოდავთ, - აი, რას ნიშნავს ღვთიური მიტევება. მაგრამ ცოდვების მიტევება ისე უბრალოდ - "უფასოდ" - არ შეიძლება იყოს მოცემული ზეციდან. ედემის პირველ ცოდვილებს მიეცათ კანონი: ისინი ვალდებული იყვნენ, თავიანთი ცოდვის გამო ცხოველის სიცოცხლე გაეწირათ. ამ დროს მათ ხელი უნდა დაედოთ სამსხვერპლო ცხოველის თავზე, ეღიარებინათ ცოდვა და თავისი ხელით დაეკლათ ის, რომ მისი სისხლი დაეღვარათ. ასეთია კანონი, ასეთია მიტევებისა და ცოდვებისგან

განწმედის გზა, და მოციქული გვაუწყებს ამ კანონს: "სისხლის დაუღვრელად არ ხდება მიტევება" (ებრ. 9:22).

გულუბრყვილობა იქნებოდა ვარაუდი, რომ სამსხვერპლო ცხოველების სისხლი საკმარისი საშუალებაა ცოდვების თავიდან მოშორებისა და განადგურებისთვის. "ვინაიდან ვაცთა და კუროთა სისხლით ცოდვების მოსპობა შეუძლებელია" (ებრ. 10:4). ცერემონიალურ კანონს ჰქონდა მხოლოდ "მომავალ სიკეთეთა აჩრდილი", სიმბოლო, სახე, ხოლო ჭეშმარიტი მომავალი სიკეთე - ესაა "ქრისტეს ძვირფასი სისხლი, როგორც უბიწო და უმანკო კრავისა". უფალმა უთხრა მოციქულებს: "ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად" (მათ. 26:28). უფლის სისხლი, მისი სიკვდილი არის ჩვენი მიტევება, გამოსყიდვა, განწმედა, სიკვდილისა და ცოდვებისგან დახსნა. სხვა გზა, სხვა შესაძლებლობა, სხვა საშუალება ცოდვების მიტევებისა, მათი მოშორებისა არ არის და არც შეიძლება იყოს! ცოდვა არ არის ხუმრობა, თუკი მის მისატევებლად საჭირო გახდა სიკვდილი მხოლოდ უფლისა - სამყაროს შემქმნელისა და მეფისა. ცოდვა არის საშინელი მოვლენა, დამანგრეველი ზნეობრივი რჯულისა, რომელზეც დამყარებულია და მარადიული დროებიდან დგას უსასრულო სამყარო - ცათა სასუფეველი - და რომელთა დაცვაზე დამოკიდებულია ღვთის ყველა გონიერი ქმნილების კეთილდღეობა, ბედნიერება და საუკუნო სიცოცხლე.

# 5 თებერვალი

## ცოდვის გაცნობიერება და მიტევება

რადგანაც ჩემს ბრალს განვაცხადებ, ვიდარდებ ჩემს ცოდვაზე (ფსალმ. 37:19).

ცოდვების მიტევება - ფასდაუდებელი საჩუქარია ღვთისა. ღმერთს ის მეტისმეტად ძვირი დაუჯდა - მან მისთვის თავისი ძის სიცოცხლე მისცა. ამ საჩუქრის მიღება ყველა ადამიანს შეუძლია. ხოლო რადგანაც ბიბლია ამტკიცებს, რომ "ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას", "ყველანი გზას ასცდნენ, აღარავინ გამოდგება"

(რომ. 3:23,12), მაშინ უფალს სურს, რომ ყველა ადამიანმა მიიღოს მისი საჩუქარი მიტევებისა. სამწუხაროდ, დედამიწაზე მცხოვრებთა უმრავლესობას არ სურს მიიღოს თავისი ცოდვების მიტევება ან არ შეუძლია მიიღოს ეს საჩუქარი უვიცობის ან უმეცრების გამო. ადამიანს შეუძლია მიიღოს მიტევება, თუ:

**- შეიგნებს, რომ ცოდვა და ცოდვაში ცხოვრება არის უზნეობა, ფიზიკური და სულიერი გადაგვარება და გარდაუვალი სიკვდილი;**

**- სურს, თავი დააღწიოს ცოდვის ძალასა და ძალაუფლებას;**

**- სწამს, რომ ქრისტეს შეუძლია მიუტევოს და დაიხსნას ცოდვისგან;**

**- აღიარებს ცოდვებს ღმერთის წინაშე და სთხოვს მიტევებასა და მათგან დახსნას;**

**- ცოდვასთან ბრძოლაში ხარჯავს მაქსიმალურ ძალისხმევას უფლის ძალასთან შეერთებითა და მასთან თანამშრომლობით.**

საქვეყნოდ გავრცელებული კონსტატაცია ფაქტისა, რომ "ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ", ჯერ კიდევ არ მოწმობს იმას, რომ ადამიანმა ღრმად შეიგნო ყოფნა ცოდვის უიმედო მონობაში და გარყვნილი გულისთქმების, გრძნობებისა და ჩვევების ძალაუფლებაში. მდგომარეობა ადამიანისა, რომელმაც ნამდვილად გაიღვიძა და შეიცნო თავისი განწირულობა ბოროტებაში უიმედო გაყინვისა, ვლინდება გამოუთქმელ ტანჯვაში და ენით აუწერელ ვაებაში, მთელი არსების შერყევაში, რომელმაც არ იცის სულიერი სიმშვიდე და მშვიდობა.

აი, როგორ აღწერს ბიბლია ამ მდგომარეობას: "... არ არის მშვიდობა ჩემს ძვლებში ჩემი ცოდვის გამო. რადგან ცოდვანი ჩემნი გასცილდნენ ჩემს თავს, მძიმე ტვირთივით დამძიმდნენ ჩემზე, აყროლდნენ, დალპნენ ჩემი წყლულები ჩემი უგუნურების გამო. წელში მოვიხარე, ერთობ დავმდაბლდი, მთელ დღეს ნაღვლიანი დავიარები. რადგან ჩემი წელი გათანგულია სიცხით და აღარ არის ჯანსაღი ადგილი ჩემს სხეულში. დავუძლურდი და დავძაბუნდი მეტისმეტად, ვღრიალებ ჩემი გულის სატკივრით" (ფსალმ. 37:4-9). სწორედ ეს არის ჭეშმარიტი მდგომარეობა ადამიანისა, რომელსაც ცოდვის სისაძაგლის მთელი სიღრმე აქვს შეცნობილი და გამოცდილი - სულის

გამხრწნელი ბოროტების მთელი სიბილწე. მსგავსი შეგნება ცოდვისა ადამიანმა შეიძლება მხოლოდ ღვთის შეწევნით გამოსცადოს.

## 6 თებერვალი

### მიტევება და უმეცრება

მაგრამ ღმერთმა დაუშვა უმეცრების დროება და ახლა აუწყებს ადამიანებს, ყველას ყველგან, რომ მოინანიონ (საქმე. 17:30).

მეფსალმუნე ამჟღავნებს თავის სულიერ რყევებს და იუწყება, თუ რით და როგორ დასრულდა ისინი: «როდესაც ვდუმდი გაცვითა ჩემი ძვლები ყოველდღიურმა გოდებამ ჩემმა. რადგან დღისით და ღამით მძიმდებოდა შენი ხელი ჩემზე, სინედლე ჩემი შეიცვალა ზაფხულის გვალვით. ცოდვა ჩემი გაუწყე, და ბრალი ჩემი არ დამიმალავს. ვთქვი: "ვაღიარებ ჩემს ცოდვებს უფლის წინაშე". და შენ მომიტევე დანაშაული ჩემი ცოდვისა» (ფსალმ. 31:3-5). ღმერთმა მიუტევა დავითს, ვინაიდან მან მთელი არსებით შეიცნო თავისი ცოდვის საზიზღარი არსი და შემუსვრილი სულითა და გულის მორჩილებით აღიარა თავისი დაცემა.

მაგრამ როგორ შეიძლება ლაპარაკი ცოდვების მიტევებაზე, თუ არ ვიცით, რა არის ცოდვა, თუ არ გვესმის და წარმოდგენა არა გვაქვს მის საძაგელ გავლენაზე, რომელიც ანგრევს სამყაროს ღვთიურ წესრიგს და ღუპავს ღვთის საოცარ ქმნილებას?! და თანაც ასეთი დაუშვებელი მდგომარეობა უმეცრებისა სულაც არ არის გაბატონებული ცივილიზებული ცხოვრების წესიდან შორს მყოფ რომელიღაცა ინდიელებში ან ამაზონის ჯუნგლებში, არამედ არსებობს გლობალური მასშტაბის თანამედროვე ეკლესიებში, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი მრავალსაუკუნოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობით და დიდ როლს თამაშობენ კაცობრიობის ისტორიაში. მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი შემთხვევა.

მღვდელთან აღსარებაზე მივიდა გლეხი. და როდესაც მსახურმა ჰკითხა მას, თუ რომელი ცოდვები ჩაიდინა, აღმსარებელმა ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე დაიწყო თავისი ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევებისა და თავგადასავლების მოყოლა.

- მე არ მჭირდება ამ ყველაფრის ცოდნა, - გააწყვეტინა მღვდელმა. - შენ მხოლოდ შენს ცოდვებზე მელაპარაკე.

- საიდან ვიცი, რა არის ცოდვა, რა არ არის ცოდვა, - მიუგო დარცხვენილმა გლეხმა. - მე უსწავლელი კაცი ვარ. მე ყველაფერს გიყვებით, თქვენ კი თავად აირჩიეთ, რაც საჭიროა (ვ. არტემოვი).

უპატიებელია, რომ ჩვენს საუკუნეში - ინფორმაციის ყველაზე უნიკალური საშუალებებით განვითარებულ საუკუნეში, ქრისტიანები ავლენდნენ მოღაღადე უმეცრებას ღვთის ნებისა და ცოდვის მიმართ. ეკლესიის მსახურთა მოვალეობაა, მორწმუნეებს ასწავლონ ერთ-ერთი ფუძემდებლური ბიბლიური ჭეშმარიტება - სწავლება ცოდვის შესახებ, რათა მათ თავიანთი მდგომარეობა მოიყვანონ სიწმინდის სათანადო წესრიგში. უფალი მუდამ მზადაა მასთან მისული ცოდვილების მისაღებად და მისატევებლად!

# 7 თებერვალი

## აღიარება და მიტევება

თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, სარწმუნო და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და განგვწმედს ყოველგვარი უკეთურებისაგან (1იოან. 1:9).

ცოდვების მიტევება წარმოუდგენელია მათი აღიარების გარეშე. ცოდვების აღიარება (შეცნობა) მონანიების პროცესის განუყრელი ნაწილია. როცა შეიგნებს თავის ცოდვიანობას და კონკრეტულ ცოდვას, ადამიანი ვალდებულია, აღიაროს (სცნოს) ისინი. ვის წინაშე? ადამიანებისა და ღმერთის წინაშე, რა თქმა უნდა. ვის წინაშეც არ უნდა შესცოდის ადამიანმა - პირთა ჯგუფის თუ ცალკეული ადამიანის წინაშე, ვალდებულია, აღიაროს მათ წინაშე: ჯგუფის წინაშე უნდა აღიაროს სახალხოდ და

ითხოვოს პატიება; ცალკეული ადამიანის წინაშე - პირადად მის წინაშე აღიაროს ცოდვები და მოინანიოს. და შემდეგ, როცა მოყვასს შეურიგდება, შემცოდემ უნდა აღიაროს ღმერთის წინაშე. თუ ადამიანმა შესცოდა ღმერთის წინაშე, მაშინ მხოლოდ მის წინაშე უნდა აღიაროს და მიტევება მას სთხოვოს. თავისი ყველა მავნე ჩვევა, ხასიათის ნაკლი და სიმახინჯე - ეს მთელი უზარმაზარი პირადი "ტვირთი" საჭიროა მიიტანოს იესოს ფერხთით და "გულის ფარულ მანკიერებებში... უნდა გამოუტყდეს მხოლოდ ერთს, იესოს, და არ გაუხსნას სულის საიდუმლოებები შეზღუდულ, გზააბნეულ ადამიანს... ღმერთმა იცის გული და სულის ყველა საიდუმლო, და საჭირო არაა, ადამიანის ყურს მისწვდეს ისეთი ისტორიები, რომლებიც მხოლოდ ერთმა, ღმერთმა უნდა გაიგონოს" (მოწმობები ეკლესიისთვის, ტ. 5, გვ. 645).

ცოდვების აღიარებას მღვდლის წინაშე, სავალდებულო წესის ხარისხში აყვანას, "აღსარების საიდუმლოს" არა აქვს საფუძველი ბიბლიაში. ცოდვილსა და ღმერთს შორის არ უნდა იყოს არანაირი შუამავალი. წმიდა წერილში ნათქვამია: "ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი - კაცი ქრისტე იესო, რომელმაც თავი გასწირა ყველას გამოსახსნელად, რისი მოწმობაც იყო თავის დროზე" (2ტიმ. 2:5,6). ყოველი ცოდვა საბოლოოდ ღმერთის წინაშე უნდა იყოს აღიარებული. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ინსტიქტურად ესმოდათ წარმართებსაც კი, რომლებიც ჭეშმარიტ უფალს არ იცნობდნენ.

ერთხელ ლისანდრემ (სპარტელი მხედართმთავარი, ძვ. წ. 450-395 წწ.) სამოთრაკიელ ორაკულს მიმართა, და ქურუმმა უბრძანა დაესახელებინა ყველაზე უკანონო საქმე, რომელიც მას ცხოვრებაში ჩაედინა.

- და ვინ მოითხოვს ამას? - იკითხა ლისანდრემ, - შენ თუ ღმერთები?

- ღმერთები, - მიუგო ქურუმმა.

- მაშინ, გამშორდი, - უთხრა მხედართმთავარმა, - მათ მე თვითონ ვეტყვი (პლუტარქე).

# 8 თებერვალი

## აღსარება და ბოროტად გამოყენება - ნაწილი 1

ადამიანის სისულელე რყვნის მის გზას და უფალზე წყრება მისი გული (იგავ. 19:3).

ეკლესიის მიერ დადგენილმა "აღსარების საიდუმლომ" მრავალი სხვადასხვა ბოროტად გამოყენება წარმოშვა როგორც მრევლის, ისე მსახურთა მხრიდან. თუკი მღვდლები - ცოდვილი ადამიანები პატიობდნენ ცოდვებს, მაშინ კანონზომიერი შედეგი გახდა ფუქსავატური დამოკიდებულება ცოდვისადმი, რაც არა მარტო აბრაზებდა წმიდა ღმერთს, არამედ ნამდვილად პატივს ჰყრიდა მის სახელს. იმით სარგებლობისას, რომ მრევლი მათ მეტად საიდუმლო ზრახვებსა და საქციელებს ანდობდნენ, მსახურები ამ ინფორმაციას თავიანთი მიზნებისთვის ბოროტად იყენებდნენ.

თავის შესანიშნავ ნაწარმოებში "ერთი აზრით შეპყრობილი" ნ. ს. ლესკოვი მოგვითხრობს ერთ საკვირველ კაცზე, ა. რიჟოვზე, რომელიც ბიბლიას კითხულობდა და მისი სულის თანახმად, საოცრად პატიოსან, ღვთისმოსაურ ცხოვრებას ეწეოდა. როცა კვარტალური ზედამხედველი გახდა კოსტრომის გუბერნიის ქალაქ სოლიგალიჩში, იქ მან სამაგალითო წესრიგი დაამყარა. ეს სამუშაო მეტად შფოთიანი იყო და მადლიერიც არავინ ჰყავდა, თანაც გროშებს უხდიდნენ - ხელფასს თვეში ორ მანეთსა და ოთხმოცდარვა კაპიკს, რომლითაც (როგორც შემდეგ იტყვის გუბერნატორი) "ერთ ცხვარსაც ვერ გამოკვებავ". მაგრამ რიჟოვი ახერხებდა, თავისი თავიც და ოჯახიც გამოეკვება. ამან ქალაქის უფროსი მეტად გააკვირვა: როგორ შეუძლია ასეთ გროშებზე იცხოვროს? გადაწყვიტა, ცნობები შეეკრიბა: ხომ არ იღებს ქრთამებსა და ძღვენს? ქალაქის თავმა სულ დაკარგა მოსვენება და დახმარებისთვის დეკანოზს მიმართა, რათა მას აღსარებაში გამოეცადა რიჟოვი და გაეგო, რით სუნთქავს ის. დეკანოზი შეპირდა, რომ "ღვთის რისხვით დაემუქრებოდა და ათქმევინებდა ყველაფერს, რაც მასში საიდუმლო და დაფარულია და რატომ არ იღებს ძღვენს". "მღვდელმა რიჟოვს ათქმევინა და კიდეც დაიტრაბახა, რომ სასტიკად მოექცა, მაგრამ მასში ვერ იპოვა "სასიკვდილო ცოდვა". და ქალაქის უფროსს მოახსენა:

- ინანიებდა, ერთს, მეორეს, მესამეს, მაგრამ ყველაფერში ცოტა-ცოტათი არ არის წმინდა, თუმცა ცოდვები ყველა უბრალო, ადამიანური აქვს... ხოლო ძღვენს რომ არ იღებს, ეს ერთი მავნე ფანტაზიის გამოა.

- და რაში მდგომარეობს ეს?

- ბიბლია წაიკითხა...

- აი, სულელი! ახლა რა ვუყო მას?

- ვერაფეს უზამ: ის უკვე ძალიან ნაკითხია.

- ნუთუ "ქრისტემდეც" მიაღწია?

- სულ, სულ წაიკითხა.

- მაშ, მორჩა.

აი, ასე იღებდნენ "სარგებელს" აღსარების დამახინჯებიდან.

# 9 თებერვალი

## აღსარება და ბოროტად გამოყენება - ნაწილი 2

არამედ უარვყავით სასირცხვილოს დაფარვა და არა ცბიერი ქცევით და ღვთის სიტყვის დამახინჯებით, არამედ ჭეშმარიტების გამოჩენით წარვადგენთ ჩვენს თავს ყველა ადამიანის სინდისის მიმართ ღვთის წინაშე (2კორ. 4:2).

სახეზეა ბოროტად გამოყენება სულის ისეთი წმიდა და დელიკატური ქმედებისა, როგორიცაა ცოდვების აღიარება. დაუშვებელია, რომ ამ წუთისოფელში - დაცემული ადამიანისა და წმიდა ღმერთის ურთიერთობის, უნატიფესი სულიერი განცდებისა და ამაღლებული მისწრაფებების სამყაროში იჭრებოდნენ განუახლებელი ადამიანები, ამ უფლებაზე პრეტენზიის მქონენი, და ეს საიდუმლო სამყარო გადაიქცეოდეს ღმერთისა და ადამიანების წაბილწვად.

"ჩემს მეხსიერებაში მამაჩემი, - იხსენებს ცნობილი მწერალი ნ. ს. ლესკოვი, - ორლოველი მემამულე, რომელმაც ახალი სოფელი იყიდა კრომის მაზრაში, გლეხებს გზავნიდა სამრევლო ეკლესიაში მორიგეობით, უფროსის მეთვალყურეობის ქვეშ. ზუსტად ასევე იქცეოდნენ სხვა მეზობელი მემამულეები: ისინი გლეხებს დღესასწაულების დროს გზავნიდნენ ეკლესიაში და ხშირად მღვდლებთან ერთად თავად ამოწმებდნენ სააღმსარებლო წიგნებს".

აი, გოლგოთის წამებულის სიყვარულის რელიგია: მწყობრად წადით ეკლესიისკენ აღსარებაზე, რომ აღინიშნოთ სააღმსარებლო წიგნებში.

აი, აღსარების ბოროტად გამოყენების კიდევ ერთი გზა. ახალგაზრდა ქალი მოვიდა აღსარებაზე. მღვდელმა, რამდენიმე კითხვა რომ დაუსვა, მოიხიბლა ამ ქალით, მოინდომა მასთან ნაცნობობის გაღრმავება და სახელი ჰკითხა. "ჩემი სახელი სულაც არ არის ცოდვა, - მიუგო ქალმა. - რატომ უნდა გითხრათ". ახალგაზრდა ქალი პატიოსანი გლეხი გამოდგა და ტაქტიანად ამხილა ცოდვიან სიამეებს მოწყურებული მწყემსი.

ამ საკითხში არა მარტო დიდები ღებულობდნენ "სარგებელს" აღსარებიდან.

"აღსარებაზე, - იხსენებს ბავშვობის წლებს მწერალი ვ. ვერესაევი, - არ შეიძლება წასვლა, თუ არ მიიღებ პატიებას ყველასგან, ვისთვისაც კი გიწყენინებია. აღსარების წინ მამაც და დედაც კი გვთხოვდნენ პატიებას ყველას (შვილებს) და მსახურს. მე ეს ძალიან მაინტერესებდა და დედას ვეკითხებოდი: "აუცილებლად საჭიროა, რომ ყველამ გაპატიოს?" - "აუცილებლად". მე მიჩნდებოდა შანტაჟისტური გულისთქმები. "და რა იქნება, - უცებ რომ არ გაპატიო?" დედა სერიოზულად მპასუხობდა: "მაშინ მე გადავდებ მარხულობას და შევეცდები, დავიმსახურო შენი მიტევება". მე ეს ძალიან სასიამოვნოდ წარმომედგინა. ზოგჯერ კი ვფიქრობდი: ნუთუ არ შეიძლება, ამ დროს ორიოდე კარამელი რომ ვიშოვო? დედა მოვა, რომ პატიება მთხოვოს, მე კი: "მომეცი ორი კარამელი და მაშინ გაპატიებ!"

# 10 თებერვალი

## ცოდვების აღიარების გარეშე

ჩემთან მოსულს გარეთ არ გავაძევებ (იოან. 6:37).

შეიძლება თუ არა, იმედი გვქონდეს უფლისგან მიტევების მიღებაზე ცოდვების აღიარების გარეშე ადამიანების წინაშე, რომელთა მიმართაც ბრალი მიგვიძღვის, ან ღმერთის წინაშე? ბიბლია ამბობს: "თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის [ღმერთი]... მოგვიტევებს ცოდვებს" (1იოან. 1:9). აღიარება - ეს არის ცოდვების მიტევების პირობა. ის შეიძლება შევადაროთ კანონს, რომელსაც ვერ უგულებელყოფ და ვერც გვერდს აუვლი. მაგრამ არის გამონაკლისებიც.

ბიბლიაში არაა ნახსნები, რომ ადამმა და ევამ აღიარეს თავიანთი ცოდვები. მასში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ აბრაამმა აღიარა თავისი შეცდომები, თუმცა მან არცთუ ისე ცოტა და თანაც სერიოზული ცოდვა დაუშვა თავის ცხოვრებაში. მოსემ შესცოდა, როცა ხალხის წინაშე არ გამოაცხადა ღვთიური სიწმიდე. აღიარა თუ არა მან ეს ცოდვა? ბიბლიაში ეს არაა აღნიშნული. ელია წინასწარმეტყველმა გამოიჩინა მცირედმორწმუნეობა, იმედგაცრუება და შიში, როცა იზებელის მუქარა მოისმინა და გველთან ბრძოლის ფრონტის წინა ხაზიდან გაიქცა. აღიარა თუ არა მან ეს ცოდვები ღმერთის წინაშე? ბიბლიაში ამაზე არაფერია ნათქვამი. ქრისტემ დავრდომილს მიუტევა მისი ცოდვები, თუმცა მას ისინი არ უღიარებია (მათ. 9:2). ასევე უფალმა მიუტევა ცოდვები მრუშობაში მხილებულ ქალს, და არც მას არ უღიარებია მის წინაშე (იოან. 8:10,11). როდესაც მენელსაცხებლე ქალებმა მოციქულებს აუწყეს, რომ იესო აღდგა, ყველამ, თერთმეტივემ არ დაუჯერეს მათ: "მაგრამ ეს სიტყვები ფუჭად ეჩვენათ" (ლუკ. 24:11). აღიარეს თუ არა, სცნეს თუ არა უფლის წინაშე მათ თავიანთი, კოლექტიურიც და პირადი ცოდვაც? სახარებაში ამის შესახებ არაა ნათქვამი.

ეს ყველაფერი შეიძლება უცნაურად გვეჩვენებოდეს, მაგრამ ასეთია ბიბლიის სარწმუნო და უდავო მოწმობა. რით და როგორ ავხსნათ ეს ფენომენალური ფაქტი? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სინამდვილეში ყველა ზემოთ ნახსენებმა პირმა აღიარა თავისი ცოდვები, მაგრამ ამის აღწერა უცნობი მიზეზების გამო ბიბლიის მიღმა დარჩა.

ეს ასევე იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ღმერთი შემწყნარებლურად, თვინიერად და მიუკერძოებლად ზრდიდა თავის შვილებს და მოთმინებით ელოდა, როდის მომწიფდებოდა მათ გულში ცოდვის ამაზრზენი არსისადმი სიძულვილის ნაყოფი და ისინი აღიარებდნენ ამას. და ყველაზე მთავარი: უფალმა იცის, რით არის აღსავსე ყოველი ადამიანის სული, რით ცხოვრობს, როგორია მისი სურვილები. და თუ მას სურს თავი დააღწიოს ცოდვებს, ინანიებს სულში და სწყურია მიტევება, მაშინ უფალი მას ცოდვების ხმამაღლა აღიარების გარეშეც მიუტევებს.

## 11 თებერვალი

### სახალხო აღიარება

რადგანაც ჩემს ბრალს განვაცხადებ, ვიდარდებ ჩემს ცოდვაზე (ფსალმ. 37:19).

სახალხოდ ჩადენილი საქციელები, სერიოზული შეცდომები აღიარებული უნდა იყოს სახალხოდ. ამ წმიდა მოვალეობას არ უნდა ივიწყებდნენ ეკლესიის მსახურები, დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სახელმწიფოთა მეთაურები - ყველა, ვისაც ძალაუფლება გააჩნია. მათი გავლენა საზოგადოებაში დიდია. ისინი ადამიანების თვალწინ არიან და უნდა ატარონ პასუხისმგებლობა თავიანთი საქციელებისა და ცხოვრების წესის გამო. ისინი უნდა იყვნენ უმწიკვლო ზნეობრიობის მაგალითი და შეეძლოთ, რომ სახალხოდ აღიარებდნენ თავიანთ შეცდომებს. ბიბლიაც და კაცობრიობის ისტორიაც ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას.

ერთხელ, საზაფხულო სამხედრო სწავლების დროს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ რაღაცა ბრძანება მისცა დივიზიის მეთაურს გენერალ პენხერჟევსკის თავისი ადიუტანტის, თავად რადზივილის მეშვეობით. რადზივილმა ვერ გაიგო ბრძანება, თუ ზუსტად ვერ გადასცა, მაგრამ გენერალმა არასწორად შეასრულა იმპერატორის ბრძანება. ამის დანახვაზე, ნიკოლოზი ცხენით მიიჭრა გენერალთან და მკვახე საყვედური უთხრა. სახალხოდ შეურაცხყოფილმა პენხერჟევსკიმ მიუგო, რომ ბრძანება შეასრულა ისე, როგორც მას გადასცეს.

- ვინ გადმოგცათ? - ყვიროდა განრისხებული იმპერატორი.

გენერალს არ უნდოდა, რადზივილი გაეცა და უთხრა, რომ არ ახსოვს, ვინ გადასცა. ამან კიდევ უფრო გააბრაზა ხელმწიფე და დაიყვირა:

- დაავიწყდა!.. სირცხვილია, ბატონო, მოტყუება! (და წავიდა).

იმავე საღამოს რადზივილი მივიდა იმპერატორთან აღიარებით და უთხრა, რომ პენხერჟევსკი არაა დამნაშავე.

მაშ, ვინ არის დამნაშავე? - ჰკითხა ნიკოლოზმა.

- მე ვარ დამნაშავე. მე არასწორად გადავეცი თქვენი უდიდებულესობის ბრძანება.

- გაქებ გულახდილობისთვის, - უთხრა ხელმწიფემ, მაგრამ შეცდომა დაშვებულია, და ის გამოსყიდული უნდა იქნას. ხვალ დილას შეკრიბე ყველა ნაწილის მეთაურები და თვითონაც მოდი.

მეორე დილას ნიკოლოზმა შეკრებილ გენერლებს უთხრა:

- მე შეგკრიბეთ, ბატონებო, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულო. მე დიად ადამიანს მიწოდებენ. მაგრამ ვაცნობიერებ, რომ ხშირად შეცდომა მომდის. ბავშვობაში ცოტას მუშაობდნენ ჩემი ხასიათის გამოსწორებაზე. მე ზოგჯერ ვარ უსამართლო, როგორიც გუშინ ვიყავი ერთი ჩემთვის პატივსაცემი ოფიცრის მიმართ. პენხერჟევსკი, მოდი აქ!" გენერალმა სამი ნაბიჯი გადადგა წინ.

გუშინ სახალხოდ მოგაყენე შეურაცხყოფა და ახლა ყველას თანდასწრებით გიხდი ბოდიშს. მაპატიებ?

პერხენჟევსკიმ თავი დახარა, რომ ცრემლები დაემალა.

- მომეხვიე! - ხმამაღლა უთხრა ხელმწიფემ, და თვითონაც მაგრად მიიკირა ის მკერდზე...

ღმერთმა ინებოს, რომ ყველა მის შვილს ჰქონდეს სიმამაცე, აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს.

# 12 თებერვალი

## საულის აღსარება

თავის დანაშაულთა დამფარველს წარმატება არ ექნება, ხოლო მათი მაღიარებელი და დამტოვებელი შეწყნარებული იქნება (იგავ. 28:13).

საული ისრაელის პირველი მეფეა. როცა ექსტრაორდინალური გზით გახდა მეფე და მიიღო ძალაუფლება ღვთის რჩეულ ხალხზე, ის არ ეყრდნობოდა ღმერთს თავის ყოველ გეგმაში და მოქმედებაში, და ამით სათამაშოდ გადაიქცა ეშმაკის ხელში. საული, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ადამიანი იყო. მის ხასათში საოცრად იყო შერწყმული ისეთი შტრიხები და ზნეობრივი თვისებები, როგორიცაა სიმამაცე, უშიშრობა, თავგანწირვა, და პატივმოყვარეობა, დაუდევრობა, შური, სულიერი სიბრმავე.

დავითში, ამ ახალგაზრდა, გაბედულ, გახსნილ, ღმერთის თავგამოდებულ თაყვანისმცემელსა და პატივისმცემელში, საულმა დაინახა მეტოქე, მისი ტახტის პრეტენდენტი. და სხვა უფრო გონივრული და უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, ვიდრე ის, რომ დავითი ნებისმიერი საშუალებით ჩამოეშირებინა გზიდან. საულმა მას თავისი რჩეული რაზმით დაუწყო დევნა ყველა უდაბნოსა და მთაში. საწყალი დევნილი არაერთხელ და ორჯერ ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს, და მხოლოდ ღმერთის წყალობით აღწევდა თავს სისხლმოწყურებული მდევნელის ხელიდან. ღმერთი ხილული სახით აჩვენებდა საულს თავის უშუალო მონაწილეობას დავითის ბედში, და მის შეჩერებას ცდილობდა. ერთხელ მეფე თავის მსხვერპლზე მორიგი დევნის დროს შევიდა გამოქვაბულში, რათა საჭიროება დაეკმაყოფილებინა და არ იცოდა, რომ იქ დავითი იმალებოდა. დავითმა როგორღაც მოახერხა, შეუმჩნევლად მიეპარა საულს და მის ტანსაცმელს კიდე მოაჭრა. როდესაც საული წავიდა, დავითი უკან გამოედევნა და დაუძახა:

- ჩემო ბატონო მეფევ! დღეს შემეძლო მომეკალი. ნახე, შენი ტანსაცმლის კიდე - ის მოგაჭერი, შენთვის კი ხელი არ მიხლია. მე არ მაქვს შენზე ბოროტება, შენ კი ჩემი მოკვლა გინდა. დაე, უფალმა განგვსაჯოს.

ეს რომ გაიგონა, საული მწარედ ატირდა და თქვა:

- მართალი ხარ ჩემთან, რადგან შენ სიკეთით მიხდიდი, მე კი ბოროტებით გიხდიდი" (1მეფ. 24:18).

შემდეგ ჯერზე საული კვალდაკვალ მისდევდა დავითს და გადაწყვიტა, დაესვენა. უფალმა საულსა და მის ჯარისკაცებს ღრმა ძილი მოჰგვარა. დავითი და მისი მეგობარი ჩუმად შევიდნენ მათ ბანაკში, იპოვეს საული, მოიპარეს მისი შუბი, წყლის ჭურჭელი და წავიდნენ.

- ჩემო ბატონო მეფევ! რატომ დამდევ მე? რა გაგიკეთე? რა ბოროტება?

"და თქვა საულმა: შევცოდე... მე კი უგუნურად ვიქცეოდი და დიდად ვცოდავდი" (1მეფ. 26:21).

საულის ხასიათში, საქციელებში მართლაც ბევრი უგუნურებაა, მაგრამ აი, რა არის მასში შესანიშნავი: მან სახალხოდ აღიარა თავისი დანაშაული დავითის წინაშე და დაარწმუნა, რომ "მეტს აღარ გიბოროტებ".

## 13 თებერვალი

### მიტევების დღე

მაგრამ იყავით კეთილნი ერთიმეორის მიმართ, თანაუგრძნეთ და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ქრისტეში მოგიტევათ თქვენ ღმერთმა" (ეფეს. 4:32).

ჭეშმარიტ ქრისტიანებს არ შეიძლება არ ღელვებდეს კითხვა: როგორაა საზოგადოებრივი დანაშაულების აღიარების საქმე ისეთების, როგორიცაა მონებით ვაჭრობა, გენოციდი, ჰოლოკოსტი, ინკვიზიცია, ეთნიკური და კონფესიონალური კონფლიქტები? უნდა იყოს აღიარებული? როგორ? მივუტევოთ? ვის?

თავის წიგნში "მიტევება: სიძულვილის ბორკილების დამსხვრევისას" მ. ჰენდერსონი ეხება ამ საშინელ ბოროტებას - კაცობრიობის ამ მომაკვდინებელ განგრენას. მაგალითად, ავიღოთ ავსტრალია. "ავსტრალიის კოლონიზაცია დაიწყო 1788 წელს.

შემდგომი 150 წელი გახდა აბორიგენების თავიანთი სამკვიდრო ადგილებიდან გამოდევნისა და მასობრივი ამოწყვეტის პერიოდი". და ამგვარად, "ავსტრალიის ადგილობრივი ხალხები აღმოჩნდნენ სრული განადგურების პირას". 1993 წელს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პოლ კიტინგმა თავის სიტყვაში აბორიგენების წინაშე თქვა: "სწორედ ჩვენ ვიპყრობდით უცხო მიწებს. ჩვენ ვანგრევდით ცხოვრების ტრადიციულ წყობას. ჩვენ მოვიტანეთ სნეულებები და სპირტიანი სასმელები. ჩვენ ჩავდიოდით მკვლელობებს. ჩვენ ვართმევდით შვილებს მათ დედებს. ჩვენ ვახორციელებდით დისკრიმინაციის პოლიტიკას... ჩვენგან არავის უკითხავს: როგორ ვიქნებოდი, მე რომ ასე მომქცეოდნენ? ჩვენ გადავგვარდით ისე, რომ ვერც კი შევამჩნიეთ" მაგრამ აი, XX საუკუნის ბოლოს ქვეყანაში დაიწყო გამოღვიძება. 1991 წელს ჩამოყალიბებული იქნა "ადგილობრივ მოსახლეობასთან შერიგების საბჭო", რომელმაც მთელ ქვეყანაში აბორიგენებსა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის მოაწყო შეხვედრები, ფორუმები, დისკუსიები.

1993 წელს ავსტრალიის უმაღლესმა სასამართლომ კანონიერად აღიარა აბორიგენთა უფლებები მიწების მფლობელობაზე. სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფებმა თავიანთ შეხვედრებზე მიიღეს "მიტევების დღის" 1998 წლის 26 მაისს ჩატარების გეგმა. ამ იდეას მხარი დაუჭირეს სხვადასხვა საეკლესიო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ერთმა საკრებულომ გამოუშვა "მიტევების წიგნი" 1200 ეგზემპლარის ტირაჟით, რომელშიც ნებისმიერს შეეძლო ჩაეწერა თავისი მოსაზრება ბავშვთა გასხვისების პოლიტიკის შესახებ. მათში 400 ათასმა ადამიანმა დატოვა თავისი ჩანაწერები. საერთო ნაციონალურ "მიტევების დღეს" ავსტრალიის ქალაქებსა და დასახლებებში შედგა ასობით საზეიმო ცერემონია. ქალაქ პერტის კათედრალურ ტაძარში სხვადასხვა კონფესიების მსახურნი გამოვიდნენ მონანიებით. სიძულვლი, ომები, სისასტიკე ბოროტებაა. უფალი სიყვარულის, მშვიდობის, მიტევების წყაროა.

## 14 თებერვალი

### ზარალის ანაზღაურება და მიტევება

თუ ვინმემ მოიპაროს ხარი ან კრავი და დაკლას ან გაყიდოს, ხუთი მსხვილფეხა საქონელი უნდა გადაიხადოს ხარის წილ, და ოთხი წვრილფეხა საქონელი კრავის წილ (გამ. 22:1).

საკუთარი შეცოდებების გაცნობიერება და აღიარება აუცილებელია, მაგრამ ეს არაა საკმარისი, თუკი ვინმეს მატერიალური ზარალი მივაყენეთ. რომ გამოვისყიდოთ დანაშაული და ვიყოთ მიტევებული, ჩვენ ზარალი უნდა ავანაზღაუროთ. ასეთი მცნება მიეცა ისრაელს თვის დროზე, და მას, უდავოდ, იცავდნენ.

ჩვენს გადარეულ საუკუნეში ბევრი სახელმწიფო მოღვაწე და პარლამენტი იხდის ბოდიშს სხვადასხვა საშინელი დანაშაულის ჩადენის გამო კაცობრიობის წინააღმდეგ, რომელთა მსხვერპლი ადამიანთა უდიდესი მასები გახდა.

1934 წელს შვეიცარიაში მიღებული იქნა აშკარად რასისტული კანონი ქვეყანაში არასრულფასოვან მცხოვრებთა სტერილიზაციის შესახებ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას შორის პოპულარული სახე მიიღო იმის აუცილებლობის იდეამ, რომ გენეტიკურად სუფთა სვეების რასა დაეცვათ დეგრადაციისგან, რომელიც ხდება სხვა რასების წარმომადგენლებთან შერევით. ამისთვის სთავაზობდნენ, აკრძალულიყო შობადობის შესაძლებლობა "ეთნიკურად არასრულფასოვან მცხოვრებლებთან". ბოლო სტერილიზაცია ჩატარდა 1976 წელს. ამ პერიოდში 1934-დან 1976 წლამდე სტერილიზირებული იქნა 6 300 ადამიანი. მაგრამ შემდეგ საერთო მსოფლიო ტენდენცია შეიცვალა, სულიერად ავადმყოფებს აღარ თვლიდნენ მეორე ხარისხის მოქალაქეებად. შვედეთის ხელისუფლებამ საქვეყნოდ აღიარა დისკრიმინაციის ფაქტი ქვეყანაში, დაზარალებულებს ბოდიში მოუხადა და 1999-დან 2003 წლამდე უხვი კომპენსაცია გადაუხადა მსხვერპლებს მიყენებული ტანჯვისათვის: 1700 ადამიანმა მიიღო 175 000 კრონი თითოეულმა. ასე გამოისყიდა ხელისუფლებამ თავისი დანაშაული ათობით ათასი დამცირებულისა და შეურაცხყოფილის წინაშე.

1847 წელს აშშ ომს აწარმოებდა მექსიკასთან. ჩაპულტეპეკის ციხე-სიმაგრეში მოხდა გადამწყეტი ბრძოლა - ახალგაზრდა კადეტებმა გადაწყვიტეს მომკვდარიყვნენ, მაგრამ არ ჩაბარებოდნენ ამერიკელ სამხედროებს. ბრძოლის ას წლისთავზე 1947 წლის 5 მაისს მექსიკაში ჩავიდა პრეზიდენტი ჰ. ტრუმენი და ჩაპულტეპეკეს ციხე-სიმაგრეში

კადეტების საძმო საფლავზე გვირგვინი მიიტანა. ისტორიაში პირველად აშშ პრეზიდენტმა აღიარა, რომ "მისი ქვეყანა დამნაშავეა მექსიკელი ხალხის ტრაგედიაში". ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში გამოვიდა სტატია: "ტრუმენმა სამუდამოდ განკურნა მთელი ხალხის ძველი ისტორიული ჭრილობა". მაგრამ განკურნა კი? და როგორ იქნება აშშ-ს მიერ მიტაცებული 40 პროცენტი მექსიკის ტერიტორიის საქმე? ორმხრივი მშვიდობა და მიტევება მიღწეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორია მექსიკას დაუბრუნდება. ბიბლიის თანახმად, მხოლოდ ასე შეიძლება მიტევებისა და მშვიდობის მოპოვება.

## 15 თებერვალი

### "მიუტევეთ და მოგეტევებათ"

შეიწყნარეთ ერთმანეთი და მიუტევეთ ერთმანეთს, თუ ვინმესთან რაიმე სადაო აქვს ვინმეს, როგორც ქრისტემ მოგიტევათ, ასევე თქვენც (კოლ. 3:13).

ჭეშმარიტ ქრისტიანებს სწყურიათ, რომ უფალმა ღმერთმა მიუტევოს მათ მრავალრიცხოვანი შეცოდებები. და უფალი მზადაა მიუტევოს - იესომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ზეციერი მამა მიტევებას აძლევდეს ყველა მსურველს. მაგრამ არის პირობა, რომელიც ადამიანმა თავისი მხრიდან უნდა შეასრულოს. პირობა? პარადოქსული ხომ არ არის ეს? ნუთუ მიტევება ადამიანზე არის დამოკიდებული? რა პირობა არის ასეთ შემთხვევაში? იესომ თქვა: "ვინაიდან, თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ თქვენი ზეციერი მამა. ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენი მამა მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს" (მათ. 6:14,15).

თუ ჩავუღრმავდებით მაცხოვრის სწავლებას ღვთის ყოვლისმიმტევებელი სიყვარულის შესახებ, მაშინ მზადყოფნა და სურვილი ცოდვილის მიტევებისა ჩვენს წინ წარმოდგება მართალ მოწმობად და ჭეშმარიტ ნიშნად იმისა, რომ ჩვენს სულში სახეზეა ღვთის ძის გოლგოთის მსხვერპლის ნაყოფი, და ჩვენშია "ჭეშმარიტად აღსრულებული

ღვთის სიყვარული" (იხ. 1იოან. 2:5), და ასევე შედეგი იმისა, რომ სულიწმიდამ საფუძლიანად იშრომა ჩვენს სულზე და ის ისე იქცევა, როგორც თავად უფალი. ამიტომაც იესო სხვების მიმართ მიტევებას გვთავაზობს როგორც პირობას, რომ ღმერთმა მოგვიტევოს.

ჭეშმარიტი ქრისტიანი - ზეციდან შობილი ადამიანი არ შეინახავს და არ ატარებს თავის სულში არაკეთილმოსურნე გრძნობას იმის მიმართ, ვინც მის წინააღმდეგ შესცოდა. ეს სიყვარულს არ ახასიათებს. ბიბლია ამბობს: "სიყვარული კი ყველა ცოდვას ფარავს" (იგავ. 10:12). ის მზადაა მიუტევოს დამნაშავეს იმის დამოუკიდებლად, შეიგნო მან თავისი დანაშაული მის წინაშე თუ არა. ის არ იქნება მომთხოვნი შემცოდეს მიმართ, არ ჩაიდებს გულში სურვილს, "დარტყმა" მიაყენოს დამნაშავეს, როდესაც ის მასთან აღსარებით მოვა. უდიდესი სინანულით მოისმენს მის წინაშე შემცოდავის დანაშაულის აღიარებას, და ამასთანავე გამოსცდის უცნაურ და აუხსნელ გრძნობას, რომ თვითონ არის დამნაშავე ყველაფერში, რაც მოხდა და მზადაა, შემცოდავს სთხოვოს მიტევება.

აი, ასეთია ის, ქრისტეს სიყვარული, - საოცარი!

## 16 თებერვალი

### 52 წლის შემდეგ...

განა არ გმართებდა, შეგეწყალებინა შენი თანამონა, როგორც მე შენ შეგიწყალე? (მათ. 18:33).

1943 წელს ლ. ჰოველსენს, რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი იყო ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში, უღალატეს და დააპატიმრეს, აწამეს და სიკვდილი მიუსაჯეს. მაგრამ მისი დასჯა ვერ მოასწრეს - ომი დამთავრდა. გათავისუფლების შემდეგ მალე ჰოველსენი გახდა თავისი ყოფილი მტრების დარაჯი. ის სამაგიეროს სიამოვნებით უხდიდა ისეთივე დაცინვებით, როგორც თავის დროზე ისინი დასცინოდნენ მას. ერთხელ ყოფილმა უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერმა, ვ.

ჰაილმანმა, რომელიც სიცხისა და წყურვილისაგან იტანჯებოდა, ჰოველსენს წყალი სთხოვა. მან აიღო მთელი კასრი და პირდაპირ სახეში შეასხა. მცველებმა ერთხმად გადაიხარხარეს. ჰოველსენმა თავი ცუდად იგრძნო და სახლში გულდამძიმებული დაბრუნდა. სინდისის ხმა ეუბნებოდა: "ეს უსამართლობაა. შენ ცუდად მოიქეცი". ამის გახსენებაზე ის ამბობდა, რომ თავი ეზიზღებოდა ჩადენილის გამო, რომ შურისძიებამდე დაეშვა, მის გულში ცოცხლობდა იგივე სასტიკი ეშმაკი, რომელიც ნაცისტებს შორის იყო. და ეს საქციელი მას მოსვენებას არ აძლევდა, თუმცა ამ მომენტიდან გავიდა არც მეტი, არც ნაკლები, ორმოცდაათი წელი. და ჰოველსენმა გადაწყვიტა, მოეძებნა ჰაილმანი, ის, ვისაც ერთხელ ასე მხეცურად მიაწოდა წყალი. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ შეიტყო, რომ ჰაილმანი ხუთი წლის წინ გარდაცვლილიყო. მაშინ გადაწყვიტა, მისი ნათესავების შესახებ გაეგო რამე. აღმოჩნდა, რომ ჰაილმანს ჰყოლია ასული, და ის ცოცხალია. ჰოველსენმა მას დაურეკა და უთხრა: "მე მამათქვენს ვეძებდი, რადგან მასთან დალაპარაკება მინდოდა". მან ჰკითხა: "რაზე გსურდათ მასთან დალაპარაკება?" ჰოველსენმა უამბო ციხის დაცინვების შესახებ და იმ კასრ წყალზე, რომელიც მან მამამისს სახეში შეასხა, და შეიგნო თავისი საქციელის მთელი სიმდაბლე. "მინდოდა მამათქვენისთვის მეთქვა, რომ ძალიან ვწუხვარ მომხდარზე და მისთვის პატიება მეთხოვა". ამას მოჰყვა პაუზა, შემდეგ კი ქალმა გადაწყვეტილად და მტკიცედ თქვა: "მე გპატიობთ და გარწმუნებთ, რომ მამაჩემიც იგივეს გააკეთებდა".

ორიოდე კვირის შემდეგ ჰოველსენი ჰაილმანის ასულთან და მის ქმართან ერთად ჰაილმანის საფლავზე მივიდნენ და ყვავილები მიიტანეს. "იქ რომ ვიდექი, - თქვა შემდეგ ჰოველსენმა, - ვიცოდი, რომ ღმერთი კურნავს წარსულის ჭრილობებს... მიტევება - ესაა საჩუქარი, ნაყოფი მორჩილებისა იმ ჭეშმარიტი დარიგებების მიმართ, რომლებსაც ღმერთი ადამიანის გულს უცხადებს" (მ. ჰენდერსონი).

მზადყოფნა მისატევებლად - აი, ნიშანი იმისა, თუ როგორი გახადა ქრისტემ ცოდვილის გული.

# 17 თებერვალი

## კონფლიქტის დასასრული

ჩემო ძმებო, ნუ ჩივით ერთმანეთზე, რათა არ იყოთ მსჯავრდადებულნი, აჰა, განმკითხავი კარზეა მომდგარი (იაკ. 5:9).

სიცოცხლის განმავლობაში ყოველ ადამიანს ვინმესთან შემთხვევია კონფლიქტი. და აქ არც ქრისტიანები არიან გამონაკლისი. ასეთ მომენტებში სული განიცდის სიმძიმეს და არა თუ ერთი და ორი დღე, არამედ ზოგჯერ წლებიც კი გადის პირქუში განწყობის ტყვეობაში. რატომ არ მივიჩქარით ჩვენი განსაცდელიანად ღმერთთან, არ ვატარებთ საათებს მის სამსხვერპლო საკურთხეველთან და არ მივმართავთ სათნო მცდელობებს, რომ შევხვდეთ ჩვენს "არაკეთილმოსურნეს"? ზოგჯერ ჩვენ ვიცდით. რას ველოდებით? რომ სიტუაცია თავისთავად მოგვარდება? რომ დრო ყველაფერს განკურნავს? აჰ, რა სამწუხაროა! ანგელოზები მზად არიან, ნებისმიერ წუთს მოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად. თუკი ღმერთისკენ კიდეც ვიწვდით ხელებს, მაშინ ჩვენი იმედგაცრუება იმაშია, რომ ძალიან მალე ვიღლებით და ძირს ვუშვებთ მათ...

ა. ჰანტი მოგვითხრობს, რომ როცა იგი ახალგაზრდა მსახური იყო, ეკლესიაში შეეჯახა ერთ ქალს - ორი შვილის დედას. ქალს რთული ხასიათი ჰქონდა, მსახურს არ ენდობოდა, ეჭვი ეპარებოდა და მის ყოველ სიტყვას ეწინააღმდეგებოდა, თითქმის მუდამ მკვახედ პასუხობდა, მისგან იშვიათად თუ ისმოდა კეთილი, ნათელი სიტყვა. და ასეთი არგაგებისა და წინააღმდეგობის მდგომარეობა წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. კაცის აღიარებით, ის თავს არ აძლევდა საკუთარი გრძნობების გაანალიზების უფლებას და ცდილობდა, ყველა თავისი ნეგატიური ემოცია ჩაეხშო. ერთი წლის შემდეგ ამ ქალმა თავისი შვილები სხვა სკოლაში გადაიყვანა. მსახურმა შვება იგრძნო, მაგრამ გულის სიღრმეში ის უწინდებურად წუხდა ქალის საქციელის გამო.

ერთხელ, სახლში მიმავალი, შეჩერდა ჩოგბურთის კორტთან, რომ ეცქირა ბავშვების თამაშისთვის თავისი საეკლესიო სკოლიდან. და უცებ იქ დაინახა ქალი, რომელთანაც უთანხმოება ჰქონდა. ის პირდაპირ მისკენ გამოემართა. მსახური რაღაცა

უსიამოვნოს მოსასმენად მოემზადა. მაგრამ ის, რაც გაიგონა, დაუჯერებელი იყო: "ალენ, - უთხრა ქალმა, - მინდა, ბოდიში მოგიხადოთ. მე რამდენიმე მძიმე წელიწადი მქონდა. და ახლა ვხედავ, რომ სიმართლეს მეუბნებოდით. მე საშინლად გექცეოდით და ბოდიშს გიხდით. დამნაშავე ვარ. გთხოვთ, მომიტევოთ".

"გაოცებული ვიყავი - იხსენებდა კაცი. - უფრო გულწრფელი ბოდიში აქამდე არ მსმენოდა, მით უფრო ქალისგან, რომელიც ხშირად მაყენებდა შეურაცხყოფას. ეს მე, მსახურს, უნდა მელოცა მისთვის, მაგრამ ჩემი ცოდვიანობა არ მაძლევდა ნებას. თუ ვინმეს ვაწყენინებ, ღმერთო, გამომიგზავნე ისეთივე სულიერი სიწრფელე, როგორიც ამ ქალს ჰქონდა!"

## 18 თებერვალი

### "აი, ჩემი გადაწყვეტილება"

ყველა სიტყვას, რასაც იტყვიან, ნუ მიაქცევ ყურადღებას, რათა არ მოისმინო, შენი მონა რომ გწყევლის. რადგან შენმა გულმა იცის, რომ შენც სწყევლიდი სხვებს (ეკლ. 7:21,22)

ჩვენს ცოდვიან ცხოვრებაში შეიძლება წავაწყდეთ (დიდება ღმერთს, თუ ეს აგვცდა) სხვადასხვა სახის ცილისმწამებლურ გამონაგონსა და ბოროტულ მონაჩმახს, რომლებიც ჩვენს სახელს ბღალავს. განუახლებელ გულს ამ ბოროტებაზე მშვიდად რეაგირება არ შეუძლია. ის მეტად მტკივნეულად იტანს დისკრედიტაციის, დაცინვის, მომაკვდინებელი დარტყმების მიყენების ამ სატანისტურ ფორმას. ის, ვინც ასეთი გზებით ისახავს მიზნად, რომ დაამციროს თავისი ახლობელი, ზიანი მიაყენოს მის მორალურ მდგომარეობას, გამარჯვებული ღვარძლიანად ხარობს, თუკი მისი მსხვერპლი მწვავედ რეაგირებს "ანგარიშის გასწორების" მის მეთოდებსა და საშუალებებზე, რომლებიც ზეცის მიერ არის აკრძალული. თავად უფალმა თვის თავზე გამოსცადა გამონაგონისა და ცილისწამების ჯოჯოხეთური შხამის მთელი სისაძაგლე თავისი მისამართით, რომლებსაც ლუციფერი უსინდისოდ ავრცელებდა ზეციურ ანგელოზებს შორის. და ახლაც შეუწყვეტელი ნაკადით აღევლინება დედამიწის

მცხოვრებთაგან ბრალდებები და გმობა სამყაროს მმართველის მიმართ. როგორ ექცეოდა და ექცევა უფალი ამ ველურ, არანორმალურ მოვლენას გონიერ არსებათა ურთიერთობაში - ცილისწამებას, ცუდის სურვილს, შეგნებულად ცრუ ბრალდებებს? ღმერთი მოთმინებით იტანდა და იტანს სიცრუესა და ცილისწამებას თავის თავზე, და თავის მხრიდან აკეთებს ყველაფერს, რათა ამ ბოროტების მატარებელთ დაეხმაროს, შეიცვალონ და შეწყვიტონ მისი სამყაროს მოწყობის წესრიგის ნგრევა. უფალი თავისი სიყვარულით მზადაა, ადამიანებს მიუტევოს მთელი მათი ღვთისგმობა. სიყვარულს არ ახასიათებს შურისძიება. სიყვარულს ახასიათებს მიტევება.

პეტერბურგში გაჩნდა იმპერატრიცას შეურაცხმყოფელი ლექსები. საქმეების თაობაზე თავისი მოხსენების დასასრულს ობერპოლიცმეისტერმა რილეევმა იმპერატრიცას აუწყა, რომ იპოვა ქაღალდი, რომელშიც ერთი ახალგაზრდა მის სახელს ბღალავს. ქალმა თქვა: "მომეცით ქაღალდი". - "არ შემიძლია, ქალბატონო, მასში ისეთი გამონათქვამებია, რომ მეც კი მაწითლებს".- "მომეცით, გეუბნებით, რასაც ქალი ვერ წაიკითხავს, იმპერატრიცამ უნდა წაიკითხოს". ქალმა გაშალა, წაიკითხა, გაწითლდა, დარბაზში მიდი-მოდის, რისხვა ემატება. "არარაობა, მე მიბედავს შეურაცხყოფას? განა არ იცის, რა ელოდება, თუ კანონის დამცველებს გადავცემ?" ქალი განაგრძობს სიარულს და იმავე ბრაზით ლაპარაკს. ბოლოს გაჩუმდა. რილეევმა გაბედა, სიჩუმე დაერღვია: "როგორი იქნება თქვენი უმაღლესობის გადაწყვეტილება?" - "აი, ჩემი გადაწყვეტილება", - თქვა ქალმა და ქაღალდი ცეცხლში ჩააგდო (ი. სუდნიკოვა).

"სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია... ყოველივეს ითმენს [პატიობს, მიუტევებს]" (1კორ. 13:4,7).

## 19 თებერვალი

### "მიუტევე - და დაამთავრე"

ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან (მათ. 5:7).

გასაკვირი იყო მეფე ალექსანდრე I-ს დამოკიდებულება იმათ მიმართ, ვინც მას შეურაცხყოფდა. "იმპერატორ ალექსანდრეს გულმოწყალება იყო უსაზღვრო, მისი შეურაცხყოფის შემთხვევაში, განსაკუთრებით თავხედური სიტყვებით, - წერდნენ მასზე თანამედროვეები, - ასეთ საქმეებში არ იყო სხვა რეზოლუცია, გარდა სიტყვისა: "მიეტევოს". და აქ ჩინოვნიკებს უჩნდებოდათ პრობლემები, როდესაც მსგავსი სახის დანაშაულებთან ჰქონდათ საქმე, რადგან კანონის თანახმად ხომ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო მისი უდიდებულესობის შეურაცხმყოფელ პირთა მიმართ. მაგრამ იმპერატორს ამის მოსმენაც კი არ უნდოდა.

ერთხელ იუსტიციის მინისტრმა ი. ი დმიტრიევმა, რომელიც მოხსენებით წარდგა იმპერატორ ალექსანდრეს წინაშე, მიუტანა საქმე მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფის შესახებ. ხელმწიფემ ხელით გადასწია ქაღალდები და თქვა: "შენ ხომ იცი, ივან ივანოვიჩ, რომ მე ამნაირ საქმეებს არასოდეს ვისმენ. მიუტევეთ და დაამთავრეთ. რატომ უნდა ვკარგოთ დრო ამაზე?" - "ხელმწიფევ! უპასუხა დმიტრიევმა. - ამ საქმეში არის საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოებები, ნება მომეცით, ისინი ცალკე მოგახსენოთ". - არა, ივან ივანოვიჩ. რაც უფრო მნიშვნელოვანია ასეთი საქმეები, მით უფრო ნაკლებად მსურს მათი მოსმენა. შეიძლება შენ ეს გაკვირვებს, მაგრამ აგიხსნი. შესაძლოა მე, როგორც იმპერატორმა, მაინც მივუტევო, მაგრამ როგორც ადამიანმა, შევინახო ბრაზი, მე კი ეს არ მინდა. ამიერიდან ასეთი საქმეების დროს შეურაცხმყოფელის სახელსაც ნურასოდეს მეტყვი, არამედ უბრალოდ თქვი "მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფის საქმე", რადგან მე, თუმცა მივუტევებ, თუმცა არ დავიტოვებ ბრაზს, მაგრამ მეხსომება მისი სახელი, ეს კი კარგი არ არის" (ი. სუდნიკოვა).

აი, ასეთი არამომკითხველი იყო ალექსანდრე I. როდესაც საქმე ეხებოდა პირადად მას, მისი "მე" უგრძნობი იყო შეურაცხყოფების, წყენისა და ცილისწამებისადმი. და აქედან ჩვენ ვსწავლობთ რაღაცას - ჩვენ ხომ ისე უღირსად ვიქცევით, თუკი ვიღაცამ ჩვენს მიმართ არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება და პატივისცემა. და თუ ვიღაცა შემთხვევით უმნიშვნელოდ სასაცილოდ შეეხო ჩვენს "მე"-ს, მაშინვე სახე გვეღუშება, ვიბუტებით და დიდხანს ვიტოვებთ გულში არაკეთილმოსურნე გრძნობებს

"შეურაცხმყოფელის" მიმართ. ასე იქცევა ჩვენი ამაყი "მე" - მას არ შეუძლია წყენის პატიება. მაგრამ სიყვარული ხომ "არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს", ამბობს მოციქული. სიყვარული ყველაფერს პატიობს...

## 20 თებერვალი

### "გთხოვთ, დამეხმაროთ"

თუმცა ბოროტება ეტკბილება პირში (თვალთმაქცს)... თუმცა ზოგავს მას და არ გამოაგდებს... მაინც გადაექცევა საჭმელი სიმწარედ მუცელში, ასპიტთა შხამად მის ნაწლავებში (იობ. 20:12-14).

სიცოცხლის განმავლობაში ჩვენ, უეჭველად, მრავალ შეცდომას და შეცოდებას ვუშვებთ მოყვასთა წინაშე. ცუდად ვიქცევით, ქრისტეს მცნებების საპირისპიროდ, თუკი, ვინმეს ბოროტებას გავუკეთებთ, და არ ვჩქარობთ, რომ ვაღიაროთ ჩვენი დანაშაული დაზარალებულის წინაშე და პატიება ვთხოვოთ მას. ეს ჩვენი აუტანელი ტვირთია. მისგან გათავისუფლება, ამ საძულველი უღლის გადაგდება ჩვენი უდიდესი მადლია. და აი, რა არის საინტერესო: ჩვენს სულში დანაშაულის ტვირთის ტარება, მისგან არგათავისუფლება - ბოროტებაა. ამას მეცნიერებაც ადასტურებს. ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ დანაშაულის გრძნობამ შეიძლება ძალიან დაანგრიოს ადამიანის იმუნიტეტი. თავიდან მათი დასკვნები არ მიიღეს სერიოზულად, მაგრამ მათ წარმოადგინეს აბსოლუტურად ჯანმრთელი ქალი, რომელიც საავადმყოფოში იყო იმის გამო, რომ მისი გული ნორმალურად არ მუშაობდა. როგორც გაირკვა, მას ქმრისთვის უღალატია და ამის გამო დანაშაულის გრძნობა აწამებდა, ორგანიზმს ნორმალურად ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევდა.

დედა ტერეზამ ერთ-ერთ საუბარში იმ მოწყალების დების მუშაობის შესახებ, რომლებსაც ის ხელმძღვანელობდა, თქვა: "ჩვენი მუშაობა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მომაკვდავებს ჭრილობები შევუხვიოთ და სპეციალური დახმარება

აღმოვუჩინოთ. ჩვენ ვშრომობთ იმისათვის, რომ მათ, ვისზეც ვზრუნავთ, შეეძლოთ განიცადონ მიტევების გამოცდილება".

მაგალითისთვის მან ასეთი ისტორია მოიყვანა. ისეთივე მონაზვნებთან ერთად, როგორიც თვითონაა, დედა ტერეზა მუშაობდა კალკუტაში. ამ ქალაქის ვიწრო ქუჩებში ისინი პოულობდნენ მათ, ვისაც დახმარება სჭირდებოდა, ათავსებდნენ თავიანთ სანიტარულ მანქანაში და ჰოსპისში მიჰყავდათ. დედა ტერეზა უკვე აპირებდა, დაეხურა თავისი მანქანის კარი, რომ უცებ გაიგონა მოხუცი ქალის ტირილის ხმა. მან ქუჩაში გაიხედა - იქ არავინ იყო. მაგრამ ტირილი არ წყდებოდა. მაშინ მან შენიშნა კედელთან მდგარი ნაგვის ყუთი. შიგ რომ ჩაიხედა, დაინახა მოხუცი ქალი, რომელსაც სისხლი სდიოდა. უბედური საშინელ მდგომარეობაში იყო. "გთხოვთ, გთხოვთ, დამეხმარეთ, - ევედრებოდა ქალი, - ჩემმა ვაჟმა დამტოვა აქ მოსაკვდომად"... (გაგრძელება იქნება).

## 21 თებერვალი

### "გთხოვთ, დამეხმაროთ"

ვაჟმა კი უთხრა: "მამა! შევცოდე ზეცის მიმართ და შენს წინაშე. ღირსი არა ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე" (ლუკ. 15:21).

"ჩვენ ამოვიყვანეთ ის და სხვებთან ერთად საავადმყოფოში წავიყვანეთ. დავბანეთ, საჭირო მოვლა და დახმარება აღმოვუჩინეთ. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ღამე, რომელიც კი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში: ჩვენი დები მთელი ძალით ევედრებოდნენ, სთხოვდნენ მოხუცს, ვაჟიშვილისთვის ეპატიებინა. ასე გრძელდებოდა მთელი ღამე".

დილით ადრე ქალმა თქვა: "მოიცადეთ, მინდა რაღაც გითხრათ. მე კარგად მახსოვს ის დღე (ჩემი ვაჟი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო), როცა ეს ყველაფერი მოხდა. მე ის სახლიდან გავაგდე და გულიდანაც სამუდამოდ ამოვიღე. ამ მომენტიდან მან არასწორი გზა აირჩია. მე დამნაშავე ვარ იმაში, რომ მას არავისთვის შეეძლო მიემართა დახმარებისთვის". დედა ტერეზამ ჰკითხა: "თუ თქვენთან თქვენს შვილს მოვიყვანთ, მას სთხოვთ პატიებას?" ქალმა უპასუხა: "დიახ, დიახ, იპოვეთ ის, იპოვეთ ის".

და მან დებს უთხრა, სად შეიძლებოდა მისი ვაჟის პოვნა. ისინი მაშინვე გაეშურნენ მის მოსაძებნად. მათ იპოვეს უბედური კაცი, საშინელ სიღატაკეში მცხოვრები. დებმა კაცი დაარწმუნეს, მათ გაჰყოლოდა. დედა და ვაჟიშვილი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს.

"ეს იყო მტანჯველი მომენტი, - ამბობდა დედა ტერეზა, - ჩვენ არ ვიცოდით, რა მოხდებოდა".

დედამ მიმართა შვილს: "შვილო, მე გადაგაგდე ჩემი ცხოვრებიდან, როცა ჯერ კიდევ სულ ბავშვი იყავი. ვერავის სთხოვდი დახმარებას. ეს მე ვარ დამნაშავე, რომ შენი ცხოვრება ტანჯვით არის აღსავსე. გთხოვ, მაპატიო". და მაშინ კაცი, უხეში და გაუთლელი, აქვითინდა. "რა თქმა უნდა, - იმეორებდა ის, - რა თქმა უნდა, მაგრამ შენ შეგიძლია, მე მაპატიო?"

ამის შემდეგ დედა მალე მოკვდა. "მაგრამ ის წავიდა მშვიდი და დაწყნარებული, - ამბობდა დედა ტერეზა, - მან შერიგება ჰპოვა არა მარტო თავის ვაჟთან, არამედ ღმერთთანაც" (მ. ჰენდერსონი).

"ხოლო ჩვენ, ძლიერთ, გვმართებს ვზიდოთ უსუსურთა უძლურება და არ ვეძებოთ საკუთარი თავის სიამე (ანუ: არ გავუწიოთ ანგარიში მხოლოდ საკუთარ თავს)" (რომ. 15:1).

## 22 თებერვალი

### მიტევების სხვადასხვა სახე

ასევე მოგექცევათ თქვენ ჩემი ზეციერი მამა, თუ ყოველი თქვენგანი გულით არ მიუტევებს თავის ძმას მის შეცოდებებს (მათ. 18:35).

ქრისტიანი, თუკი ის ქრისტეს სახელს ფორმალურად არ ატარებს, აუცილებლად მიუტევებს შეცოდებებს თავის ახლობლებს. თუკი მას არ შეუძლია მიუტევოს, მაშინ ეს იქნება ასეთი ქრისტიანის სულიერი მდგომარეობის ერთობ სერიოზული კრიზისის მოწმობა. მიტევების უნარის არქონა უშეცდომოდ მიუთითებს, რომ ასეთ სულში არ

არის სიყვარული. სადაც არ არის სიყვარული, იქ არ არის მიტევება. სადაც არ არის მიტევება, იქ ურთიერთობებში კატასტროფაა. ეს განსაკუთრებით ხდება ოჯახებში - ქმარსა და ცოლს შორის. ე. კოული მოგვითხრობდა ორ ოჯახზე, რომლებშიც კრიზისი იყო. "კირილი ცხოვრობდა აღმოსავლეთის, ხოლო დენისი - დასავლეთის სანაპიროზე. ისინი ორივე დაოჯახებული იყვნენ, ორივემ ჩაიდინა მრუშობა. ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს, მე კი ერთსაც ვიცნობდი და მეორესაც. ისინი ორივე გამოუტყდა თავიანთ ცოლებს ღალატში, მოინანიეს და პატიება ითხოვეს. მაგრამ როგორი განსხვავებული იყო შედეგები!

როდესაც დენისმა დაიწყო აღიარება, ცოლმა მაშინვე უთხრა, რომ აპატია. მაგრამ როცა მათ რაიმე კამათი ან უთანხმოება წარმოექმნებოდათ, ცოლი ყოველთვის ახსენებდა მის ღალატს. ეს იყო მისი, ასე ვთქვათ, "კოზირი" ცოლ-ქმრულ თამაშში. იგი ამას თავისი მიზნების მისაღწევადაც იყენებდა ყოველ ჯერზე, მათი სიახლოვის დროს.

კირილთან ყველაფერი სხვა სცენარით ხდებოდა: საჭირო გახდა რაღაცა ხანგრძლივი დრო, მრავალი ძალისხმევა, ლოცვები და გულახდილი საუბრები, სანამ ცოლი ეტყოდა, რომ აპატია. მაგრამ როგორც კი მან ეს გააკეთა, შემდეგ აღარასოდეს შეუხსნებია ამის შესახებ. როდესაც კირილმა მიამბო, რაც მოხდა, და ისიც, თუ როგორ იქნა მათი ქორწინება შენარჩუნებული, მითხრა, რომ მათი ქორწინება ახლა უფრო "მყარია, ვიდრე როდისმე".

უფალიც სწორედ ასე ექცევა ცოდვილებს. "მე ვარ, მე ვარ ის, რომელიც რეცხავს შენს დანაშაულებებს ჩემი გულისათვის, და შენს ცოდვებს არ გავიხსენებ" (ეს. 43:25). სიყვარულს სხვანაირად არ შეუძლია, სხვანაირად მას არ ახასიათებს. სხვანაირად - ნიშნავს ტკივილის, დარდისა და მწუხარების მიყენებას. სიყვარული მიუტევებს სამუდამოდ, საუკუნოდ!

## 23 თებერვალი

### რამდენჯერ უნდა მივუტევოთ?

ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა (ფსალმ. 102:3).

რამდენი ცოდვა შეგვიძლია მივუტევოთ ახლობლებს და რამდენი ცოდვის მიტევება შეუძლია ღმერთს ჩვენთვის, ზეცა ასეთ ბუღალტერიას არ ეწევა. და მაინც ეს საკითხი ბევრს აწუხებს, ისინი ამბობენ: "ოჰ, ჩემი ცხოვრების განმავლობაში იმდენი შევცოდე, რომ ღმერთი არ მაპატიებს". მსგავსი შეკითხვა ერთხელ პეტრე მოციქულმა დაუსვა უფალს: «"უფალო, რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემს წინააღმდეგ თუ შესცოდა? შვიდჯერ?" უთხრა მას იესომ: "მე არ გეუბნები, შვიდჯერ-მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ"» (მათ. 18:21,22). რაბინებსაც, მოციქულებსაც და ქრისტესაც მხედველობაში ჰქონდათ ცოდვები, რომლებიც ხდებოდა ერთი დღის განმავლობაში: რაბინებს - სამი ცოდვა, პეტრეს - შვიდი, იესოს - დაუჯერებელი რიცხვი - 490 ცოდვა! მცირე ეჭვსაც კი არ იწვევს, რომ იესოს მხედველობაში არ ჰქონდა ცოდვების რეალური რაოდენობა. რიცხვი, რომელიც უფალმა დაასახელა, არის სიმბოლური და სრულყოფილი რიცხვი, იმის გათვალისწინებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბიბლიაში რიცხვებს შვიდს და სამოცდაათს. სწორედ ასეთი უჩვეულო რიცხვით სურდა იესოს, გამოეხატა ჭეშმარიტება: რამდენიც არ უნდა შესცოდოს ადამიანმა, საჭიროა მივუტევოთ მას, თუკი მოინანია და პატიება ითხოვა. და მაინც ვის მოუვა აზრად, აწარმოოს სხვების ცოდვათა აღრიცხვა - აკეთოს ასეთი სამარცხვინო ანგარიში?!

როგორია ღმერთის დამოკიდებულება მძიმე, ამაზრზენი, საშინელი ცოდვებისადმი? ბიბლიაში აღწერილია შემთხვევები, როცა ღმერთი პატიობდა ცოდვებს მათი სიმძიმისა და რაოდენობისგან დამოუკიდბლად. დავით მეფემ ჩაიდინა ერთი ორმაგად მძიმე ცოდვა - მრუშობა და მკვლელობა. თუ მრუშობა ბიბლიაში გამოყოფილია ყველა სხვა ცოდვისგან, როგორც ცოდვა, დაკავშირებული მწველ ხორციელ ვნებასთან (იხ. 1კორ. 6:18), რომელსაც ყველა ვერ უმკლავდება (აშკარად, სწორედ ეს დაემართა დავითს), მაშინ ურიას მკვლელობა იყო შეგნებული, გააზრებული ცოდვიანი გეგმა. და მაინც, როდესაც წინასწარმეტყველმა ამხილა იგი, და დავითმაც აღიარა თავისი ცოდვა, უფალმა მიუტევა მას, მაგრამ ცოდვის კანონზომიერი შედეგები - მძიმე, თავზარდამცემი - მან მთელი ღვთიური გეგმით გამოსცადა საკუთარ თავზე.

"ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა ცოდვა მიეტევება კაცთა შვილებს, და გმობა, რამდენსაც უნდა გმობდნენ" (მარკ. 3:28).

## 24 თებერვალი

### მეფე ბორკილებსა და ჯაჭვებში

როგორ გაგიმეტო, ეფრემ? როგორ გადაგაგდო, ისრაელ? როგორ გაგიმეტო ადმასავით? როგორ მოგექცე ცებოიმივით? გადამიბრუნდა გული, ერთიანად ამიტანა სიბრალულმა (ოს. 11:8).

განვაგრძოთ თემა იმის შესახებ, ნამდვილად არის თუ არა მზად უფალი, რომ მიუტევოს ცოდვები, როგორი მძიმე და ამაზრზენიც არ უნდა იყოს ისინი და რა რაოდენობითაც არ უნდა სჩადიოდეს ადამიანი. მივმართოთ ბიბლიას - ჭეშმარიტების ამოუწურავ და მარადიულ წყაროს. ბიბლიის განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის მიუკერძოებლად და ღიად მოგვითხრობს ნებისმიერ თავის პერსონაჟზე. მაგალითად, ავიღოთ იუდეველი მეფის მენაშეს ისტორია (იხ. 4მეფ. 21:1-18; 2ნეშტ. 33:1-20). მამამისი ხიზკიაჰუ იყო იუდეას ერთ-ერთი ყველაზე ღვთისმოსავი მეფე. "უფალს, ისრაელის ღმერთს ესავდა იგი. და არც მანამდე ყოფილა მისი მსგავსი იუდას მეფეთა შორის და არც მის მერე იქნება" - ასეთ ამაღლებულ ტონებში ახასიათებს მას ბიბლია. მაგრამ აი, ის მოკვდა და მეფე გახდა მისი ვაჟი, მენაშე. ის იზრდებოდა ჭეშმარიტი ღვთისმოსაობის ატმოსფეროში. მას მოუთხრობდნენ იმას, თუ რა სასწაულებრივად გადაარჩინა უფალმა იერუსალიმი გაძარცვისა და დამონებისგან ასირიელთა მეფის მხრიდან. უეჭველად, მას მამა მოუთხრობდა, თუ როგორ განკურნა უფალმა გარდაუვალი სიკვდილისგან და ამასთანავე რა საოცარი ნიშანი მისცა ღმერთმა მას. და ყველაზე მთვარი: მენაშემ იცოდა, რომ მამამისი თავგამოდებით და დაუღალავად ეწეოდა დაუნდობელ ბრძოლას კერპთმსახურებასთან და გაანადგურა ყველა კერპი, გორაკები, სვეტები და აღადგინა წმიდა მსახურება ცოცხალი ღმერთისადმი.

მეფე რომ გახდა, მენაშემ სატანისტური თავგამოდებით აღადგინა მსახურება ბაყალის და აშერას მიმართ, თავი მისცა სპირიტიზმს, ოკულტიზმს, მკითხაობისა და ჯადოქრობის სხვადასხვა ფორმებს. მთელი იერუსალიმი წალეკა ტერორისა და სისხლისღვრის ტალღამ, ერთი სიტყვით, დადგა უკუნი სულიერი სიბნელე. უფალი წინასწარმეტყველის მეშვეობით ევედრებოდა, შეჩერებულიყო, მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი ამაო იყო. და მაშინ ღმერთმა დაუშვა, რომ აშურის ლაშქარი შეჭრილიყო იუდეაში. მენაშეს ბორკილები დაადეს, ჯაჭვებით შეკრეს და ბაბილონში წაიყვანეს.

და იქ, დამცირებულმა და შერცხვენილმა, მეფემ გაიხსენა თავისი მამის ღმერთი, ღრმა მორჩილებით შეჰღაღადა და პატიება სთხოვა. და უფალმა შეისმინა მისი ვედრება და "იერუსალიმში, მის სამეფოში დააბრუნა" (2ნეშტ. 33:13). განა შეიძლება ღვთის უსასრულო სიყვარულის დიდებულების შეცნობა?! რა წარმოუდგენელი ცოდვები და ბოროტება ჩაიდინა მენაშემ - და ღმერთმა შეიწყალა ის! ო, საოცარო, ენით გამოუთქმელო სიყვარულო ღვთისა!

## 25 თებერვალი

### სასიკვდილო ცოდვა

ღმერთს ეუბნებიან: ჩამოგვშორდი, არ გვსურს ვიცოდეთ შენი გზები (იობ. 21:14).

უფალმა ბიბლიაში სიტყვითა და საქმით დაამოწმა, რომ მიუტევებს ცოდვებს, მიუხედავად მათი სისაძაგლისა და რაოდენობისა. მაგრამ მაინც არის ერთი, ერთადერთი ცოდვა, რომელიც მიტევებას არ ექვემდებარება. ქრისტემ თქვა: "ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა ცოდვა მიეტევება კაცთა შვილებს, და გმობა, რამდენსაც უნდა გმობდნენ; ხოლო ვინც სულიწმიდას დაგმობს, მას აღარასოდეს მიეტევება, არამედ საუკუნო ცოდვის თანამდებია" (მარკ. 3:28,29). ეს სწორედ ის ცოდვაა, რომელსაც იოანე მოციქული უწოდებს "მომაკვდინებელ ცოდვას" ანუ "სასიკვდილო ცოდვას" (იხ. 1იოან. 15:16). წმიდა წერილში არის ისეთი გამოთქმა, როგორიცაა "ურჯულოების ავსება" ანუ "დანაშაულებათა საწყაო" (იხ. დაბ. 15:16). ეს გამოთქმა

აღნიშნავს ღმერთის დამოკიდებულებას იმ ცოდვილებისადმი, რომელთა სულიერ მდგომარეობაზეც ის ყველანაირ ზეგავლენას ახდენდა და სულიწმიდის საშუალებით მიმართავდა მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა ისინი გონს მოსულიყვნენ და შეეწყვიტათ ცოდვები, მაგრამ მათ შეგნებულად უარყვეს მისი ყველა მოწოდება და ძალისხმევა. და მაშინ დგება ისეთი კრიტიკული მომენტი, როცა უფალი უდიდესი მწუხარებითა და წყენით ამბობს: "დავიღალე მე მიტევებით" ("ჩემი სიბრალული გაქრა") (იერ. 15:6). უდავოდ, თავისი ძნელად გადმოსაცემი შინაგანი მდგომარეობა ღმერთმა გამოხატა ანტროპომორფიული ენით, რათა თავისი გრძნობები ჩვენთვის გასაგებ, ანუ ადამიანის ცნობიერებისა და მეტყველებისთვის მისაღებ ენაზე გადმოეცა. ეს ნიშნავს, რომ ღვთიურმა სიყვარულმა, თუ შეიძლება ითქვას, ამოწურა თავისი შესაძლებლობები, და ამიტომ აღარ არსებობს არავითარი საშუალებები, არც გზები, რომლებიც ცოდვილს გადაარჩენდა. მან უგულებელყო და უარყო ყველაფერი, რაც ღმერთმა მის დასახსნელად აღასრულა. ასეთ ღია უგულებელყოფასა და მასთან ერთად გამომწვევ დამოკიდებულებას სულიწმიდის იმ ტიტანური ძალისხმევისადმი, როცა ცდილობდა ცოდვილის სულის გარდაქმნას, უფალმა ღვთის გმობა უწოდა. ცოდვილმა არ მოინანია, ის არ შეიცვალა, მისი ცოდვები არაა მიტევებული. მან ღმერთს სამუდამოდ აქცია ზურგი, და ღმერთიც იძულებული იყო, მიეტოვებინა იგი. ასეთი ადამიანისთვის აბსოლუტურად არ არის არავითარი იმედი, რომ მომავალში გაჩნდება ასეთი მომენტი და მიეცემა ასეთი შესაძლებლობა, მოინანიოს და მოიპოვოს მიტევება. ეს სამუდამო მსჯავრდებაა. და მან თავად აირჩია ის.

## 26 თებერვალი

ლუციფერის სასიკვდილო ცოდვა

უნაკლო იყავი შენს გზაზე შენი შექმნის დღიდან, სანამ არ აღმოჩნდა შენში უსამართლობა (ეზეკ. 28:15).

არის თუ არა ბიბლიაში ნახსენები ისეთი პიროვნებები, რომლებმაც შემოქმედისადმი თავისი დამოკიდებულებით, თავიანთი ცოდვებით იმდენად შეურაცხყვეს ღმერთი, რომ საკუთარ თავს დაუკარგეს მადლი და მიტევების ნიჭი? დიახ, არის.

სამწუხაროა, მაგრამ ეს დაემართა ყველაზე მთავარ და ყველაზე ნიჭიერ ქერუბიმს ზეცაში, ლუციფერს. მას უდიდესი უპირატესობები ჰქონდა სხვა ანგელოზებთან შედარებით, რომ აღარაფერი ვთქვათ უცოდველი პლანეტების მცხოვრებლებზე. ლუციფერი პირდაპირ ელაპაკებოდა ღმერთს, უშუალოდ მისგან ღებულობდა სამყაროს მართვასთან დაკავშირებულ დავალებებს. როგორია - ნებისმიერი შეკითხვები დაუსვა პირდაპირ შემოქმედს - როგორია ეს? და უმზერდე ღმერთის ენით აუწერელ დიდებასა და შეუდარებელ დიდებულებას - განა შეიძლება ამის შეფასება? და მუდმივად ფიქრობდე და წვდებოდე სამყაროს წყობას, აღტაცებაში მოდიოდე უსაზღვრო სიბრძნით და ტკბებოდე გამოუთქმელი სილამაზით, რომელიც შემოქმედმა მასში განახორციელა? ღვთის უსაზღვრო სიყვარულმა თავისი პოტენციალის რეალიზება პირდაპირ ლუციფერის თვალწინ მოახდინა. ის ამ ყველაფერს ხედავდა, ისმენდა, გრძნობდა - გამოუთქმელი ნეტარებაა! და ერთხელაც ეს ყველაფერი აღარ იყო მისთვის ფასდაუდებელი საუნჯე. მან აიკვიატა არანორმალური გეგმა, ღმერთი გამხდარიყო. და მიუხედავად ყოველგვარი გულახდილი საუბრებისა, ღმერთის თხოვნებისა და შეგონებებისა, ლუციფერი არ შეჩერდა. ეს დასრულდა ამბოხებით ზეცაში, რის შედეგადაც ის გამოძევებული იქნა ზეციური სავანეებიდან. და აი, მაშინ მოვიდა გონს. მას შეეშინდა და აღარც კომფორტულად იყო - მან ხომ დაკარგა ღმერთის სუფევის გამოუთქმელი ნეტარება. ის ღრმა სინანულმა მოიცვა და ერთ-ერთ ანგელოზს სთხოვა, უფლისთვის გადაეცა, რომ მასთან შეხვედრა სურდა. და აი, სასწაული! - უფალი დათანხმდა და შეხვდა მას. საუბრის დროს ლუციფერმა თქვა, რომ "ინანიებს თავის აჯანყებას და სურს, ღმერთის კეთილგანწყობა ისევ მოიპოვოს. მას უნდოდა, რომ ისევ დაეკავებინა ის ადგილი, რომელიც ღმერთმა თავიდან მიაკუთვნა... ქრისტეს ცრემლები მოერია სატანის წუხილის მოსმენაზე, მაგრამ მაინც უთხრა, რომ

როგორც ღმერთი ვარაუდობს, უკან აღარასოდეს მიიღებენ" (ე. უაითი. ხხსნის ისტორია, გვ. 26).

ლუციფერის ცოდვა იყო ცოდვა "სასიკვდილოდ". თავისი ქედმაღლური დამოკიდებულებით და გამომწვევი მოქმედებებით მან იმდენად შეურაცხყო ღმერთი და მისი სული, რომ მიტევებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ღმერთისადმი თავისი დამოკიდებულება ლუციფერმა გადააქცია ერთგვარ თამაშად, ფარსად: იქნებ, მოვიგო! და "თამაში დაასრულა" - მან ღვთიური გულმოწყალების საზღვარს გადააბიჯა...

## 27 თებერვალი

### ძალიან გვიანია!

და როცა თქვენ გაიწვდენთ ხელებს, მე აგარიდებთ თვალს, და რამდენიც არ უნდა ილოცოთ, არ მოგისმენთ. თქვენი ხელები სავსეა სისხლით (ეს. 1:15).

სახარებებში მოთხრობილია ადამიანზე, რომელმაც სულიწმიდის წინააღმდეგ ჩაიდინა ცოდვა. ესაა ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული - იუდა. ის იყო განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანი. მაგრამ მისი უბედურება მდგომარეობდა იმაში, რომ ის დაავადებული იყო ერთი სენით - მერკანტილიზმით, ანუ მომხვეჭელობის სიყვარულით. ის მივიდა იესოსთან, განაცხადა თავისი სურვილი, რომ გამხდარიყო მისი მიმდევარი და მიღებული იქნა რჩეულ მოციქულთა რიცხვში. მომდევნო სამ-ნახევარი წელიწადი იუდასთვის იყო ფასდაუდებელი წლები ურთიერთობისა თავის შემოქმედთან. უფალი შეუჩერებლად მუშაობდა იუდას სულზე - ტაქტიანად, მოთმინებით, შემწყნარებლურად. სამწუხაროდ, იესოს ყველა სიყვარულით აღსავსე სიტყვა და მოქმედება იუდასთვის ისეთივე "სასარგებლო" იყო, როგორც მკვდრისთვის ხელოვნური სუნთქვა. ის სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ არ მოხვდა თავის გარემოში - მის თვალსაზრისს არ იზიარებდნენ სხვა მოციქულები, ხოლო ქრისტე კიდევ თავს უფლებას აძლევდა, თუმცა რბილად, რომ ემხილა. და ბოლოს იუდამ გადაწყვიტა, გადაედგა უპრეცენდენტო ნაბიჯი, ეღალატა უფლისთვის.

"იუდა ფიქრობდა: თუკი იესოს ჯვარცმა გარდაუვალია და ეს აუცილებლად უნდა აღსრულდეს, მაშინ მისი ღალატი არაფერს შეცვლის, ხოლო თუკი იესო არ უნდა მოკვდეს, მაშინ იგი გაითავისუფლებს თავს. ორივე შემთხვევაში იუდა მოგებული დარჩება. მან ჩათვალა, რომ თავისი უფლის გაყიდვით ხელსაყრელი გარიგება მოახდინა" (ე. უაითი. ქრისტე - წუთისოფლის იმედი, გვ. 565).

იუდამაც, როგორც ლუციფერმა, უფალთან ურთიერთობა თამაშად აქცია. მან ზუსტად გათვალა ვარიანტები და დარწმუნებული იყო, რომ ნებისმიერ შემთხვევაში არ წააგებს. სამწუხაროდ, ისე გაერთო თამაშით, რომ დამარცხდა. როდესაც იუდამ დაინახა, რომ იესო არაფერს აკეთებს თავის დასახსნელად, სასამართლოს დარბაზში შეაღწია და დაიყვირა: "ის უდანაშაულოა, დაინდე იგი, კაიაფა!" შემდეგ კი მაგიდასთან მივიდა და მღვდელს ფეხებში მიაყარა ოცდაათი ვეცხლი - ღალატის საზღაური - და კიდევ უფრო ხმამაღლა დაიყვირა: "შევცოდე, მართალი სისხლი რომ გავეცი" (მათ. 27:4). მაგრამ კაიაფამ ზიზღით აუქნია ხელი: "ჩვენ რა? შენ იცი". დამაშინ იუდა დაეცა იესოს ფერხთით და ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ის ღვთის ძეა და ევედრებოდა, თავი დაეღწია დარაჯებისგან. «მაცხოვარს ერთი სიტყვითაც კი არ გაუკიცხავს იგი. მან მწუხარედ და თანაგრძნობით შეხედა იუდას და წარმოთქვა: "ამ წუთისათვის მოველი მე წუთისოფელში". როდესაც იუდა მიხვდა, რომ ამაო იყო მისი ხვეწნა-მუდარა, საჩქაროდ დატოვა დარბაზი, და წამდაუწუმ იმეორებდა: "ძალიან გვიანია. ყველაფერი ძალიან დაგვიანებულია!" იუდამ იგრძნო, რომ იესოს ჯვარცმით სიკვდილი მისთვის აუტანელი იქნებოდა და, სასოწარკვეთილმა, თავი ჩამოიხრჩო» (იქვე, გვ. 567).

"განა მე ვისურვებ ბოროტმოქმედის სიკვდილს?" - სიტყვა უფალი ღმერთისა, - "განა არ მინდა, რომ მოიქცეს თავისი გზიდან და იცოცხლოს?" (ეზეკ. 18:23).

## 28 თებერვალი

### თავი წარმოიცარიელა

და განვწმედ მათ ყველა მათი ურჯულოებისაგან, რომლითაც მათ შესცოდეს ჩემს მიმართ, და მივუტევებ მათ დანაშაულს, რომლითაც მათ შესცოდეს ჩემს მიმართ და რომლითაც განმიდგნენ მე (იერ. 33:8).

თავისი მიწიერი მსახურების დროს უფალი მიუტევებდა შეცოდებებს ადამიანებს, მაგალითად: დავრდომილ ახალგაზრდა კაცს, მეძავ ქალს, რომელმაც მას ცრემლებით დაბანა ფეხები, და ქალს, რომელიც მრუშობაში იყო მხილებული. ცოდვების მიტევების ყველა ეს შემთხვევა იმ დროის ოფიციალური ღვთისმეტყველების თვალსაზრისით არის პარადოქსალური და მკრეხელური აქტი. მეკანონეები და იუდაიზმის ორთოდოქსალური სიწმინდის დამცველები ღვთის გმობაში სდებდნენ ბრალს იესოს, რომელიც ადამიანებს ცოდვებს პატიობდა. და როდესაც ერთხელ იუდეველებმა გადაწყვიტეს, უფალი ქვებით ჩაექოლათ, მაშინ განმარტავდნენ, თუ რატომ იყვნენ მზად, ჩაედინათ ეს ბარბაროსული აქტი: "კაცი ხარ და ღმერთად ხდი შენს თავს" (იოან. 10:33). და უბედური ადამიანები, გონებით შეზღუდული და ბნელში მყოფნი, არც კი ფიქრობდნენ, რომ სწორედ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი და ნანატრი მესია, რომელიც მათთან, თავის შვილებთან მოვიდა, რათა შეასრულოს თავისი დაპირება, რაც მათ მამა-პილიგრიმებს მისცა, რომ მოაგვარებს ზეცისადმი მათ დამოკიდებულებას, რომელიც საბოლოოდ არეული, უაზრო და უიმედო იყო.

ცოდვების მიტევება - ესაა ღვთის სიყვარულის საჩუქარი ცოდვილებისადმი. უფალ ღმერთს, როგორც აბსოლუტურ სუვერენს უსასრულო ზეციურ სასუფეველში, აქვს თავისი რჯულის დარღვევების მიტევების უფლება. მაგრამ ეს უფლება დამყარებულია მისი სიყვარულის საოცარ თვისებაზე - თავგანწირვაზე თავისი ქმნილებების გულისთვის. ქრისტესმიერი სიყვარულის არსი, მისი უმაღლესი გამოვლინება - ესაა მსხვერპლად შეწირვა სხვისი გულისთვის: "იმაზე დიდი სიყვარული არავის აქვს, როცა ვინმე თავს სწირავს თავისი მეგობრებისათვის" (იოან. 15:13). სწორედ ეს აღასრულა იესომ ჩვენს ცოდვილ პლანეტაზე. და მზადყოფნა ცოდვილებისთვის ცოდვების მიტევებისა გამოვლინდა ჯვარზე: ჯვარცმული უფალი აუტანელი ტანჯვის დროს ღმერთს, თავის მამას სთხოვდა, ჯალათებისთვის მიეტევებინა მათი ბოროტება.

იმის გულისთვის, რომ მთელი კაცობრიობის ცოდვები და უღმერთოება მიეტევებინა და წაეშალა, იესომ, უფალმა და შემოქმედმა, "წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა" (ფილიპ. 2:7), რათა თავი გაეწირა. აი, გამოხატვა ღვთის გამოუთქმელი სიყვარულისა! (თავი წარმოიცარიელა სიტყვასიტყვით ნიშნავს "აქცია არაფრად"). "რისგან წარმოიცარიელა თავი?" ღვთიური დიდებისა და ღვთის ხატებისგან: ღვთის ძემ განკაცებაში ღვთის სახე შეცვალა მონის სახედ და ღვთიური დიდება - მონურ დამცირებაზე. აი, რა ძალუძს და რისთვის არის მზად თავისი ქმნილებების გულისთვის ზეციერი მეფე! და აქ არის მისი ძალაუფლების საიდუმლო და უფლება, მიტევებას აძლევდეს ცოდვილ ადამიანს!

# მარტი

### თავმდაბლობა

"რადგან ისურვებს უფალი თავის ერს, დაამშვენებს თავმდაბლებს შეწევნით" (ფსალმ. 149:4).

## 1 მარტი

### პირველი, მეორე და მესამე...

რადგან ისურვებს უფალი თავის ერს, დაამშვენებს თავმდაბლებს შეწევნით (ფსალმ. 149:4).

როდესაც ღვთის სიყვარულს ვუმზერთ, ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ აქვს. ჩვენ განცვიფრებული ვართ იმით, თუ როგორ, რანაირად გამოხატავს, ავლენს, იჩენს თავს სიყვარული და როგორი საოცარი თვისებები გააჩნია მას! აი, მორჩილებაც - ეს ღვთის სიყვარულის თვისებაა. ბიბლია ამბობს: "სიყვარული... არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს" (1კორ. 13:4). ეს კი ნიშნავს, რომ სიყვარულს ახასიათებს თავმდაბლობა, ვინაიდან სიამაყე, ყოყოჩობა თავმდაბლობის საპირისპიროა. რა არის თავმდაბლობა, თავმდაბალი? "თავმდაბალი - ესაა სიამაყის, ქედმაღლობის არმქონე; მას შეგნებული აქვს თავისი არარაობა, თავისი სისუსტეები; "მორჩილი, თვინიერი, დამჯერი". ცნებები "თვინიერი" და "თავმდაბალი" ერთმანეთთან ახლოა თავისი არსით. "თვინიერი" - მორჩილი, წყნარი, მშვიდი; ის გამოხატავს თავმდაბლობას, უბოროტობას. ამგვარად, თავმდაბალი, თვინიერი - ესაა ადამიანი, რომელიც თავისუფალია სიამაყისგან, თავდაჯერებულობისა და ამპარტავნობისგან, ყოყოჩობისგან; მას არა აქვს დიდი წარმოდგენა თავის თავზე, თავის უნარებზე, თავის შესაძლებლობებზე, არასოდეს გარბის წინ და არ ცდილობს, იყოს ყურადღების ცენტრში, არასოდეს უხრის თავს აპლოდისმენტებსა და ქებას, არ ამცირებს ახლობლის ღირსებებს; ადვილად აღიარებს თავის შეცდომებს, მშვიდობის გულისთვის მზადაა, სხვისი დანაშაული იკისროს, არ დაუშვებს ბუზღუნს, არ მრისხანებს და არ ღიზიანდება, სიტყვებში და საქმეებში ფრთხილი და ტაქტიანია, რათა არავინ გააღიზიანოს და არავინ ჩააყენოს უხერხულ მდგომარეობაში. ერთი სიტყვით, თავმდაბლობა ერთ-ერთი ყველაზე აშკარა და პირველხარისხოვანი თვისებაა ქრისტიანის ხასიათისა, რომლის მიხედვითაც უშეცდომოდ შეიძლება განისაზღვროს, თუ რამდენად არის ადამიანი აღსავსე ღვთის სიყვარულით. და უფალს სულაც არ უთქვამს შემთხვევით: "მოდით ჩემთან, და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ" (მათ. 11:28,29).

ავგუსტინი ამბობდა: "თუ მკითხავთ, რომელია ქრისტიანული რწმენის პირველი დამოძღვრა, გიპასუხებთ: პირველი, მეორე და მესამე არის თავმდაბლობა".

მ. ლუთერი კიცხავდა მათ, ვისაც, "ნაცვლად იმისა, რომ იყოს თავმდაბალი, სურს, სახელი გაითქვას თავმდაბლობით". თავმდაბლობა, მისი თქმით, - ესაა "აღქმადობა მადლისადმი".

ჟ. კალვინი თვლიდა, რომ მხოლოდ თავმდა3ბლობა განადიდებს ღმერთს. ბიბლია არაერთგზის ამტკიცებს ამ ძველ ჭეშმარიტებას, რომ "ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს" (1პეტრ. 5:5). ამიტომაც ისმის მოციქულთა მოწოდებები: "დამდაბლდით უფლის წინაშე და იგი აგამაღლებთ თქვენ" (იაკ. 4:10).

## 2 მარტი

### "ამას მოვხედავ"

და ამას მოვხედავ - დამორჩილებულს და სულით დაცემულს, აკანკალებულს ჩემს სიტყვაზე (ეს. 66:2).

ბიბლიის გულმოდგინედ გამოკვლევისას, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობებში წვდომისას, ჩვენ აღმოვაჩენთ სარწმუნო ფაქტს, რომ ღმერთი ოდითგანვე თავმდაბლად იტანს წარმოუდგენლად უზომო ტვირთს ცოდვებისა და დანაშაულებებისა, რომლებიც გულს სტკენს მას, სამყაროს შემოქმედსა და მმართველს - ასეთია მისი განსაცვიფრებლად არმომკითხავი და საოცრად შემწყნარებლური სიყვარული. როდესაც ჩვენმა წინაპრებმა ადამმა და ევამ შესცოდეს, უფალმა მაშინვე გამოუცხადა თავის მიერ დასახული გეგმა ცოდვილთა გამოსყიდვისა. ის თავმდაბლურად მივიდა თავის შეცდომილ შვილებთან ედემში. არავითარი მუქარა, არავითარი საყვედური, უმცირესი აღშფოთებაც კი არ ყოფილა შემცოდეთა მიმართ ღმერთის, სამყაროს მმართველის მხრიდან, მან უბრალოდ მწუხარებით აღნიშნა, რომ ღვთიური ძალაუფლებისა და ავტორიტეტის უარმყოფელნი თავის თავზე გამოცდიან გარდაუვალ შედეგებს. უფალმა ისინი არ მიატოვა, ზურგი არ აქცია მათ! ის განაგრძობდა ურთიერთობას მათთან და მათ შთამომავლებთან. ის თავმდაბლად

მივიდა კაენთან, ადამისა და ევას პირმშოსთან, რომელმაც კაცობრიობის განვითარების ყველაზე ადრეულ სტადიაზე თავი მთლიანად მისცა სიძულვილის, სიცრუისა და ვერაგობის სულს. ღმერთს ებრალებოდა კაენი - ის ხომ ხედავდა, თუ რა სწრაფად მოხდებოდა ადამისა და ევას პირმშო შვილის შთამომავალთა ზნეობრივი დამახინჯება, თუკი ასეთ სულს უფლებას მისცემდა, დაუბრკოლებლად ებატონა ადამიანთა სულებზე. და ამიტომ  უფალმა გადაწყვიტა, უსაზღვრო სიყვარულით, ძალდაუტანებლად და მშვიდად შეეკავებინა წარღვნამდელი ცივილიზაციის ერთ-ერთი პირველი პატრიარქი დამანგრეველი მონობისგან ბნელეთის ძალებისადმი. და რა სამწუხაროა, რომ კაენმა ოდნავადაც ვერ შეიგნო, არ მოუსმინა, არ დაუფიქრდა უფლის გამაფრთხილებელ სიტყვებს!

მაინც როგორი თავმდაბლობა აქვს წმიდა ღმერთს, რომელსაც სძულს ცოდვა და მასთან საერთო არაფერი აქვს, რათა გადალახოს ეს გრძნობა, თავი დაიმდაბლოს და ცოდვილებთან ჰქონდეს ურთიერთობა!

და უფალი ურთიერთობდა წარღვნამდელ ადამიანებთან, თავმდაბლურად ზრდიდა მათ, აფრთხილებდა, რჩევებს აძლევდა. და მათი რაღაცა ნაწილი არ იყო გულგრილი ღვთის სიტყვებისადმი. ასეთი იყო ხანოქი, რომელიც "დადიოდა ღმერთის წინაშე" - ცხოვრობდა თავის შემოქმედთან სიყვარულში და ისე იქნა წაყვანილი ცაში, რომ "სიკვდილი არ ენახა" (ებრ. 11:5).

## 3 მარტი

### დაიმდაბლა თავი

თქვენშიაც იმ საფიქრალზე იფიქრეთ, რაც ქრისტე იესოშია. რომელიც ღვთის ხატება იყო... წარმოიცარიელა თავი... დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე (ფილიპ. 2:5-8).

როცა ვეხებით იმ თემას, თუ ჩვენ, ცოდვილებმა როგორი ზენობრივი თვისებები უნდა შევიძინოთ, პავლე მოციქული მიგვითითებს ქრისტეზე, როგორც ჩვენს ნიმუშსა და

მაგალითზე: "თქვენშიაც იმ საფიქრალზე (ბერძნ. φρονέω (ფრონეო) - გრძნობდე, აზროვნებდე) იფიქრეთ, რაც ქრისტე იესოშია... დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე" (ფილიპ. 2:5-8). "დაიმდაბლა თავი" - არ ამბობს იმას, რომ წარმოქმნილ სიტუაციაში მან გადაწყვიტა, "გამხდარიყო თავმდაბალი", არა - ის თავმდაბალი იყო მუდამ, მარადისობიდან, ვინაიდან სიყვარული თავს ასე გამოხატავს. სიყვარულისთვის უცხოა სიამაყე, ქედმაღლობა, ყოყოჩობა, მას ახასიათებს თავმდაბლობა, თვინიერება, მორჩილება, მოკრძალებულობა. გამოთქმა "დაიმდაბლა თავი" ნიშნავს, რომ უფალმა მიიღო ადამიანის ბუნება, "დაიმცირა (სიტყვასიტყვით: წარმოიცარიელა) თავი", ანუ თავს ჩამოართვა ღვთიური ბუნება. ამიტომ "დაიმდაბლა" (ანუ "წარმოიცარიელა") და მორჩილი გახდა" - ეს ფაქტობრივად სტილისტური ხერხი - συνωνύμία (სიუნონიუმია), - გამოიყენება ლაპარაკში მოსაუბრის აზრის უფრო ღრმად გასაგებად. ამასთან ერთად არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ აქ საუბარია ღვთაების შეუცნობელი თვისებებისა და საქმეების შესახებ, რომელთა გადმოცემაც და გამოხატვაც ადამიანის შეზღუდული ენით მეტისმეტად ძნელია. უფლის განკაცება ანუ მისი გამოჩენა ადამიანის ხორცში (სხეულში) აბსოლუტურად იდუმალებით მოცული და უკუნითი უკუნისამდე ჩაუწვდომელი საიდუმლოა რომელიმე არსებისთვის სამყაროში, თანაც როგორც ფიზიკური, ისე სულიერი თვალსაზრისით. და უდავოდ, ადამიანის სხეულში დაბადება უფლისთვის რაღაც ახალი იყო მის მარადიულ არსებობაში, და ეჭვი არ არის, ღმერთისთვის ამაზე წასვლა სულაც არ ყოფილა ადვილი. ჩვენთვისაც სრულიად უცნობია, თავად შემოქმედს რასთან მოუწია შეხლა, როცა წყვეტდა ამ პრობლემას - ძის განკაცებას. ხომ შემთხვევითი არ არის, რომ **წინასწარმეტყველების სულის** მოწმობით, ადამისა და ევას ცოდვით დაცემის შემდეგ ღვთის ძე სამჯერ მოიცვა მამის დიდების ღრუბელმა და ისინი დიდხანს თათბირობდნენ, და მხოლოდ მაშინ დამოუცხადა უფალმა განუცხადა ანგელოზებს, რომ მამამ თავისი თანხმობა მისცა ძის განკაცებასა და სიკვდილს ცოდვილთა გადასარჩენად. თანაც ანგელოზმა თქვა, რომ მამას უბრძოლველად არ მიუცია თავისი ძე საწამებლად (იხ. ადრეული ნაწარმოებები, გვ. 127). და იმას, თუ რამდენად რთული იყო ღმერთისთვის, რომ მიეღო გადაწყვეტილება, ჩვენ მხოლოდ ბუნდოვნად შეგვიძლია მივხვდეთ, თუკი ღვთის ძე მამას სთხოვდა, რომ არ შეესვა ეს სასმისი, და შესძახა, თუ რატომ მიატოვა ის მამამ

ჯვარზე. ერთი რამ ცხადია, რომ უფალმა, მიუხედავად ყოველგვარი ტანჯვის, რისკის, განსაცდელისა, თავი დაიმდაბლა, დაიმცირა და მოკვდა ცოდვილთა ნაცვლად.

## 4 მარტი

### მორჩილება და ბოროტების წილ ბოროტების არკეთება

სჯობს თავმდაბლებთან სულით მორჩილება ამაყებთან ნადავლის განაწილებას (იგავ. 16:19).

ადამიანი შეიქმნა ღვთის მსგავსად და ხატად. უფალმა მისი შექმნისას მის სულში ჩადო თავისი სიყვარული, და მაშასადამე, თავმდაბლობაც, როგორც სიყვარულის შემადგენელი ნაწილი და მისი ნიშანი. მაგრამ აი, ის ჩავარდა ცოდვაში, დაარღვია წმიდა ურთიერთობები ღმერთთან, რომლებსაც მისთვის მოჰქონდა ურიცხვი კურთხევები და ძღვენი, და დაიწყო ადამიანის პიროვნების ნგრევა - ზნეობრივი და სულიერი თვისებები მახინჯდებოდა, მათ ადგილას კი სიყვარულის საპირისპირო თვისებები ველურ სარეველებად დაუდგრომლად აღმოცენდებოდა. ასე ყალიბდებოდა ხასიათის მხეცური თვისებების მქონე ადამიანი. ფასეულობები იცვლებოდა. ხასიათის ისეთი თვისებები, როგორიცაა თავმდაბლობა, მორჩილება, თვინიერება განიხილებოდა როგორც ნაკლი, სისუსტე, ხარვეზი. და ცოდვის სასტიკ და ველურ სამყაროში ისინი გახდა უსარგებლო, მხოლოდ ზიანის, დანაკლისის მომტანი და ხელის შემშლელი რამ ცხოვრებისეული ზრახვებისა და გეგმების მიღწევაში. აი, რატომ უყურებენ თავმდაბალ ადამიანს, როგორც ღვთის გლახას, უცნაურს, უცხოს, რომელიც მხოლოდ სიბრალულის ღირსია. სწორედ ასე ექცევიან ასეთ ადამიანს: გულმოწყალებით, გაგებით, არამომთხოვნელობით, და თანაგრძნობის ნიშნად იქნევენ თავს. ამიტომაც ვერ უგებენ ადამიანები ქრისტეს, რომელმაც განაცხადა: "წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას, მეორე ლოყაც მიუშვირე. ვინც მოისურვებს შენს განკითხვას და მოსასხამის წაღებას, სამოსელიც თან გაატანე მას" (მათ. 5:39,40).

ასე მოქცევა შეუძლია მხოლოდ თავმდაბალ სულს, რომელიც ბოროტებას ბოროტებით კი არა, არამედ მხოლოდ სიკეთით უპასუხებს. და ასეთი ადამიანები ჰყავდა ღმერთს ყოველ საუკუნეში და ყველა დროს. ესენი არიან მისი ჭეშმარიტი შვილები, სინათლის სხივი ცოდვის ბნელ სამფოში. ისინი არიან სხვა სამეფოს წარმომადგენლები, მათ ვერ უგებენ, მათ ერიდებიან. მათი თვალსაზრისი, მათი საქციელები არ ემთხვევა მორალის "საყოველთაოდ მიღებულ" ნორმებს. აი, მაგალითად, ასეთი აზრი ჰქონდა ი. სტრავინსკის, რუს კომპოზიტორსა და დირიჟორს ცნობილი კრიტიკოსის ვ. სტასოვის შესახებ. მან იცოდა კრიტიკოსის მეტისმეტად რბილი მხატვრული შეფასებები და თქვა: "მას ამინდზეც კი არ უთქვამს ცუდი". თუ ადამიანი მეგობრულია თავის მსჯელობებში და რბილია ურთიერთობებში, მას თვლიან დოყლაპიად - ცოდვიანი სამყაროს სასტიკი შეფასება...

## 5 მარტი

### ძალზე თავმდაბალი ადამიანი

მოსე იყო კაცი ძალზე თავმდაბალი, დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიანთაგან (რიცხ. 12:3).

თავმდაბალი ადამიანი არ ფიქრობს თავის თავზე, თავის პრესტიჟზე, თავის ავტორიტეტზე. მოსე ყველაზე ავტორიტეტული და საოცარი პიროვნებაა ბიბლიაში - ის "იყო კაცი ძალზე თავმდაბალი, დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიანთაგან" (რიცხ. 12:3). მაგრამ ბიბლიაში ასევე აღწერილია შემთხვევები, როცა მან გამოავლინა სიმამაცე და გაბედულება, როცა დაიცვა ებრაელი კაცი და რეღუელის ასულები ძალადობისგან. მაგრამ ეს თვისებები მასში ვლინდებოდა მაშინ, როცა საქმე ეხებოდა სხვა ადამიანებს, ან რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როცა ლაპარაკი იყო ღმერთის ავტორიტეტსა და საქმეზე. აქ უკვე მოსე იჩენდა არაჩვეულებრივ თავგამოდებასა და მზადყოფნას, რომ საკუთარი თავი გაეწირა ღმერთის გულისთვის. რაც შეეხება თვით

მას, აქ ის ავლენდა საოცარ თავდავიწყებას, თავმდაბლობას, თვინიერებას - ის არ წუხდა თავის თავზე, თავის მდგომარეობაზე, თავის ავტორიტეტზე.

არც აარონისა და მოსეს წინააღმდეგ კორახისა და მისი თანამონაწილეების ამბოხების დროს, არც მისი მისამართით აარონისა და მირიამის აღმაშფოთებელი დრტვინვის დროს, არც ათი მზვერავის მიერ პროვოცირებული საყოველთაო ამბოხის დროს, მოსეს თავისი მხრიდან არაფერი უღონია, რომ თავი ემართლებინა, თავი დაეცვა და უკეთესი წარმოჩენილიყო, - ის მთლიანად უფალზე იყო მინდობილი, კარგად იცნობდა მას და დარწმუნებული იყო, რომ შემოქმედი აკონტროლებს სიტუაციას, და თუ საჭიროდ ჩათვლის, რომ ჩაერიოს, აუცილებლად გააკეთებს ამას. მოსე მორჩილად ელოდებოდა, როდის იტყოდა ღმერთი თავის სიტყვას. და ისიც ყველა შემთხვევის დროს იცავდა თავის მსახურს.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჭკუის სასწავლებელი შემთხვევა სირაკუზელი მმართველის გელონის ცხოვრებიდან, რომელიც მეტად რბილი კაცი იყო. და მაინც გამოჩნდნენ მაშფოთებლები, რომლებმაც მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყეს. ეს რომ შეიტყო, გელონმა მოიწვია სახალხო კრება, იქ სრული შეიარაღებით მივიდა და ხალხს სიტყვით მიმართა. დასაწყისში კრებას შეახსენა, რაც მან მათ სასიკეთოდ გააკეთა, და ბოლოს ილაპარაკა შეთქმულებაზე. შემდეგ მოიხსნა საჭურველი და თქვა: "აი, თქვენს წინ მარტო ქიტონში უიარაღოდ ვდგავარ. მომექეცით ისე, როგორც გინდათ". სირაკუზელები განცვიფრებული იყვნენ გელონის სულისა და თავმდაბლობის სიდიადით და დაადგინეს, გადაეცათ შეთქმულები, მისთვის კი მთელი ძალაუფლება სრულად შეენარჩუნებინათ. მაგრამ მან შური არ იძია შეთქმულებზე, არამედ განსასჯელად ხალხს გადასცა. ამ შემთხვევის სამახსოვროდ სირაკუზაში დადგეს გელონის ქანდაკება, რომელიც მას გამოხატავს მარტო ქიტონში, სარტყლის გარეშე. (კ. ელიანი).

# 6 მარტი

## თავმდაბლობის ნეტარება

ერთსულოვანნი იყავით ერთმანეთში. ქედმაღლური ფიქრები ნუ გექნებათ, არამედ მორჩილებს მისდიეთ, ბრძენი ნუ გეგონებათ საკუთარი თავი (რომ. 12:16).

თავმდაბალ ადამიანს ყველაზე ნაკლებად შეაწუხებს ის, თუ როგორ ფიქრობენ ან მსჯელობენ მასზე. პავლე მოციქულმა ასე გამოხატა ეს ჭეშმარიტება: "ხოლო ჩემთვის უმნიშვნელოა, თქვენ განმსჯით მე, თუ ადამიანთა სამსჯავრო. მაგრამ მე ნამდვილად არ განვსჯი ჩემს თავს" (1კორ. 4:3). და ეს გასაგებია, თუ ასეთი რამ რატომ ემართება ადამიანს: თუ მან მთელი სულით შეიყვარა უფალი, თავი მთლიანად გადასცა მას, მასში მოკვდება მისი ამაყი "მე" - ის "ქრისტესთან ერთად არის ჯვარცმული" და უკვე ის კი აღარ ცოცხლობს, არამედ ქრისტე ცოცხლობს მასში (გალ. 2:20). ჭეშმარიტი ქრისტიანის სულში არ ცოცხლობს სიამაყის, თავის მოყვარეობის, ქედმაღლობის სული. მასში ცოცხლობს ქრისტეს სიყვარული. ის ხდება თავმდაბალი, არა დიდგული, და თავი დიდი ვინმე არ ჰგონია. იმაზე, რომ ვინმე ან რამე დაამცირებს მის ღირსებას, საუბარიც კი არ შეიძლება იყოს. და რაზე უნდა ვიწუხოთ, თუკი ჩვენი სიცოცხლე მარადისობის ფონზე წამიერად გაიელვებს - და გავქრებით, მტვრად გადავიქცევით?! ნამდვილი ფასეულობა, საუკუნოდ რომ არ გაქრება, არის მხოლოდ გარდაქმნილი, განახლებული სული, რომელსაც აღადგენს კიდეც უფალი. ღვთის ჭეშმარიტ შვილს ვერ დაამცირებს, ვერ გაანაწყენებს, წონასწორობიდან ვერ გამოიყვანს მისი მტრების ვერც დაცინვები, ვერც ტყუილი, ვერც შხამიანი, საძაგელი სიტყვები მის მიმართ, ვერც მგელივით ყმული. და ეს სულაც არ არის ცივსისხლიანი დემონსტრატიული სტოიციზმი, და არც ფსიქოთერაპევტული ძალისხმევის შედეგი, არა! ესაა ახალი ქმნილება, ესაა შედეგი ქრისტესმიერი სიკვდილისა, მისი ჯვრისა, "რომლითაც, - როგორც მოციქული მოწმობს, - "სოფელია ჯვარცმული ჩემთვის და მე სოფლისთვის". აი, ასეთია თავმდაბალი ადამიანი - ნეტარია ის!

ერთხელ პოტსდამში სასახლის წინ მოედანზე შეიკრიბა ხალხის ბრბო, რომელიც ძალიან ხმაურობდა. მეფე ფრიდრიხმა თავის ადიუტანტს უბრძანა, ჩასულიყო და გაეგო,

რა ხმაური იყო ეს. დაბრუნებულმა ოფიცერმა მეფეს შეატყობინა, რომ ვიღაცამ დაწერა სასტიკი პამფლეტი ხელმწიფეზე და სასახლის კედელზე ძალიან მაღლა მიამაგრა, ხოლო კედელთან დიდძალი ხალხი მოგროვდა, შემჭიდროვდა და ცდილობს, წაიკითხოს ეს პასკვილი, მაგრამ უძნელდება. ეს რომ თქვა, ადიუტანტმა სწრაფად დასძინა, რომ სასახლის გვარდია უკვე საქმის კურსშია და დაუყოვნებლივ დაშლის ხალხს.

- საჭირო არაა ეს ყველაფერი, - ბრძანა მეფემ, - არამედ აიღეთ ქაღალდი და ცოტა დაბლა მიაკარით, რათა ყველამ, ვისაც სურს, მისი წაკითხვა ყოველგვარი სირთულის გარეშე შეძლოს! (ვ. არტემოვი).

## 7 მარტი

### "სხვა მიავლინე"

უფალო, მოისმინე მორჩილთა ნატვრა; შეამზადე მათი გული, მიაპყარ ყური (ფსალმ. 9:38).

თავმდაბლობა დიდებისკენ არ მიისწრაფის. თავმდაბალ ადამიანს არ აინტერესებს კარიერა. მისთვის სრულიად უცხო და ცოდვიანია თავისი სახელის "უკვდავყოფა". თავმდაბალი ადამიანის სული არაა დაავადებული საკუთარი ცოდვიანი "მე"-ს ამ სნეულებებით. ის არ ცდილობს, მოიპოვოს რაიმე საპასუხისმგებლო მსახურება ეკლესიაში. და ზოგჯერ არცთუ ისე ცოტა ძალისხმევის დახარჯვა ხდება საჭირო, რათა თავმდაბალი ადამიანი დაარწმუნონ, რომ მას იწვევენ არა საკუთარი, არამედ ღვთის საქმის აღსასრულებლად. როდესაც თავად უფალი მივიდა მოსესთან და უბრძანა, წასულიყო ეგვიპტეში, რათა ღვთის ხალხი გამოეყვანა, მოსემ უპასუხა: "მე ვინა ვარ, რომ წავიდე ფარაონთან და გამოვიყვანო ისრაელის ძენი, ეგვიპტიდან?" (გამ. 3:11). საკუთარი უძლურებისა და არასრულყოფილების შეგნება, თავის ძალებში დაურწმუნებლობა, არაადამიანური მისიის გრანდიოზულობა - ეს ყველაფერი აშინებდა მოსეს, თავმდაბალ, თვინიერ კაცს, და აფიქრებინებდა, რომ არ

დათანხმებულიყო. შეცბუნებული და ათრთოლებული შეევედრა ღმერთს: "გევედრები, ღმერთო! სხვა მიავლინე ამის გასაკეთებლად" (გამ. 4:13). აი, თავმდაბალი ადამიანის სული!

იონათანი, კანონიერი მემკვიდრე უფლისწული, მზად არის, თავმდაბლურად დაუთმოს მეფის ტახტი დევნილ დავითს: "შენ იმეფებ ისრაელზე, ხოლო მე შენს შემდეგ მეორე კაცი ვიქნები" (1მეფ. 23:17). იერემია წინასწარმეტყველი ეუბნება უფალს, რომელიც მოუწოდებს წინასწარმეტყველის მსახურებაში: "უფალო, უფალო! მე არ ვიცი ლაპარაკი" (იერ. 1:6). იოანე წინამორბედი თავმდაბლურად აღიარებდა, თუ ვინ არის ის და ვინ არის იესო ნაზარეველი: "მე მის სანდლებზე თასმის შეხსნის ღირსიც არა ვარ" (იოან. 1:27).

თავმდაბალ ადამიანებს უმნიშვნელოდ მიაჩნიათ თავიანთი უნარები, ნიჭები. ს. რახმანინოვი - კომპოზიტორი, უდიდესი პიანისტი-ვირტუოზი რამდენიმე განსაკუთრებით წარმატებული კონცერტის შემდეგ მტკივნეულად გრძნობდა შემოქმედებით ეჭვებს. ერთხელ, როცა მაყურებელთა მქუხარე ოვაციებით დაასრულა გამოსვლა, საგრიმიოროში ჩაიკეტა და დიდხანს არავის ღებულობდა. ბოლოს, კარი რომ გაიღო, სიტყვის თქმაც არავის აცალა: "ნუ იტყვით, ნურაფერს ნუ იტყვით! მე თვითონაც ვიცი, რომ მუსიკოსი კი არა, არამედ მეჩექმე ვარ!" (ვ. ვოსტროსაბლინი).

მეფე ფილიპი (ალექსანდრე მაკედონელის მამა) ხერონეესთან ათენელებზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ ამაყი იყო თავისი წარმატებით, მაგრამ თავს იოკებდა და დაწესებული ჩარჩოებიდან არ გამოდიოდა. ამიტომ სავალდებულოდ თვლიდა, რათა ყოველ დილას ამისთვის სპეციალურად დანიშნულ მსახურს შეეხსენებინა მისთვის, რომ ის ადამიანია. ამბობენ, რომ მეფე არ ტოვებდა თავის ოთახს და არც არავის უშვებდა, სანამ მსახური სამჯერ არ გაუმეორებდა ამ სიტყვებს (კ. ელიანი).

## 8 მარტი

### ვინაიდან ვინ ვარ მე?

მე კი მატლი ვარ და არა კაცი, საძრახისი ადამიანთა და საძულველი ერისა (ფსალმ. 21:7).

მხოლოდ თავმდაბალ ადამიანს აქვს უნარი, აღიაროს თავისი შეცდომები და თავისი ხასიათის ხარვეზები. ამ საკითხში ის არანაირ სიძნელეს არ განიცდის, და ეს არც დიდ ძალისხმევად უჯდება. მას აზრადაც არ მოსდის, რომ რომ ეს მას ამცირებს გარშემომყოფ ადამიანთა თვალში. სულით თავმდაბლის მთელი ცხოვრებაც კი მისი სხვადასხვა სიტუაციებით, როცა ადამიანები, შესაძლოა, არ "სწყალობდნენ", უყურადღებოდ ექცეოდნენ, გესლიან შენიშვნებს აკეთებდნენ, ან ღიად უარყოფდნენ მის თვალსაზრისს, მაინც გამორჩეული იქნება არმომკითხაობითა და უბოროტობით.

ფილიპი, მაკედონიის მეფე, მეტად ადვილად იძინებდა მნიშვნელოვანი სამეფო მოვალეობების შესრულების დროსაც კი. ერთხელ, რომელიღაცა საქმის მოსმენისას, სადაც თავისი გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა, ჩათვლიმა და ვერ მოისმინა, რას ამბობდა მსჯავრდებული თავის გასამართლებლად, და გამოიტანა საბრალდებო განაჩენი. მსჯავრდებულმა თქვა, რომ იჩივლებს.

-ვისთან? - აუწია მეფემ ხმას.

- ისევ შენთან მეფეო, თუ იმ დროს დაძინებული არ იქნები.

კეთილსა და ბუნებით პატიოსან ფილიპს შერცხვა, საქმეს გადახედა, და ნაწყენი კაცის სასარგებლოდ გადაწყვიტა (ვ. არტემოვი).

ბიბლიური მატიანე მოწმობს, რომ დავითს ადრეული წლებიდან ჰქონდა მის ცხოვრებაში უფლის აშკარა და უშუალო ჩარევის საოცარი გამოცდილება. მას ძალიან უყვარდა უფალი, ენდობოდა მას, და უფალიც მასში ხედავდა ადამიანს, რომელსაც შეეძლო, ისრაელის ერთგული და ღვთისმოსავი მეფე ყოფილიყო. მეფედ ყოფნის დროს დავითს სერიოზული შეცდომები მოსდიოდა. ასე ერთხელ "ამქვეყნიური დიდებისაკენ სწრაფვის სურვილით აენთო მისი გული" (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 472). მან გადაწყვიტა, ჯარი გაეზარდა და ბრძანება გასცა, მოსახლეობის აღწერა ჩაეტარებინათ. ეს იყო აშკარად ღვთის დიდებულების დამამცირებელი გეგმა სატანისა, და დავითი მისი იარაღი გახდა. გაისმა ღმერთის

სამართლიანი აღშფოთების ქუხილი და დავითი მიხვდა, რომ ჩაიდინა ერთ-ერთი უდიდესი ცოდვა თავის ცხოვრებაში, და თავმდაბლურად შეჰღაღადა ღმერთს: "დიდად შევცოდე, ეს რომ გავაკეთე. ახლა გევედრები შენ, უფალო, მიუტევე შეცოდება შენს მსახურს, რადგან უგუნურად მოვიქეცი" (2მეფ. 24:10).

როგორ კრიტიკულადაც არ უნდა განვიხილავდეთ დავითის ცხოვრებას მისი შეცდომებითა და ცოდვებით, ის მაინც იყო ადამიანი თავმდაბალი, უბრალო, რომელსაც ღრმად ჰქონდა შეცნობილი თავისი სიღატაკე ღმერთის წინაშე: "ვინაიდან ვინ ვარ მე?" - ასეთი იყო მისი ცხოვრებისა და მისი ფსალმუნების ლეიტმოტივი ბიბლიაში.

## 9 მარტი

### "რა? მე უნიჭო ვარ?"

მშვიდი ენა სიცოცხლის ხეა, მით მზაკვრობა - სულის შემუსვრა (იგავ. 15:4).

როგორ რეაგირებთ, როდესაც რომელიმე უხერხულ სიტუაციაში უდანაშაულო დამნაშავედ აღმოჩენილხართ? გტკივათ გული და გწყინთ თუ არა, თუ ვინმე, ვინც პირადად არ გიცნობთ, თქვენზე ცუდს ლაპარაკობს? მსგავს შემთხვევებში მგრძნობიარე არის თუ არა თქვენი "მე"? ან იქნებ, მშვიდად ხართ, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ბავშვური თვალებით უყურებთ მას, ვისაც "მართალი" ინფორმაცია მოაქვს თქვენზე?

ილია ეფიმის ძე რეპინს, რუს მხატვარს, ძალიან უყვარდა მეცნიერები. ერთხელ მასთან სტუმრად მივიდა ფიზიოლოგიის პროფესორი ტარხანოვი. კედელზე რომ შენიშნა ფერწერული ეტიუდი, რომელზეც ბიჭი იყო გამოსახული, მან წამოიძახა: "ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, ეს მემკვიდრეობითი გადაგვარების შესანიშნავი ტიპია! ჩანს, რომ არა მარტო მას, არამედ მის მშობლებსაც ჰქონიათ იდიოტიზმის კვალი". - "აჰ, რა საინტერესოა! შესძახა რეპინმა. - მოყევით, მოყევით!" პროფესორის გარშემო მსმენელები შეგროვდნენ; მან სიამოვნებით წარმოთქვა მთელი ლექცია გადაგვარების შესახებ და როცა დაასრულა, გამარჯვებული სახიით ჰკითხა რეპინს: "ვინ არის ეს ბიჭი?

მის მშობლებს ხომ არ შეხვედრიხართ?" რეპინმა დამნაშავის ხმით, უბრალო გულუბრყვილობით მიუგო: "ეს ჩემი შვილია, იური" (ა. ლაზარევი).

როგორ მშვიდად, თავმდაბლურად მოახდინა რეაგირება ი. რეპინმა მეცნიერის კითხვაზე, რომელმაც ის იდიოტების კატეგორიას მიაკუთვნა.

აი, ცნობილ მსახიობ ქალს ე. სავინოვას სხვანაირი რეაქცია ჰქონდა როდესაც მისი მისამართით - თანაც მისივე თხოვნით - "სულის დამსუსხველი" სიტყვები თქვეს.

მიდიოდა გადაღებები ცნობილი ფილმისა "ჩემსკენ, მუხტარ", რომელშიც იური ნიკულინი მილიციელის როლს თამაშობდა. სცენარის მიხედვით მას უნდა გამოეკითხა საწყობის გამგე ქალი, თუ როგორ მოხდა ქურდობა სანატორიუმში. სასინჯ როლზე მიწვეული იყო ე. სავინოვა, რომელსაც, სცენარის მიხედვით, დაკითხვის დროს ტირილი უნდა დაეწყო. "ეკატერინამ მთხოვა, - იხსენებდა ნიკულინი, - იურა, მალე რომ ავტირდე, გთხოვთ, გამიბრაზდით". "თქვენ სულელი ხართ", - ვუთხარი მე, თან შემოთავაზებულ თამაშში ჩავერთე. "არა, ეს ცოტაა, მითხარით, რომ ცუდი ვარ". "საიდან მოიტანეთ, რომ ცუდი ხართ. სულაც არა. თქვენ მხოლოდ უნიჭო მსახიობი ხართ. უფრო მეტიც, თქვენ იდიოტი ხართ!" - "რა? მე ვარ უნიჭო? როგორ ბედავთ?" - წყენით თქვა მსახიობმა და ატირდა".

აი, ასე! ეს უკვე იყო არა თამაში, არამედ რეალობა. მაინც რა მტკივნეული "მე" აღმოაჩნდა მსახიობ ქალს!

## 10 მარტი

### "მან რომ არ იცოდეს..."

არავინ დაძრახონ, იყვნენ მშვიდობისმოყვარენი, იჩენდნენ სიმშვიდეს ყველა ადამიანის მიმართ (ტიტ. 3:2).

სასიამოვნო არაა ადამიანი, რომელიც "ეძებს დიდებას" და ყოველ შესაძლებლობასა და შემთხვევას იყენებს იმისთვის, რომ თავისი ქარიზმა გაზარდოს.

ქრისტიანს არ შეშვენის თავის ქება. უბრალო და თავმდაბალი ადამიანი ხმამაღლა არ გამოაცხადებს, თუკი ვინმეს კეთილ საქმეს გაუკეთებს, ეს პატივმოყვარე, თავკერძა ბუნების მქონე ადამიანებს ახასიათებს. უფალი გვაფრთხილებს, რომ ქრისტიანებმა მოიშორონ ეს არაღვთიური და არათავმდაბლური სული: "შენ კი, როცა მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა. რათა შენი მოწყალება დაფარულში იყოს" (მათ. 6:3,4).

იმპერატორი ალექსანდრე განმათავისუფლებელი სამხედრო ჰოსპიტლის მონახულებისას მიუახლოვდა დაჭრილ ოფიცერს, კოვალევს, რომელსაც ცოტა ხნის წინ გაუკეთეს ოპერაცია - ფეხის ამპუტაცია. ძლიერი ტკივილებით გაწამებულ საცოდავ ავადმყოფს ხალისი დაკარგვოდა და არ სურდა მისი დიდებულების კითხვებზე ეპასუხა. მაგრამ ხელმწიფეს მაინც უნდოდა მასთან გულითადი საუბარი.

- რაზე წუხხარ? - ჰკითხა იმპერატორმა. (კოვალევი დუმდა.) - თავს როგორ გრძნობ ოპერაციის შემდეგ, უკეთ ხარ?

- არა... - მოკლედ უპასუხა კოვალევმა და წარბები შეჭმუხნა.

- იქნებ, რამეთი ხარ უკმაყოფილო?

- მე... - აკანკალებული ხმით მიუგო კოვალევმა, - გამუდმებით მაწუხებს აზრი დედაჩემის შესახებ... ის ყოველთვის ჩემთან ერთად ცხოვრობდა... მე ვარჩენდი, ახლა კი... მარტო დარჩება... მთელ ქვეყანაზე, ლუკმაპურის გარეშე... ბევრი იშრომა საწყალმა... რომ მე ფეხზე დავეყენებინე.

ახალგაზრდა ოფიცრის უბრალო, გულითადმა სიტყვებმა ღრმად შეძრა ხელმწიფე, და თავისი მღელვარება რომ დაემალა, მისმა დიდებულებამ პასუხად რამდენიმე მანუგეშებელი სიტყვა უთხრა და წავიდა. საღამოთი მეფემ გენერალ-ადიუტანტს რილეევს უთხრა:

- მთელი დღე გონებიდან არ გამომდის საწყალი კოვალევი. ამ წმინდა სიყვარულმა დედისადმი მე ძალიან ამაღელვა... როგორ ლაპარაკობს დედაზე, რამდენი გრძნობა იყო მის სიტყვებში!.. ვერ ვივიწყებ. შემდეგ საწერ მაგიდასთან მივიდა, აიღო მსხვილი თანხა და თქვა:

აი რა! უნდა დავეხმაროთ... აიღე ეს ფული, როგორმე ბალიშის ქვეშ დაუდე, ოღონდ გთხოვ, ისე გააკეთე, რომ არ იცოდეს, ჩემგან რომაა" (ი. სუდნიკოვა).

თავმდაბალი, თვინიერი, უბრალო სული - ეს ქრისტეს სულია.

## 11 მარტი

### შეშინებული, დამდაბლებული, მოთვინიერებული

ვაჟმა კი უთხრა: "მამა! შევცოდე ზეცის მიმართ და შენს წინაშე, ღირსი აღარა ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე" (ლუკ. 15:21).

საოცარი ცვლილება ხდება სულში, რომელშიც დასადგურებულია ქრისტე, - მას ვერ იცნობ. დიახ, ქრისტეს მსხვერპლის გამღები სიყვარული სასწაულებს ახდენს ჩვენს ხასიათში: იწყებ სხვისი აზრის დაფასებას; შენს შესახებ თავმდაბლურად მსჯელობ; ვერ იტან, თუ შენი თანდასწრებით ცუდად იხსენიებენ სხვებს, და როცა შენს შესახებ შეურაცხმყოფელად ლაპარაკობენ, გული გტკივა - არა შენს გამო, არამედ იმის გამო, ვინც ლაპარაკობს. მაინც რა ცვლილება ხდება? რაღაც სასწაული, რაღაც საიდუმლო - სცადე ახსნა! ეს უფალი გათვინიერებს. თავის სახეს შენ გადმოგცემს, თითქოს გძერწავს, როგორც ეს იყო დასაწყისში, შექმნის დროს. და ახლა შენ სხვანაირი ხარ. გიყვარს, ხალხის ბრბოსგან განსხვავებული რომ იყო? არა, არა, მომაშორეთ. შენ ეს უკვე გძულს. მაგრამ მაწანწალა რომ დაბანო, გაპარსო - არ გეზიზღება. სხვებს დაეხმარო მწუხარების დროს - გსიამოვნებს. და მეგობრები ვერ გცნობენ: "ეს შენა ხარ? კარგია..." საკუთარ თავს შენც კი ვერ ცნობ: "მე ხომ ისეთი უქნარა ვიყავი..." და იხსენებ შენს წარსულ ცხოვრებას, რით იყო აღსავსე. საძაგლობაა. როგორც სიმღერაშია:

გავფლანგე მემკვიდრეობა

ღვინის სმაში, მრუშობაში,

აი, ჩემი ნეტარება,

აი, ჩემი ანტურაჟი!

ახლა? ახლა რა დაგემართა? "უფალმა, ზეციერმა მამამ გამაცოცხლა მე, მკვდრეთით აღმადგინა."

ო, მამაო, მე ვარ შენი,

შენი ძე, დაკარგული!

ცოდვით მკვდარი, საზიზღარი,

ახლა მე ვარ ცოცხალი!

და ახლა შენ სახლში ბრუნდები: შეშინებული, დამდაბლებული, მოთვინიერებული. და საკუთარ თავს ეუბნები: "რაიმე სამუშაო მაინც მომცენ მამაჩემის სახლში. თუნდაც მოჯამაგირედ ამიყვანონ. მზად ვარ, ეზო დავგავო, ყველაფერი დავასუფთავო, ოღონდაც მამამ მიმიღოს. მიმიღებს თუ არა?"

მამა მორბის შესახვედრად,

თვალზე ცრემლმორეული,

"შვილო!" - ამბობს, მეფერება,

"ო, რა დიდხანს გელოდი!.."

დაკარგული ძე დამდაბლდა. გახდა მშვიდი, არამომთხოვნი, არაწუნია - ღვთის შვილი. აი, როგორ გვცვლის ქრისტეს სიყვარული!

## 12 მარტი

### ოქროს თავის დამდაბლება

მოისმენს ღმერთი და უპასუხებს მათ დასაბამიდან მყოფი - რადგან არ არის ცვლილება მათში და არ ეშინიათ ღმერთისა (ფსალმ. 54:20).

რა ახასიათებს ადამიანს, რომელიც არ იცნობს უფალს და არ სწამს იგი? მისი მთელი ყურადღება, ყოველი საზრუნავი სულაც არ იქნება მიმართული საკუთარი "მე"-ს

სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ხოლო "მე"-ს სწყურია აღიარება, განსაკუთრებული ყურადღება, აპლოდისმენტები - ერთი სიტყვით, მას სურს, გამოირჩეოდეს "ამბოხებული, ცრურწმენებით აღსავსე ცვალებადი" ბრბოსგან. ეს ჭეშმარიტება გამოთქვა თემისტოკლემ, ათენელმა სახელმწიფო მოღვაწემ და სარდალმა. როდესაც ჰკითხეს, თუ რამ მიანიჭა ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიამოვნება, მან უპასუხა: "ვხედავდი, რომ მაყურებლები თვალს არ მაშორებენ, როდესაც ოლიმპიურ მოედანზე გამოვჩნდი". უცნაური სიამოვნებაა? სულაც არა. ეს არის ჩვენი ცოდვიანი ბუნების ბუნებრივი მდგომარეობა - ის აღსავსეა სიამაყით, თვითგანდიდებით, ბაქიაობით.

ბიბლიის თანახმად, მსოფლიო იმპერიების ისტორიაში იყო ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი - "მეფეთა მეფე", "ოქროს თავი" (იხ. დან. 2:37,38). მაგრამ როგორი დესპოტი იყო ის: მხოლოდ იმის გამო, რომ სხვადასხვა სახის ბრძენებს, მოგვებს, შემლოცველებსა და გრძნეულებს არ შეეძლოთ მისი სიზმრის გამოცნობა, მან უყოყმანოდ ბრძანა, დაესაჯათ სასახლის მატყუარებისა და უსაქმურების ეს მთელი ჯგუფი. ხოლო ისინი, ვინც უარს იტყოდა თაყვანი ეცა მის მიერ ჩამოსხმული უზარმაზარი კერპისთვის, ბრძანა, რომ გახურებულ ღუმელში ჩაეყარათ. ღმერთი შრომობდა ამ პირველი მეფის გულზე კაცობრიობის ისტორიაში - მან იგი საოცარ გამოცდებში გაატარა, რითაც თავისი დიდება და ძლიერება ხილული სახით გამოუცხადა. ისწავლა რამე ნაბუქოდონოსორმა? არა. ის დარჩა ისეთივე ამაყი, ქედმაღალი, განდიდებისა და საკუთარი "მე"-ს გაღმერთების მანიით დატანჯული. მან ოდნავი მნიშვნელობაც კი არ მიანიჭა ღმერთისგან სპეციალურად გაგზავნილ გაფრთხილებას. და ნაბუქოდონოსორმა სასტიკად ზღო: ის შვიდი წლის განმავლობაში მხეცებთან ცხოვრობდა და ბალახს ჭამდა, როგორც ხარი. ეს საოცარი გაკვეთილია მომავალი თაობების მეფეებისთვის დედამიწაზე! ეს არაა შემთხვევითი გაკვეთილი! გავიდა ათასწლეულები, ხოლო ხალხებისა და ქვეყნების ბელადებმა არანაირი დასკვნა არ გამოიტანეს თავისთვის. იგივე სიამაყე, იგივე თვითგანდიდება, იგივე ქედმაღლობა!

მაგრამ ნაბუქოდონოსორმა გაკვეთილი ხომ შთამომავლების აღმშენებლობისთვის აითვისა. როცა შვიდწლიანი ცხოველური არსებობის შემდეგ ისევ მეფე გახდა, მან,

უჩვეულო გზით დამშვიდებულმა და მოთვინიერებულმა, საზეიმოდ განაცხადა: "ახლა მე, ნაბუქოდონოსორი, ვაქებ, აღვამაღლებ და ვადიდებ ზეციერ მეფეს, რომლის ყოველი საქმე ჭეშმარიტია და გზები - სამართლიანი, რომელსაც ძალუძს დაამდაბლოს ამაყად მავალნი" (დან. 4:37[34]).

## 13 მარტი

### საოცარი ადამიანები

მაღალ და წმიდა ადგილზე ვდგავარ მე, მაგრამ შემუსვრილთან და სულით თვინიერთან, რათა გამოაცოცხლოს თვინიერთა სული, და გამოაცოცხლოს შემუსვრილთა გული (ეს. 57:15).

საოცარი ადამიანები არიან ესენი - მშვიდი, მორჩილი, თვინიერი. ეს ღვთის ადამიანებია. ეს მათ შესახებ თქვა უფალმა: «რადგან განდიდებული და ამაღლებული ამბობს ასე, მარადმყოფი და რომლის სახელი წმიდაა: " მაღალ და წმიდა ადგილზე ვდგავარ მე, მაგრამ შემუსვრილთან და სულით თვინიერთან, რათა გამოაცოცხლოს თვინიერთა სული, და გამოაცოცხლოს შემუსვრილთა გული"».

ისინი მუდამ არსებობდნენ დედამიწაზე, იყვნენ "ყოველ ხალხში". ვინ არიან ისინი? სად არიან ისინი? არავინ იცის, როგორც არ იცოდა ელიამ, რომ ღმერთს ის ერთი კი არა, არამედ კიდევ შვიდი ათასი მისი ერთგული შვილი ჰყავს. და ეს როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ღვთის წინასწარმეტყველს არაფერი სმენოდა ასეთ ადამიანებზე? ისინი, რა, სადღაც გამოქვაბულებში იმალებოდნენ ისე, რომ დღითაც კი სანთლით ვერ მოძებნიდი? თუ მათი რწმენა იყო ისეთი საიდუმლო, ისეთი დაფარული, რომ უახლოესმა გარემოცვამაც კი არ იცოდა ამის შესახებ? არა, ისინი სპეციალურად არ მალავდნენ თავიანთ რწმენას და არც თავად იმალებოდნენ. აი, როგორი არიან ისინი, ეს ღვთის შვილები: თავიანთ რწმენას ისინი არ აცხადებდნენ მოედნებსა და სავაჭროებში, რათა არავისთვის მიეყენებინათ უხერხულობა, და თავი არავისთვის

მოებეზრებინათ. ეს ყველაფერი უნდა მიეწეროს მათ თვინიერებას, თავმდაბლობას, სიმორცხვეს.

მათი თავმდაბლური ცხოვრება, მათი თვინიერი ზნე იმდენად ქმედითია, რომ ადამიანები რაღაც აუხსნელ ზეგავლენას განიცდიან: ასეთებზე ხელსაც კი ვერ აღმართავ, საყვედურის სიტყვასაც კი ვერ იტყვი. მათ ხომ არავისთვის გაუკეთებიათ ცუდი - მარტო სიკეთე. რამდენი სიკეთე რამდენ ადამიანს - ვერ დათვლი! მათ რომ ხედავენ, მხოლოდ თავს აქნევენ: ნეტარნი. და თავისთვის იტყვიან: "ასეთები უნდა გებრალებოდეს".

საოცარი ადამიანები არიან ესენი - მშვიდი და თვინიერი, მათ ჰყავთ თავიანთი მოძღვარი. მათ მისგან ისწავლეს და განაგრძობენ სწავლას. ხოლო მას აქვს ის, რასაც ისწავლი: ის "სულით თვინიერი და გულით შემუსვრილი" იესოა, უფალი მარადიული. ის იცნობს თავისიანებს და თავისიანები იცნობენ მას (იხ. იოან. 10:14). ეს არის მელქიდესეკიც, შალემის მეფე, უზენაესი ღმერთის მღვდელი; ითროც, მიდიამელი მღვდელი; რახაბ მეძავიც; მოაბელი რუთიც; სიროფინიკიელი ქალიც; რომაელი ასმეთაურებიც კესარიიდან და კაპერნაუმიდან; ეთიოპელიც, ეთიოპიის დედოფლის კანდაკიელი დიდებული; და სხვები - "უამრავი ხალხი, რომლის დათვლა არავის შეეძლო" (იხ. გამოცხ. 7:9).

## 14 მარტი

### იყავით მშვიდი

ვინაა თქვენს შორის ბრძენი და გონიერი? კარგი საქციელით აჩვენოს თავისი საქმენი ბრძნულ მოთმინებაში (იაკ. 3:13).

ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი ა. ბუალდიო იყო კაცი უაღრესად მშიდობისმოყვარე, თავმდაბალი, არამომთხოვნი. მას, როგორც სცენასთან დაახლოებულ პირს, უფლება ჰქონდა, თავისუფლად შესულიყო ფრანგული კომედიის თეატრში, მაგრამ ამ შეღავათით იშვიათად სარგებლობდა. ერთხელაც მოხდა, რომ მან

იქ ნაცნობი ქალიშვილი წაიყვანა: მისთვის სალაროში აიღო ბილეთი, თვითონ კი ისე წავიდა; მაგრამ ის კონტროლიორმა შეაჩერა. ბუალდიომ თავისი გვარი დაასახელა, კონტროლიორმა კი გესლიანად უარყო: "ეს კარგად მოგიფიქრებიათ, მოწყალეო ხელმწიფევ! ბუალდიოს ნამდვილად აქვს ჩვენთან თავისუფალი შემოსვლის უფლება, მაგრამ ის თითქმის ყოველ საღამოს მოდის და სარგებლობს ამ უფლებით, ის ახლაც თავის ჩვეულ ადგილზე ზის. აი, ისიც!" ბუალდიომ ძალიან მშვიდად გადაიტანა მთელი ეს შერცხვენა, მშვიდად წავიდა სალაროში, აიღო ბილეთი და თავის ნაცნობთან ერთად დაჯდა. ეს რომ მეგობრებმა გაიგეს, ძალიან გაიკვირვეს ბუალდიოს სიმშვიდე, თავდაჭერილობა და საყვედურობდნენ, რომ ხელს აფარებს ვიღაცა არამზადას, რომელიც უნდა გამოააშკარაოს.

- და რატომ? - მშვიდად იმართლებდა თავს ბუალდიო. - რატომ შევაწუხო ადამიანი? დაფიქრდით, მე თეატრში ერთხელ ძლივს მოვიფიქრე წასვლა, და ისიც ჩემი გულისთვის კი არა, არამედ ქალიშვილისთვის; ის კაცი კი ყოველ საღამოს დადის თეატრში. ალბათ, მას უყვარს თეატრი, მის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. ჰოდა, დაე, იაროს!" (ვ. არტემოვი).

როგორ რეაგირებთ, მსგავს სიტუაციაში რომ აღმოჩნდებით? იწყებთ დამნაშავის გაკიცხვას? უხმობთ მსმენელთა ჯგუფს და ელოდებით, რომ ის დაუჭერს მხარს თქვენს სამართლიან უკმაყოფილებას? თუ მშვიდად, ტაქტიანად აუხსნით, პატიების თხოვნით, რომ უნებლიედ უხერხულობა მიაყენეთ ადამიანს? ან იქნებ, დაძაბულობის სიტუაციას შეამკობთ რომელიმე უვნებელი და სასიამოვნო ხუმრობით, როგორც ეს გააკეთა გერმანელმა ისტორიკოსმა კუნო ფიშერმა, იშვიათი მოთმინების, გულმოწყალებისა და თავდაჭერილობის ადამიანმა? ერთხელ, საზეიმო სადილის დროს, მოუქნელმა მოახლემ, რომელიც უხერხულად შემობრუნდა მაგიდასთან, მის მელოტ თავზე მთელი სოუსი დააქცია. ყველა დამუნჯდა. კუნო ფიშერი დაბნეულ მოახლეს მიუბრუნდა და ჰკითხა: "ქალბატონს ნამდვილად სჯერა, რომ ეს მე ხუჭუჭა თმას დამიბრუნებს?" (გ. ლობარევი).

უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციაში მოსემ ისრაელიანებს უთხრა: "უფალი იბრძოლებს თქვენთვის, თქვენ კი დადუმდით" (გამ. 14:14).

## 15 მარტი

### "მე მტვერი და ნაცარი ვარ"

ვაი, თავის გამომსახველთან მოშუღლარს, ნატეხს მიწის ნატეხთაგან. განა ეტყვის თიხა თავის გამომსახველს: "რას აკეთებ შენ?" ან შენი ნაკეთები იტყვის: "არა აქვსო მას ხელები?" (ეს. 45:9).

უფლის სიმშვიდე, თვინიერება, ავის არმოყვარეობა - ცოდვილი ადამიანის მიმართ - არაა ამ თვისებების სიტუაციური გამოვლინება. ამ თვისებების გამოვლენა არ ყოფილა ღმერთის რეაქცია ცოდვის წარმოშობაზე. ღმერთი მარადიული და უცვლელია. მისი სიყვარული მუდმივია. ის ყოველთვის არის მშვიდი, თვინიერი, ავის არმოყვარე, და არაშურისმაძიებელი. ის სრულყოფილი, წმიდა და სამართლიანია. უმცირესი ხინჯი ან ნაკლიც კი არ მოიძებნება არც მის კანონებში, არც მის ხასიათში, არც სამყაროს მისეულ მართვაში. ღვთიური ავტორიტეტი აბსოლუტური, უჭკნობი, მუდმივია. მაგრამ ჩვენ, ადამიანებმა, უნდა შევიგნოთ, გავაცნობიეროთ, ვაღიაროთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ბუნება მის ცოდვილ მდგომარეობაში. და გვმართებს ყოველთვის გვახსოვდეს ის, რომ ვართ ცოდვილნი, ანუ ღვთის დიდების არმქონენი: არ გვაქვს ღმერთის ზნეობრივი სახე და მსგავსება, როგორც ისინი მოგვეცა პირველქმნილების მდგომარეობაში, და ფიზიკურად წაგვერთვა უკვდავება. ღმერთსა და ჩვენს შორის უდიდესი უფსკრულია. და ღმერთის წინაშე ჩვენი მდგომარეობის ეს შეცნობა გამოხატა ყველა მორწმუნის მამამ აბრაამმა, რომელმაც შემოქმედს უთხრა: "აჰა, გავბედე ლაპარაკი ჩემს ბატონთან მე, მტვერმა და ნაცარმა" (დაბ. 18:27). საჭიროა, ღრმად შევიმეცნოთ: ვინ ვარ მე? რა მნიშვნელობა მაქვს მე? რაბინები ასწავლიდნენ ამ ჭეშმარიტებას. ისინი ამბობდნენ: "ყურადღება მიაქციე, სად წახვალ და ვის ჩააბარებ ანგარიშს, და შენ არ ჩავარდები ცოდვაში. სად წახვალ? მტვრის, ხრწნილებისა და მატლის ადგილზე. ვის უნდა ჩააბარო ანგარიში? - მეფეთ მეფეს, წმიდას" (ავოტი). როცა გააცნობიერებს ღმერთის სიწმიდეს, ღირსებას და თავის ცოდვიანობას, უღირსობას,

ადამიანი მორჩილებისა და სიღატაკის სულით ივსება. ის შეიგნებს, თუ არსებითად, რას წარმოადგენს თვითონ და მისი ცხოვრება. ის დავითთან ერთად გაიმეორებს - თავისთვისაც და ყველას გასაგონადაც: "ვინა ვარ მე?" (1ნეშტ. 29:14). დავითი ამ თემას არაერთხელ შეხებია ფსალმუნებში. მაგალითად, 38 ფსალმუნში ის ამბობს: "ერთი ამოსუნთქვაა კაცის სიცოცხლე! ამიტომ აჩრდილს დადევნებია ადამიანი" (ფსალმ. 38:6,7).

გერმანელმა მეფემ ფრიდრიხ დიდმა ავადმყოფობის დროს კამერდინერს საღამოს ლოცვების წაკითხვა უბრძანა. როდესაც ის მივიდა ადგილამდე "უფალმა გაკურთხოს", მან პატივისცემის ნიშნად ასე წაიკითხა: "უფალმა დაიფაროს თქვენი უდიდებულესობა".

- სწორად წაიკითხე, უვარგისო, - წამოიყვირა გულში ხელმწიფემ, - ღმერთის წინაშე მეც ისეთივე ღორი ვარ, როგორიც შენ!" (გ. ლობარევი)

## 16 მარტი

### "ეს ხომ მე ვარ"

საზღაური მორჩილებისა, უფლის შიშისა, არის სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლე (იგავ. 22:4).

თუ მივისწრაფით, რომ ვიყოთ ცნობილი, პოპულარული, თუ გვიყვარს "სათავეში სხდომა" და "წინა ადგილებზე ჯდომა" (მათ. 23:6), თუ გვიყვარს, რომ "პატივისცემით გვესალმებოდნენ მოედნებზე" და ამასთანავე ვბრაზდებით, თუ მსგავს პატივს არ იჩენენ ჩვენდამი, ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი "მე" ჯერ არ მომკვდარა და თავმდაბლობას სულაც არ "დაუვანებია" ჩვენზე. თავმდაბალი ადამიანის ცხოვრება არის შეუმჩნეველი, სხვებისგან რომ არ გამოირჩევა. ის უბრალო, უეშმაკოა და არ მოითხოვს ყურადღებას თავის მიმართ - მისთვის ეს არის ტვირთი, რომელსაც ვერ ზიდავს, ესაა უტაქტო უხერხულობა, დამცირების ტოლფასი.

ცნობილი ფილოსოფოსი პლატონი ოლიმპიაში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა ადამიანებთან, რომლებსაც არ იცნობდა და მათთვისაც უცნობი იყო. ერთობლივი

ცხოვრების განმავლობაში მან იმდენად კარგად განაწყო ისინი თავის მიმართ და მოხიბლა თავისი თავაზიანობით, რომ მასთან შეხვედრისას ისინი სიხარულს ვერ მალავდნენ. ფილოსოფოსს ლაპარაკში არ უხსენებია არც აკადემია, არც სოკრატე, მხოლოდ ის თქვა, რომ მას ჰქვია პლატონი. როდესაც ეს ადამიანები ათენში მოხვდნენ, პლატონმა ისინი მეტად სტუმართმოყვრულად მიიღო, და მათ ჰკითხეს: "გვაჩვენე შენი მოსახელე, სოკრატეს მოწაფე, წაგვიყვანე აკადემიაში და გაგვაცანი, რომ მას მოვუსმინოთ". ამაზე პლატონმა ჩვეულებისამებრ ოდნავ გაიღიმა და უთხრა: "ეს ხომ მე ვარ". პლატონის სტუმრები განცვიფრებული იყვნენ, რომ ასეთ კაცთან ურთიერთობისას ვერ მიხვდნენ, თუ ვინ არის იგი. პლატონი ხომ უბრალო და ბუნებრივი იყო (კ. ელიანი).

ადამიანები, რომლებსაც უბრალოებისა და თავმდაბლობის მსგავსი სახის სული აქვთ, ცხოვრებაში იშვიათად გვხვდებიან. უმრავლესობას ახასიათებს სრულიად სხვა ზნეობაც და სულიც - მათ სწყურიათ მათი სახელის "უკვდავება".

ერთხელ რ. გამზათოვმა თავის ახლო ნაცნობს, რომელიც მოსსოვეტის წევრი იყო, შესჩივლა, რომ ვერაფრით მიიღო მოსკოვში ბინა. მეგობარი მივიდა მოსსოვეტის თავმჯდომარესთან და საყვედურები დაუწყო. მან ხელები გააქნია: "სად აღარ ვთავაზობდით ბინას: ყველაზე პრესტიჟულ რაიონებში, საუკეთესო სახლებში გორკის, ალექსეი ტოლსტოის, ჩაიკოვსკის ქუჩებზე. ის ყველაზე უარს ამბობს". მაგობარმა გამზათოვს დაურეკა: "რატომ მატყუებ? ასეთ რამეზე ხომ მხოლოდ ოცნება შეიძლება!" გამზათოვმა უპასუხა: "გორკის, ტოლსტოის, ჩაიკოვსკის ქუჩა... თუ გიფიქრია: მე რომ მოვკვდები, განა ჩემი გულისთვის ამ ქუჩებს სახელს გადაარქმევენ?" (გ. ლობარევი).

"ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება, ხოლო ვინც თავს დაიმდაბლებს - ამაღლდება", - ასე თქვა უფალმა (მათ. 23:12).

## 17 მარტი

### ადამიანური დიდება

რადგან ყოველი ხორციელი ბალახივითაა და ყოველი მისი დიდება ბალახის ყვავილივითაა. ბალახი გახმა და ყვავილიც დასცვივდა (1პეტრ. 1:24).

ადამიანური დიდების წყურვილს ბევრი ჭკუიდან გადაჰყავს. რა გზებითა და საშუალებებით აღარ ცდილობენ, რომ მას მიაღწიონ! და რა ვერაგობაზე აღარ მიდიან! ყველაფრისთვის მზად არიან, ოღონდაც გამოსცალონ ამ უძველესი მათრობელი სასმელის ფიალა! ზოგჯერ ეს სასტიკად, უაზროდ და სასაცილოდ გამოიყურება. და ამ ყველაფერს ხომ კარნახობს თავისმოყვარე "მე", რომელიც თავს უპირისპირებს ღმერთს, მის სიდიადესა და დიდებას. სინამდვილეში რა საცოდავია ადამიანი, თუკი ის შემოქმედის ნების საპირისპიროდ ცხოვრობს!

როცა სახელი გაითქვა და ცნობილი, ყველგან სასურველი პრიმადონა გახდა, იტალიელმა მომღერალმა ადელინა პატიმ ერთხელ რუმინეთში გასტროლების წინა დღეს ანტრეპრენიორს (ანტრეპრენიორი - კერძო სანახაობითი დაწესებულების მფლობელი) განუცხადა, რომ არ სურს გამოდიოდეს რომელიღაც შტატგარეშე ბუქარესტში და გადაწყვიტა გააუქმოს ყველა თავისი კონცერტი. ამ დროს კი ბუქარესტში, მიუხედავად ძალიან მაღალი ფასებისა, ყველა ბილეთი უკვე გაყიდული იყო! აი, სკანდალი!

"რადაც არ უნდა დაგიჯდეს, - უდეპეშა ანტრეპრენიორმა თავის მდივანს ბუქარესტში, - აუცილებელია გრანდიოზული დახვედრა სადგურზე. დაუყოვნებლივ მოაწყეთ! და გამომიგზავნეთ შემდეგი შინაარსის დეპეშა: "იტალიელი და რუმინელი თავადაზნაურობა ამზადებს საზეიმო მიღებას დიდი მსახიობის ჩამოსვლის გამო. სამინისტროს წარმომადგენლები სრული შემადგენლობით. ციგები, ჩირაღდნები და მუსიკა". ასეთი შინაარსის დეპეშა გადაეცა მომღერალს, და პატიმ რისხვა წყალობით შეცვალა.

მეორე დღეს საღამოს პატის ბაქანზე დიდძალი ხალხი დახვდა; მიუხედავად სიცივისა, ყველა ფრაკებში იყო ჩაცმული. გიზგიზებდა ჩირაღდნები, ფრიალებდა დროშები, გუგუნებდა მუსიკა, ყვავილები წვიმასავით ცვიოდა. მიღებით აღელვებულმა პატიმ იმ ღამით ვერ დაიძინა. არ ეძინათ მეზობელ აპარტამენტშიც, სადაც მდივანი კმაყოფილ ანტრეპრენიორს უყვებოდა იმის შესახებ, თუ პრიმადონასთან

შეხვედრისთვის როგორ დაიქირავა იტალიელი ბუხრის მწმენდავები და კალატოზები ბუქარესტის გარეუბნიდან, და თითოეულს ორ-ორი ფრანკი გადაუხადა. კოსტუმების ქირაობა თეთრი ჰალსტუხებითა და ხელთათმანებით დაუჯდა ხუთი ფრანკი კაცზე. და პატის კონცერტები ბუქარესტში დიდი წარმატებით ჩატარდა (ვ. ვოსტროსაბლინი).

ნამდვილად, დიდების ღირსია მხოლოდ ღმერთი, რომელმაც შექმნა ყველაფერი, და ყველაფერი მისი ნებით არსებობს და შექმნილია (იხ. გამოცხ. 4:11).

## 18 მარტი

### "დავემსგავსები უზენაესს"

უნაკლო იყავი შენს გზაზე შენი შექმნის დღიდან, სანამ არ აღმოჩნდა შენში უსამართლობა (ეზეკ. 28:15).

ბიბლიის კითხვისას ჩვენ ვიგებთ ერთ ახირებულ იდეას. რა იდეაა ეს? იყო ღმერთის მსგავსი. ამით ოდესღაც, უცნობი მიზეზით დაავადდა ღვთიურ იერარქიაში მაღლა მდგომი ქერუბიმი - ლუციფერი. ეს ის ამბობდა თავის გულში: "დავემსგავსები უზენაესს". ამით დაიწყო უდიდესი, ენით აუწერელი ტრაგედია მთელი უსაზღვრო სამყაროსთვის, რომელიც დღესაც ჯერ კიდევ გრძელდება. ღმერთზე სრულად "დამსგავსება" შეუძლებელია ყველა მიმართულებით, - ღმერთი ხომ უსაზღვრო და მარადიულ თვისებებს ფლობს. მთლად სულელი უნდა იყო, რომ ატარო ასეთი იდეა "შენს გულში" და ეცადო მისი რეალიზება. და უნდა ვივარაუდოთ, რომ ლუციფერს თავისი უამრავი უნიკალური თვისებებითა და უნარებით, რომელიც ღმერთმა შექმნის დროს უბოძა, ეს კარგად ესმოდა. მაგრამ აი, დიდება, ანუ მადლიერება, პატივი, ქება, რომლებსაც მთელი სამყარო აღუვლენდა ღმერთს მხოლოდ სიყვარულისა და მოწიწების გრძნობით, როგორც შემოქმედის ენით გამოუთქმელი ღირსების გამოხატვას, მფარველ ქერუბიმს მოსვენებას არ აძლევდა. ეს ყველაფერი ბოლოსდაბოლოს გადაიქცა აკვიატებულ იდეად, რომელმაც იმდენად დაიმონა მისი სული, რომ ღმერთის

უხვი სიყვარულის ვერანაირმა ძალისხმევამ ვერ გაათავისუფლა იგი ამ ჯოჯოხეთური ყველაფრის მჭამელი ცეცხლისგან.

და როდესაც ზეცაში მომხდარი ამბოხების შედეგად ის გამოძევებული იქნა უმაღლესი სავანეებიდან, ლუციფერმა ამავე იდეით შეაცდინა ჩვენი წინაპრებიც ედემში. მან უთხრა ევას: "იქნებით ღმერთივით", თუკი ღმერთის აკრძალვის საწინააღმდეგოდ იგემებთ ნაყოფს კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან. და ამ იდეამ აცდუნა ჩვენი დედა-წინაპარი და შემდგომში პრევალირებული გახდა ცოდვათა სისტემაში. მის საფუძველში ხომ დევს ჩვენი "მე", რომელსაც რატომღაც სურს დიდება, ქება სხვების თაყვანისცემა. არავინ იცის, რატომ სურს ჩვენს "მე"-ს ეს! ეს საიდუმლოა. უბრძენესი ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ ამოეხსნათ ეს გამოცანა - ყველაფერი უსარგებლო იყო. და ნამდვილად, რატომ უნდა ვისწრაფოდე, რომ ღმერთი გავხდე? ეს ხომ ფიზიკურად შეუძლებელია. ღმერთი უსაზღვროა, მე - შეზღუდული. და თავმდაბლობა სწორედ აქ შეიძლება იყოს ადამიანისა და ღმერთის შემაერთებელი ზნეობრივი რგოლი. თავმდაბლობის წყალობით შეგვიძლია ვღებულობდეთ ღვთის მადლიან კურთხევებს. თუმცა ზნეობრივად ჩვენ უნდა ვიყოთ ღმერთის მსგავსი, ვინაიდან მან თქვა: "იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე" (1პეტრ. 1:16).

## 19 მარტი

### "განონი ღმერთია"

დაწესებულ დღეს ჰეროდემ ჩაიცვა სამეფო შესამოსელი, დაჯდა ტახტზე და მიმართა მათ. ხალხი კი ღაღადებდა: "ღვთის ხმაა და არა კაცისა!" (საქმე. 12:21,22).

შეშლილი და უგუნური იდეა გაღმერთებისა ორგანულად დამახასიათებელი იყო ადამიანებისთვის შეცოდების დღეებიდან. ყველა ხალხსა და ტომში ადამიანები თავს ღმერთებად ასაღებდნენ, აცხადებდნენ თავიანთ ღვთიურ წარმომავლობას და სხვებისგან ღვთიურ პატივს მოითხოვდნენ. ბაბილონის, ეგვიპტის, ინდოეთის,

საბერძნეთის, რომის ძველ ცივილიზაციებში, მაიას ცივილიზაციაში, თუ თანამედროვე ნეპალში მისი ცოცხალ ქალღმერთ კუმარით - ყველგან და ყოველ დროს გაღმერთების იდეა თავის რეალურ ხორცშესხმას პოულობდა. იდეა "დავემსგავსები უზენაესს", რომელიც ერთხელ ლუციფერის სულის წიაღში წარმოიშვა, არასოდეს მომკვდარა ადამიანთა სულებში. ამ იდეის წამომწყები და მატარებელი დღესაც ცოცხალია და დღესაც მიისწრაფის იმისკენ, რომ მთელმა კაცობრიობამ მას სცეს თაყვანი, როგორც ღმერთს. და დღესაც მისი ამ იდეის ხორცშესხმა ადამიანებში გრძელდება - სულ სხვადასხვა ფორმებში, სახეებში, გამოვლინებებში, მოდიფიკაციებში. არ არის თავმდაბლობა, არ არის თავმდაბლური შეგნება, რომ მარად დამოკიდებული ვართ ღმერთზე, არ არის თავმდაბლური საჭიროება ღმერთში - კურთხეული წესრიგი არ არის არც კაცობრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არც ცალკეული ადამიანის პირად ცხოვრებაში. და როგორი უგუნურება და სისულელა ეს - საკუთარი თავის გაღმერთება!

დარიოსზე გამარჯვებითა და სპარსეთის სამეფოს დაპყრობით ალექსანდრე მაკედონელი სიამაყით აივსო და მუდამ თანმდევი ბედნიერებით მთვრალმა, ირწმუნა თავისი ღვთებრივი ბუნება და მოითხოვა, რომ ელინებს ის ღმერთად გამოეცხადებინათ. ყოველი ხალხი თავისებურად მოექცა მეფის ბრძანებას, ხოლო მაკედონიელებმა გამოიტანეს დადგენილება: "თუკი ალექსანდრეს ნებავს, რომ იყოს ღმერთი, დაე, იყოს", ჭეშმარიტად ლაკონურად დასცინეს მის უგუნურებას.

თავის ქედმაღლობაში კართაგენელმა განონმა გადააბიჯა მოკვდავისთვის დადგენილ საზღვრებს და ჩაიფიქრა, დიდება გაევრცელებინა თავის თავზე, როგორც ღვთიური არსების წარმომადგენელზე. მან იყიდა აურაცხელი რაოდენობის მგალობელი ფრინველი, მათ ბნელ შენობაში ამყოფებდა და მხოლოდ ერთ რამეს ასწავლიდა: ეთქვათ "განონი ღმერთია". როდესაც ფრინველებმა - ისინი მხოლოდ ამ ორ სიტყვას ისმენდნენ - ისწავლეს მათი წარმოთქმა, განონმა გაუშა ისინი იმის იმედით, რომ ახლა ეს სიტყვები მის შესახებ ყველგან გავრცელდებოდა. მაგრამ ტყვებმა თავისუფლების მიღებისა და ჩვეულ ცხოვრებაში დაბრუნების შემდეგ დაიწყეს იგივე

გალობა, რომელსაც გალობენ ფრინველები და დაივიწყეს განონიცა და ცოდნაც, რომელიც ტყვეობაში ისწავლეს (კ. ელიანი).

## 20 მარტი

### "მე მხოლოდ ადამიანი ვარ"

როცა შედიოდა პეტრე, კორნელიოსი შეეგება მას, ფეხებში ჩაუვარდა და თაყვანი სცა. პეტრემ კი წამოაყენა და უთხრა: "ადექი, მეც კაცი ვარ" (საქმე. 10:25,26).

იესო, ჩვენი თავმდაბალი და მშვიდი მაცხოვარი, ორმოც დღესა და ღამეს მარხულობდა. მარხვის ბოლოს მასთან მივიდა ეშმაკი და თავისი საშინელებით უნახავი და გაუგონარი წინადადება შესთავაზა უფალს. მან ქრისტე ერთ-ერთ მაღალ მთაზე აიყვანა და ერთ წამში აჩვენა დედამიწის ყველა სამეფო, და მას, ჭეშმარიტ ღმერთსა და შემოქმედს, "გარიგება" შესთავაზა შემდეგი პირობით: "თუ პირქვე დაემხობი და თაყვანს მცემ, როგორც ღმერთს, მათზე მთელ ხელმწიფებას შენ მოგცემ" და "ეს ყველაფერი შენი იქნება" (იხ. მათ. 4:9). დიახ, ეს იყო ცინიზმის, დაცინვისა და უსინდისობის მწვერვალი. აი, მთელი კაცობრიობისთვისაც და მთელი სამყაროსთვისაც მოწმობა იმისა, თუ დეგრადაციის, ზნეობრივი სიმახინჯისა და სულიერი გახრწნილების რა დონემდე შეიძლება დაეცეს ღვთის ქმნილება, თუკი თავის შემოქმედთან წყვეტს კავშირს და ამთავრებს ურთიერთობას. შემაძრწუნებელია. საზარელია. შემზარავია. ცოდვილი ვნება და წყურვილი, რომ მას ეთაყვანებოდნენ, როგორც ღმერთს, გახდა მისი საბოლოოდ წამხდარი ბუნების თვისება. ის ხომ ოდესღაც იყო "ღმერთის წმიდა მთაზე, ცეცხლის ქვებს შორის დადიოდა", მკვიდრობდა ღვთის დიდების სხივებში!.. "როგორ გაშავდა ოქრო, შეიცვალა ხალასი ოქრო!" (გოდ. 4:1). მშვიდად და თვინიერად, წარმოუდგენელი ტკივილითა და სინანულით უთხრა უფალმა ლუციფერს: «განვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: "უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე"».

ექიმი მენეკრატე აღსავსე იყო ისეთი დიდი სიამაყით, რომ თავს ზევსს უწოდებდა (ზევსი უმაღლესი ღმერთია ბერძნულ მითოლოგიაში - ავტ. შენიშვნა). ერთხელ მან მაკედონიელი მეფის ფილიპესადმი გასაგზავნი წერილი დაიწყო ასეთი სიტყვებით: "მენეკრატე-ზევსს სურს მიესალმოს ფილიპეს". ფილიპემ უპასუხა: "ფილიპე მენეკრატეს ჯანმრთელად ყოფნას უსურვებს. გირჩევ, გაემგზავრო ანტიკირაში". მეფე ამით მიანიშნებდა იმაზე, რომ მენეკრატე ვერ იყო თავის ჭკუაზე. ქალაქი ანტიკირა განთქმული იყო ბალახით, რომელიც სულიერი დაავადებების სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა (ავტ. შენიშვნა). ერთხელ ფილიპემ მოაწყო დიდი ნადიმი და მენეკრატეც მიიწვია; მან ბრძანა მისთვის მოემზადებინათ ცალკე სარეცელი, გვერდით დაედგათ საკმეველი და სტუმარს ნელსაცხებლებით გამასპინძლებოდნენ. დანარჩენები ნადიმობდნენ როგორც მიღებულია, მაგიდები საჭმელების სიუხვით იზნიქებოდა. მენეკრატე თავიდან უძლებდა და ხარობდა პატივით, მაგრამ როდესაც ნამდვილად მოშივდა და აღმოჩნდა, რომ ადამიანია და ამასთანავე გონებაშეზღუდულიც, ადგა თავისი სარცელიდან და სახლში წავიდა სიტყვებით, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს (კ. ელიანი).

## 21 მარტი

### "მე ვასწორებ ჩემს შეცდომას"

ქედმაღლობა დაამდაბლებს კაცს, და თავმდაბლობა მოუტანს დიდებას (იგავ. 29:23).

ყველას გვახასიათებს შეცდომის ჩადენა, მაგრამ შეცდომის თავმდაბლად აღიარება, გულწრფელად მობოდიშება და დანაშაულის გამოსწორების მცდელობა ყველას არ შეუძლია. ჩვენ მიდრეკილი ვართ თავის მართლებისკენ, ვცდილობთ შევარბილოთ ჩვენი დანაშაული და ცუდად დაფარულ უკმაყოფილებასაც კი ვავლენთ, თუკი დაზარალებული არცთუ მთლად მზადაა, გვაპატიოს. ჩვენი დანაშაული რომ შეგნებულად, გულწრფელად ვაღიაროთ, საჭიროა თავმდაბლობა და სიმამაცე. თუ

თავმდაბალი ადამიანი შეცდა, არ უნდა დავაძალოთ, რომ ბოდიში მოიხადოს. ის, როგორც წესი, ყველა შეცდომას უშვებს უვიცობით და ამაზე ღრმად წუხს.

ერთი დღესასწაულის დღეს, როდესაც ეკატერინე დედოფალი ყაზანის ტაძარში სახალხოდ აღუვლენდა ლოცვებსა და მადლიერებას უფალ ღმერთს, არცთუ მდიდარმა დიდგვაროვანმა ქალმა ღვთისმშობლის ხატის წინაშე მუხლი მოიყარა და მის წინ ქაღალდი დადო. ასეთი უჩვეულო მოქმედებით გაკვირვებულმა იმპერატრიცამ ბრძანა, მისთვის მიეცათ ეს ქაღალდი, და რას ხედავს? - ეს იყო საჩივარი წმიდა ქალწულის მიმართ დავის უსამართლო გადაწყვეტილებს გამო, რომელიც დამტკიცებულია ეკატერინეს მიერ და რომელიც მთხოვნელს სრულ სიღარიბეში აგდებს. "მეუფეო დედაო, - ამბობს ის თავის საჩივარში, - გონება გაუნათე და შეაგნებინე ჩვენს კეთილშობილ მონარქ ქალბატონს, რომ სამართლიანად განსჯიდეს". ეკატერინემ მთხოვნელს უბრძანა, სამი დღის შემდეგ მისულიყო მასთან სასახლეში. ამასობაში მან სენატიდან გამოითხოვა მისი საქმე და დიდი ყურადღებით წიკითხა.

გავიდა სამი დღე. დიდგვაროვანი ქალი, რომელმაც ზეციერ დედოფალთან უჩივლა მიწიერ დედოფალს, მიდის მეფის სასახლეში, და ის ეკატერინეს კაბინეტში შეჰყავთ. ქალი კანკალით უახლოვდება იმპერატრიცას.

- თქვენ მართალი ხართ, - უთხრა ეკატერინემ, - მე დამნაშავე ვარ, მაპატიეთ: სრულყოფილი მარტო ღმერთია, მე ხომ ადამიანი ვარ, მაგრამ გამოვასწორებ ჩემს შეცდომას: თქვენი მამული გიბრუნდებათ, ეს კი (და ძვირფასი საჩუქარი მიაწოდა) - მიიღეთ ჩემგან და ნუ დაიმახსოვრებთ წყენას, მე რომ მოგაყენეთ (ი. სუდნიკოვა).

ღმერთის ერთგული ადამიანები - მოსე, ეზრა, ნეემია, დანიელი და სხვ. - როცა აღიარებდნენ ისრაელის ხალხის ურჯულოებებს, თავის თავსაც უეჭველ დამნაშავეებად თვლიდნენ ამა თუ იმ უბედურებებში, რომლებიც მთელს ხალხს ატყდებოდა თავზე: "ვლოცულობდი ცათა ღმერთის წინაშე... შენი ყური იყოს სმენად და შენი თვალნი ახელილი იყოს, რათა ისმინო შენი მსახურის ლოცვა, ახლა დღედაღამ რომ ლოცულობს შენს წინაშე ისრაელის ძეთათვის, შენს მორჩილთათავის, და აღიარებს ისრაელის ძეთა ცოდვებს, რომლითაც შენ შეგცოდეს. მე და ჩემმა სახლმაც შეგცოდეთ" (ნეემ. 1:4,6).

## 22 მარტი

### "ჭეშმარიტი წამება"

იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც უნათებს სოფლად მომსვლელ ყოველ ადამიანს (იოან. 1:9).

ადამიანი მიისწრაფის დიდების, პატივის, ქებისკენ, და ეს პრაქტიკულად ჩვენი ცოდვილი ცხოვრების ნორმად ითვლება. მაგრამ თუ მან თავის თავზე გამოსცადა ღვთის სიყვარულის ზეგავლენა, ის მთლიანად იცვლება: მისი "მე" არ დაუწყებს "ძებნას თავისას" - არც ქებას, არც პოპულარობას, არც აპლოდისმენტებს. ეს სული ზეცის მკვიდრთ არ ახასიათებს. იოანე მოციქული, რომელსაც ანგელოზი უჩვენებდა ნათელსა და ბნელს შორის ბრძოლის აპოკალიპტურ სურათებს, ყველაფრის ნახვით იმდენად თავზარდაცემული იყო, რომ ანგელოზის ფერხთით დაეცა და აპირებდა, მისთვის თაყვანი ეცა, მაგრამ მან თავმდაბლად უთხრა მას: "ამას ნუ იზამ. შენი და შენი ძმების თანამსახური ვარ..." (გამოცხ. 19:10).

კ. ჩუკოვსკი თავის მოგონებებში წერდა ა. ჩეხოვზე, რომ ყველა ადამიანს შორის, რომლებსაც კი როდისმე შეხვედრია, როგორც ჩანდა, არ ყოფილა ერთიც კი, ვისაც, მისი გახსენებისას, არ აღენიშნოს, თუ რა სასტიკად სძულდა თავის განდიდება და ამპარტავნობა. შეუძლებელი იყო დაჯერება, რომ ის, ვისაც ასე მოწიწებით ეპყრობა მთელი ქვეყანა, ასეთ დონემდე არ გრძნობდა თავის დიდებას. მწერალი ებრძოდა თავის განდიდებას, შლიდა მას თავისი ბიოგრაფიიდან, მზად იყო ეჩხუბა, რათა მოეპოვებინა უფლება, ყოფილიყო ყველაზე ჩვეულებრივი, არაპოპულარული. არასოდეს და არავითარ გარემოებაში არ აძლევდა თავს ყოყოჩობისა და ბაქიაობის უფლებას. "კითხულობდე საკუთარ თავზე რაიმე წვრილმანებს, მით უმეტეს, წერდე მათ დასაბეჭდად - ეს ჩემთვის ჭეშმარიტი წამებაა, ათასჯერ უღიარებია მას. - ჩემთვის ეს ბასრი დანაა. არ შემიძლია საკუთარ თავზე ვწერო".

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო მასზე წერდა, რომ ჩეხოვი "ვერ იტანდა ლაპარაკს თავისი ნაწარმოებების შესახებ: მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, თქვენც ნახეთ რა, სალაპარაკო საგანი!.. ვერც იმას იტანდა, მის ნიჭს რომ აქებდნენ". რომელიღაცა ჟურნალმა, თანამშრომელთა სიას რომ ბეჭდავდა, ჩეხოვის გვარი უფრო დიდი შრიფტით მოათავსა - ამან მასში აღშფოთება გამოიწვია.

ბოლო დღეებამდე მას თან სდევდა უკმაყოფილება საკუთარი თავით, ხოლო თავის მოთხრობებს უაზრობასა და სისულელეს უწოდებდა. საკუთარ თავს ის უწოდებდა სხვა არაფერს, მხოლოდ "უმნიშვნელო რუს ლიტერატორს".

ქრისტიანებს ეს ნუ მოეჩვენებათ ადამიანის "მე"-ს შესაძლებლობების გადაჭარბებად. ჩვენ ღმერთის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ არსებობენ ქვეყნად ადამიანები, რომლებსაც აქვთ მისი ხასიათის თვისებები - ეს ზეცის მადლია, და ამაში არ არის ადამიანის დამსახურება. და ასეთი ადამიანები, ქრისტეს თქმით, "ნათლის ძეებისთვის" შეიძლება მაგალითი იყვნენ იქ, სადაც მათ ნაკლი და ხარვეზები აქვთ.

## 23 მარტი

### "პირველი, უდიდესი, უარესი"

თავად მე, პავლე... თქვენთან პირისპირ მყოფი თავმდაბალი ვარ (1კორ. 10:1).

ახალაღთქმისეული პერიოდის მოციქულებისა და სხვა ღვთისმსახურთა შორის პავლე გამოირჩეოდა თვინიერებით, თავმდაბლობით, დელიკატურობით. შეუძლებელია, არ აღინიშნოს ეს ფაქტი. როდესაც უფალმა მას მოუხმო მსახურებაში და ანანიას უთხრა: "ის არის ჩემი რჩეული ჭურჭელი", პავლე მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას, ქრისტიანთა მდევნელს, უნდობლობით უყურებდნენ. მოციქულმა გულმოწყალებით, გაგებით და თავმდაბლურად აღიქვა ასეთი მოპყრობა. სხვათა შორის, მისთვის კარგად იყო ცნობილი თორაზე (რჯულზე) დამყარებული იუდეური ზნეობის პრინციპები. მასში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავმდაბლობას. აი, რამდენიმე ნიმუში აფორისტიკული სენტენციებისა თალმუდში. "იყავი სულით

თავმდაბალი ყველას წინაშე". "თუ მარტო ჩემთვის ვარ, ვინ ვყოფილვარ?" "ვინც ფლობს შემდეგ სამ თვისებას, მიეკუთვნება ჩვენი მამის აბრაამის მოწაფეებს: კეთილი თვალი, თავმდაბალი სული და არმომკითხავი ბუნება".

როცა გახდა ქრისტეს მიმდევარი და მისი მოციქული, პავლე, ადრე რომ იყო "გამალიელის ფერხთით აღზრდილი", ახლა სწავლობდა ყველა დროისა და საუკუნეების ჭეშმარიტი მოძღვრისგან, რომელიც "მშვიდი და თავმდაბალია". და მოციქულმა შეიძინა ქრისტეს მსგავსება და ხატება და ამას მსახურებაში ავლენდა. მას ღრმად ესმოდა თავისი ცოდვიანობა: "სარწმუნოა და სრულიად მიღების ღირსია სიტყვა, რომ ქრისტე იესო მოვიდა სოფელში ცოდვილთა სახსნელად, რომელთა შორის პირველი მე ვარ" (1ტიმ. 1:15). კლეონ-როჯერის ლექსიკონში ბერძნული სიტყვა πρῶτος (პროტოს) განმარტებულია: პირველი, უპირველესი, მთავარი; აქ ეს სიტყვა გამოიყენება "უდიდესის" მნიშვნელობით. ზოგიერთ თარგმანებში ის გადმოცემულია სიტყვით "უარესი". აი, ასე თვლიდა პავლე თავს, რომ ცოდვილთა შორის იყო პირველი, უდიდესი და უარესი. ის თავს არ თვლიდა ღირსად, რომ მოციქული ყოფილიყო: "ვინაიდან უმცირესი (უწვრილმანესი, უკანასკნელი) ვარ მოციქულთა შორის და მოციქულად წოდების ღირსიც არა ვარ..." (1კორ. 15:9). და საკუთარი უღირსობის ეს შეგნება მთელ მის მსახურებას თან სდევდა. ის ეფესელებს წერდა: "მე, ყველა წმიდას შორის უმცირესს (ბერძნ. ἐλαχιστοτέρῳ (ელახისტოტერო): უმცირესზე მცირეს, ყველაზე პატარას), მომეცა ეს მადლი - მეხარებინა წარმართთათვის ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრე" (ეფეს. 3:8).

და როდესაც პავლე იძულებული იყო თავი დაეცვა "ცრუმოციქულთაგან", მოუწია ელაპარაკა იმ შრომაზე, რომელიც მან აღასრულა. ის შეძრწუნებით წერდა ამის შესახებ და ამას უგუნურებას უწოდებდა. დიახ, პავლე, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ადამიანი დედამიწაზე, რომლის მეშვეობითაც ქრისტემ დიადი შრომა გასწია, ნამდვილად თავმდაბალი კაცი იყო.

# 24 მარტი

## "მე არა, არამედ ღვთის სახელს"

ჩვენ არა, უფალო, ჩვენ არა, არამედ შენს სახელს მიაგე დიდება (ფსალმ. 113:9).

უდიდესი მადლია - ვაცნობიერებდეთ საკუთარ უღირსობას წმიდა ღმერთის წინაშე და ეს სულში გვქონდეს. სად დაისადგუროს სიამაყემ ასეთ სულში? ეს არის მასში ღვთის სუფევის ნიშანი, მასზე მისი ზეგავლენის მოწმობა. და ეს არ არის დამცირება, ეს ბუნებრივი და ამაღლებული მდგომარეობაა. გვახსოვდეს ჩვენი თავდაპირველი წარმოშობა, გვესმოდეს, რომ აბსოლუტურად და მუდმივად დამოკიდებული ვართ შემოქმედზე, ვაცნობიერებდეთ ჩვენს უსასრულო არარაობას ღმერთის გარეშე - ესაა კურთხეული მდგომარეობა, ჩვენი ერთადერთი უფლება სიცოცხლისა, უფლება და შესაძლებლობა, ვღებულობდეთ ღვთის საბოძვარს სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჩვენს სულში. ეს წმიდა მდგომარეობაა! გამოუთქმელი ნეტარებაა! ღვთის ფასდაუდებელი საჩუქარია!

1810 წელს, კიევში ყოფნისას, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა განდეგილ ვასიანთან, რომელიც იმ დროს თავისი სიწმინდით იყო ცნობილი, კაცი გაგზავნა იმის სათქმელად, რომ საღამოს რვა საათზე მასთან თავადი ვოლკონსკი აპირებს მისვლას. დანიშნულ დროს მოსალდნელი სტუმარი წყნარად შევიდა უსინათლო ბერის სენაკში და საუბარი დაუწყო. ვასიანი სტუმარს ეკითხებოდა პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე. "მადლობა უფალ ღმერთს, - თქვა განდეგილმა, - რომ ხელმწიფემ პატივი დასდო კიევსაც და მონასტერსაც თავისი მობრძანებით. მან გუშინ ლავრაში გაგვახარა თავისი ღვთისმოსაობითა და სათნოებით". "ის აქ არის", - თქვა მოსულმა. "კიევში?" - ჰკითხა ვასიანმა. "ის თქვენთანაა, - მიუგო ალექსანდრემ, - მაკურთხეთ! ჯერ კიდევ პეტერბურგში მოვისმინე თქვენს შესახებ და მოვედი თქვენთან სალაპარაკოდ". ვასიანს უნდოდა, მეფის ფერხთით დაეჩოქა, მაგრამ ალექსანდრემ არ გაუშვა, ხელზე ემთხვია და უთხრა: "თაყვანისცემა მხოლოდ ერთს ღმერთს ეკუთვნის. მე ადამიანი ვარ, როგორც სხვა ქრისტიანები - აღსარება ჩაიბარეთ ისევე, როგორც საერთოდ თქვენი სულიერი ძეებისგან იბარებთ". აღსარებისა და ხანგრძლივი საუბრის შემდეგ

ხელმწიფემ მოისურვა სცოდნოდა, თუ სხვებზე მეტად ვინ იმსახურებდა ყურადღებას ლავრაში. განდეგილმა დაასახელა მღვდელმონაზონის მოადგილე ანტონი. ალექსანდრემ მორჩილს უბრძანა, ანტონი მოეყვანა ვითომ თავად ვოლკონსკისთან, რომელიც მას ვასიანის სენაკში ელოდებოდა. ანტონი მოვიდა და მეფე რომ იცნო, უნდოდა სათანადო პატივი მიეგო, მაგრამ ალექსანდრემ შეაჩერა და უთხრა: "მაკურთხეთ როგორც მღვდელმა და ისე მომექეცით, როგორც უბრალო მლოცველს, რომელიც ამ სავანეში მოვიდა ხსნის გზების საძებნელად, რადგან ჩემი ყველა საქმე და მთელი დიდება მე კი არ მეკუთვნის, არამედ ღვთის სახელს, რომელმაც მასწავლა შევიცნო მისი დიდებულება (მ. შევლიაკოვი).

## 25 მარტი

### მომხიბლავი თავმდაბლობა

თქვენს თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ, ვიდრე უნდა ფიქრობდეთ, არამედ იფიქრეთ საღად, იმ რწმენის კვალობაზე, რაც ღმერთმა გიწილადათ თითოეულს (რომ. 12:3).

"როდესაც ტრეტიაკოვში ანუ რუსულ მუზეუმში უყურებ ათობით და ათობით სურათს, რეპინის ფუნჯით დახატულს, რეპინი გეჩვენება გოლიათი... და აი, ის დგას ჩემ წინ - იხსენებს კ. ჩუკოვსკი, - ტანმორჩილი, შავ, მოსასხამიან შინელში, უკეთია ძალიან ჩვეულებრივი, მოქსოვილი, სოფლური ცალთითა ხელთათმანები... მეტად სადა, თითქოს მორცხვიც კი, თითქოს არც კი იცის, რომ ის რეპინია... დაუჯერებელი ჩანდა, რომ ცნობილ მხატვარს, რომლის სახელიც მრავალი რუსი ადამიანისთვის იმ დროს გენიის სინონიმად იყო გადაქცეული, შეეძლო ასე ადვილად და თავისუფლად, ასეთი მომხიბლავი თავმდაბლობით ჩამოებერტყა მთელი დიდება და როგორც ტოლი ტოლთან, უბადრუკ სხვენზე ამოსულიყო პირტიტველა ლიტერატორთან, რომელსაც არავინ იცნობდა.

მე არცთუ იშვიათად ვხვდებოდი მას, ხან ფოსტაში, ხან საფუნთუშეში, ხან აფთიაქში, ხან საბაყლო საქონლის ფარდულში. და თუმცა რეპინი - იმავე სადა შინელში და იმავე

უბრალო ცალთითა ხელთათმანებში - ჩემს მისალმებას ყოველთვის თავისი ჩვეული ალერსით პასუხობდა, მე ისე ვიბნეოდი და მრცხვენოდა მის წინაშე, რომ ერთხელაც კი ვერ გავბედე, მასთან საუბარი დამეწყო. მე უცნაურადაც კი მეჩვენებოდა, რომ არც აფთიაქში, არც საფუნთუშეში არაფრით გამოირჩეოდა სხვა მყიდველთა ნაცრისფერი მასისგან. უზრდელობად მეჩვენებოდა, რომ როდესაც რეპინი ქუჩაში მიდის, არავინ მოხედავს მას, არც უკან გაედევნება: ესალმება და გვერდით ჩაუვლის. ეს დაუჯერებელი თავმდაბლობაა. მისი უბრალოება ისახებოდა მაშინ ყოველ ნაბიჯზე. არ მახსოვს შემთხვევა, რომ მას, როცა ვინმეს ელაპარაკებოდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თუნდ სიტყვით, თუნდ ხმის ინტონაციით გამოეჩინა თავისი აღმატება. ხალხში ის მუდამ შეუმჩნეველი იყო.

თავის ოთახს თვითონ ალაგებდა, თვითონ, როგორც შეეძლო, ანთებდა ღუმელს, თვითონ წმენდდა პალიტრას. სძულდა, როცა ვინმე ცდილობდა, რამე ეამებინა და ვაი იმას, ვინც პალტოს მიაწოდებდა! და საერთოდ, სიტყვა "მე" მის ლექსიკონში ძალიან იშვიათი იყო. მისი თავაზიანობა ყველასთან მიმართებაში ხშირად გადამეტებული ჩანდა და პირველ ხანებში ძალიან მეუხერხულებოდა ეს. შესანიშნავია, რომ ის იყო ასეთი სათუთი, მშვიდად დამთმობი, პატივისმცემელი" ("სოვრემენნიკი").

უნებურად დაფიქრდები: "ამ საუკუნის ძეები" რატომ იჩენენ ისეთ საოცარ თვისებებს, რომლებიც უფალს ახასიათებს? ნუთუ ეს აღზრდის შედეგია? შეუძლებელია ჩვენი შეცვლა ღვთის ხატად მისი მთავარი მონაწილეობის გარეშე!

## 26 მარტი

### სიკეთის ფანატიკოსი

არავინ დაძრახონ, იყვნენ მშვიდობისმოყვარენი, შემწყნარენი, იჩენდნენ სიმშვიდეს ადამიანის მიმართ (ტიტ. 3:2).

რუსეთში ცხოვრობდა უჩვეულო ადამიანი თეოდორ პეტროვიჩ გააზი. მისი სახელი ბევრისთვის უცნობია. მაგრამ მისი აფორიზმი "იჩქარეთ სიკეთის კეთება" აშკარად,

ძალიან ბევრმა იცის. გააზი წარმოშობით გერმანიიდან იყო, მაგრამ თავადი რეპნინის მოწვევით მოსკოვში გადავიდა. ის პროფესიით ექიმი იყო, და მალე ფართოდ ცნობილი კაცი გახდა. ის უსასყიდლოდ მკურნალობდა თვალის დაავადებებს. 1830 წელს ის მიიწვიეს ციხეების მოსკოვის სამეურვეო კომიტეტის მდივნის ადგილზე, მოგვიანებით კი - მოსკოვის ციხეების საავადმყოფოთა მთავარ ექიმად. ამ დროიდან გააზმა თავი მთლიანად მიუძღვნა პატიმართა მსახურებას: მან გაყიდა სახლი მოსკოვში, მამული მოსკოვის სიახლოვეს, მაუდის ფაბრიკა და მთელი თანხა შესწირა ღარიბთა და უბედურთა მსახურების საქმეს. ის იყო არა მარტო თავდადებული ადამიანი, არამედ ასევე თავმდაბალი და მშვიდი კაციც, და ეს დასტურდება აღტაცების ღირსი მისი საქციელებით.

მხოლოდ გააზის მცდელობის წყალობით იქნა ჩამოყალიბებული 150 ადგილიანი "პოლიციური საავადმყოფო უსახლკაროებისთვის", რომელსაც მოსკოველმა მადლიერმა უბრალო ხალხმა შეარქვა "გაზისა". ის გარემონტდა თავად გააზის მწირი ხელფასით და მის მიერ მეურვეებისგან ნაშოვნი შემოწირულებებით. გააზის მტრები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ საავადმყოფო დახურულიყო. და მიზეზიც იპოვეს: უსახლკარო ავადმყოფების რიცხვი იზრდებოდა, გააზს მათ მიღებაზე უარის თქმა არ შეეძლო, და მალე ავადმყოფთა რაოდენობა თითქმის ორმაგი გახდა. მათი შესანახი ხარჯებიც გაიზარდა. გამუდმებული საჩივრებით შეწუხებულმა თავადმა შჩერბაკოვმა გააზი თავისთან გამოიძახა, საყვედურებით აავსო და ავადმყოფთა რიცხვის ნორმამდე შემცირება მოსთხოვა. მოხუცი თავჩაქინდრული დუმდა.. მაგრამ როცა გაისმა კატეგორიული ბრძანება "არ გაბედო!" ახალი ავადმყოფების მიღება, სანამ მათი რიცხვი ასორმოცდაათზე ნაკლები არ გახდება, გააზი მუხლებზე დაემხო და ხმაამოუღებლად მწარე ცრემლით ატირდა. თავადმა შჩერბაკოვმა დაინახა, რომ მისი მოთხოვნა აღემატება მოხუცის ძალებს, თვითონაც გული აუჩუყდა და მივარდა, რომ წამოეყენებინა. ავადმყოფებზე აღარაფერი თქმულა გააზის სიკვდილამდე. გააზმა ცრემლებით მიიღო ავადმყოფთა შეუზღუდავი რაოდენობით მიღების უფლება (ა. ფ. კონი).

აი, უბედური უსახლკარო ავადმყოფების მიმართ მსახურების ასეთი თავმდაბლური მსახურების სული ჰქონდა ამ "უტრირებულ ფილანტროპს", "სიკეთის ფანატიკოსს". განა ასეთ ადამიანებს არ ეტყვის ერთხელაც უფალი: "მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი"? (მათ. 25:34).

## 27 მარტი

### "მე არ ავდგები..."

თითქოს ჩემი მეგობარი ყოფილიყო, ჩემი ძმა, ისე დავდიოდი სევდიანი, დედას რომ დასტირის კაცი, ისე დავმდაბლდი მგლოვიარობაში (ფსალმ. 34: 14).

ფეოდორ პეტროვიჩ გააზი, მოსკოვის ციხეების საავადმყოფოთა მთავარი ექიმი, საოცარი გულმოწყალებით, თავგამოდებითა და თავმდაბლობით უძღვნიდა მთელ თავის სულს პატიმართა მსახურებას. როცა გაიგო, თუ როგორ ეპყრობოდნენ ტუსაღებს, გააზი აღშფოთდა - ის შეძრწუნებული იყო, რომ მათ ფეხით გზავნიდნენ ციმბირში კატორღაში, ფეხებზე ბორკილებით, ჯაჭვებით და ერთმანეთზე წნელით გადაბმულებს. და მან ბრძოლა დაუწყო ამ ბარბაროსობას. მან ბრძანა, მისთვის ბორკილები დაედოთ და თავის საცხოვრებელ ოთახში დაიწყო წინ და უკან სიარული, თან თვლიდა ნაბიჯებს, მანძილს, პირველი საეტაპო გადასვლის ტოლს, რათა სცოდნოდა, როგორი იყო მათთვის, პატიმართათავის, ბორკილებით სვლა. და გააზმა უდიდესი შრომით მიაღწია: თუმცა წნელი და ბორკილები არ გაუქმდა, მაგრამ მათ კონსტრუქციაში ცვლილებები იქნა შეტანილი, რითაც შერბილდა ადამიანთა ტანჯვა. გააზს კიდევ უფრო შოკში აგდებდა ის, თუ როგორ ექცეოდნენ ავადმყოფ პატიმრებს: ტუსაღებს პრაქტიკულად არავითარ სამედიცინო დახმარებას არ უწევდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ მათ დაიმსახურეს ასეთი ცხოვრება. გააზმა მოიპოვა უფლება, გაესინჯა ყველა პატიმარი, და მისი გადაწყვეტილებით, ავადმყოფები გადაიყვანეს მის საავადმყოფოებში. და გააზი აქაც შეეჯახა ჩინოვნიკების მოღალადე გულქვაობასა და გააფთრებულ

წინააღმდეგობას. ისინი მას ადანაშაულებდნენ, რომ იტოვებდა ავადმყოფ ბოროტმოქმედებს, რომლებიც მას ატყუებდნენ, და საერთოდ, რომ მთელი მისი ზრუნვა პატივმოყვარეობა და ინსტიქტური სიკეთე იყო. გააზი მოთმინებით იტანდა მთელ ამ ბრალდებებს.

ერთხელ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მოსკოვის საპატიმროს ციხე-სიმაგრე მოინახულა. გააზის მტრები ახლაც შეეცადნენ: მათ მეფეს მოხსენეს, რომ მან დაიტოვა ერთი პატიმარი, რომელსაც ციმბირში გაგზავნა აქვს მისჯილი, და დიდი ხნით აყოვნებს მის გამგზავრებას. "რას ნიშნავს ეს?" - ჰკითხა ხელმწიფემ გააზს, რომელსაც პირადად იცნობდა. პასუხის ნაცვლად გააზი მუხლებზე დაემხო. საფიქრებელი იყო, რომ ამით ითხოვდა პატიებას რეჟიმის დარღვევის გამო. მეფემ უთხრა: "კმარა! არ ვბრაზდები, ფეოდორ პეტროვიჩ, ეს ხომ შენ ხარ - ადექი!" - "არ ავდგები!" გადაჭრით მიუგო გააზმა. - "გეუბნები, არ ვბრაზობ... რაღა გინდა?" - "ხელმწიფევ, შეიწყალეთ მოხუცი, ცოტა ხნის სიცოცხლეღა დარჩა... მას ძალიან გაუძნელდება ციმბირში წასვლა. შეიწყალეთ ის! არ ავდგები, სანამ არ შეიწყალებთ მას..." ხელმწიფე ჩაფიქრდა... "შენს სინდისზე იყოს, ფეოდორ პეტროვიჩ!" - უთხრა მან ბოლოს და წარმოთქვა შეწყალება. მაშინ, ბედნიერი და აღელვებული, გააზი წამოდგა (ა. ფ. კონი).

სწორედ ასე უნდა ემსახურებოდნენ ახლობლებს ღვთის ჭეშმარიტი შვილები - თავმდაბლურად და თავდადებულად.

## 28 მარტი

### "ის უნდა იზრდებოდეს"

როგორ შეგიძლიათ ირწმუნოთ, როცა ერთიმეორისაგან ღებულობთ დიდებას, ხოლო დიდებას ერთადერთი ღვთისგან არ ეძებთ? (იოან. 5:44).

იოანე ნათლისმცემელი არის ზეცის წარმომადგენელი და ღვთის გამოგზავნილი, რომელსაც დაეკისრა უდიდესი ისტორიული მისია: მოემზადებინა ნიადაგი უფლის მომავალი კეთილი უწყების მისაღებად. და როდესაც იოანეს მოწაფეებმა დაინახეს

ქრისტესი და მისი მოციქულების მახარებლობის ხილული წარმატება, ეჭვი შეეპარათ თავიანთ მოძღვარში, მივიდნენ მასთან და შეწუხებულებმა ჰკითხეს: "რაბი, ის, ვინც შენთან იყო იორდანეს გაღმა და ვისზეც შენ მოწმობდი, აჰა, ის ნათლავს და ყველანი მასთან მიდიან" (იოან. 3:26). იოანემ მიუგო: "ის სიძეა, ხოლო მე სიძის მეგობარი, რომელიც დგას და უსმენს, სიხარულით ხარობს სიძის ხმაზე. ეს ჩემი სიხარული უკვე აღსრულდა. ის უნდა იზრდებოდეს, მე კი ვმცირდებოდე" (იოან. 3:29,30). აი, სული, რომელიც მეფობს ზეციურ სავანეებში - სული ღმერთისადმი თავმდაბლური მსახურებისა და მისი ნებისადმი მორჩილებისა, სული, რომელიც განადიდებს ღმერთს და არა ადამიანს!

დედამიწაზე მეფობს სრულიად სხვა სული - სული პატივმოყვარეობისა და სახელის მაძიებლობისა, სული საკუთარი "მე"-ს განდიდებისა და ამაღლებისა. იულიუს კეისრის პატივმოყვარეობა იმდენად დიდი იყო, რომ ერთხელ ატირდა, როცა ალექსანდრე დიდის ქანდაკებასთან იდგა და ფიქრობდა იმაზე, თუ ოცდაათი წლის ასაკში რამდენად მეტი დიდება ჰქონდა ალექსანდეს, ვიდრე მას, უკვე თავის პატივსაცემ ასაკში. არისტოტელე დიდებას პირველ ადგილს აკუთვნებდა დანარჩენ გარეგნულ სიკეთეებს შორის.

ეპიკურე ამბობდა: "მე ავირჩევდი, უხვად მომემკო ჩემი წილი დიდება ხალხისგან".

ეფესოს მცხოვრებმა ჰეროსტრატემ, აღელვებულმა დაუოკებელი ვნებით, რომ ნებისმიერ ფასად გაეთქვა და უკვდავეყო თავისი სახელი, გადაწვა ცნობილი მცირეაზიური ქალაქების სიწმინდე, ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი შვიდი საოცრებათაგანი - ეფესოს არტემიდას ტაძარი. ჰიპოკრატემ, ცნობილმა ძველბერძენმა ექიმმა, რომლის სიბრძნეზეც ამბობდნენ: "რაც ჰიპოკრატემ თქვა, ის ღმერთმა თქვა", და რომელიც კნიდოსის ტაძრის მცველი იყო, დაწვა ტაძრის ბიბლიოთეკა მთელი არქივითა და ჩანაწერებით, რათა თვითონ შერჩენოდა მეცნიერული აღმოჩენების დიდება (ვ. ჩერნიაკი).

იოანე ნათლისმცემლისთვის უაღრესად უცხო იყო მიწიერი დიდებისკენ სწრაფვა. ის არ ეძებდა დიდებას, არ ზრუნავდა თავისი სახელის განდიდებაზე: დადიოდა უკიდურესად უბრალოდ და ცხოვრობდა უკიდურესად სადად. სწორედ ასეთები უნდა

იყვნენ ღვთის ძეები და ასულები, ვინაიდან ასე ცხოვრობდა მათი უფალი დედამიწაზე. იოანე იყო თავმდაბალი ადამიანი, მას ჰქონდა სული თავისი უფლისა, რომელიც იყო "მშვიდი და თავმდაბალი".

## 29 მარტი

### თავმდაბლობის უკმარისობა

პირი ბოროტისა და პირი მზაკვრისა გაიხსნა ჩემს წინააღმდეგ. მელაპარაკებიან ცბიერი ენით (ფსალმ. 108:2).

თავმდაბლობა ვერ დაუშვებს ასეთ სისაძაგლეს - მოყვასის ღირსების დამცირებას. ამის უნარი აქვთ მხოლოდ მათ, ვისაც საკუთარ თავზე შეყვარებული ბუნება გააჩნია. სხვების ნებისმიერი წარმატებები, ბრწყინვალე ნიჭის ნებისმიერი გამოვლინება, ნებისმიერი სასიკეთო გამოხმაურება სხვების ქრისტიანული ცხოვრების შესახებ მათში იწვევს მწვავე შურს და ჩაუქრობელ წყენას, რომელიც ღამით მშვიდი ძილის საშუალებას არ აძლევს და ბადებს არაკეთილ გამოხტომებსა და გულღვარძლიან კრიტიკას.

რატომ იყო კაენი "ნაწყენი და სახემოღუშული"? (იხ. დაბ. 4:6). იმიტომ ხომ არა, რომ მისი ძმის მსხვერპლი უფალმა კეთილგანწყობით მიიღო, მისი მსხვერპლი კი არ მიიღო? და როგორ შედეგებამდე მიიყვანა ამან? კაენმა მოკლა ძმა - საშინელებაა!

რატომ "ემდუროდნენ" იოსებს ძმები? რატომ ჰქონდათ ასეთი კაცთმოძულე რეაქცია სიზმარზე, რომელიც იოსებმა უამბო? «და უთხრეს მას მისმა ძმებმა: "ჩვენი მეფე გინდა გახდე და ჩვენზე იბატონო?"» (დაბ. 37:8). იმიტომ ხომ არ განაწყენდნენ, რომ უფალმა უბოძა განსაკუთრებული გამოცხადებები, ხოლო მათგან არავის მიეცა ასეთი რამ? და რით დამთავრდა მათი წყენა და შური? მათ გადაწყვიტეს მოეკლათ თავიანთი ძმა, თან გესლიანად ამბობდნენ: "ვნახოთ, რა იყო მისი სიზმრები". ეს დაცინვა კი უკვე იყო არა იოსების, არამედ ღმერთის მიმართ, რომელმაც გამოუგზავნა მას ეს სიზმრები!

სწორადაა ნათქვამი ბიბლიაში, "რომ ყოველგვარი შრომა და ყოველგვარი წარმატება საქმეში კაცის ქიშპობაა მისი მოყვასის მიმართ" (ეკლ. 4:4).

ჩუკოვსკიმ თავის დღიურში ჩაწერა: "გორკის მეხსიერება მის გონებრივ უნარებში ყველაზე მაღალია. განსჯის უნარი მცირე აქვს, მეცნიერული განზოგადების უნარი - უფრო ნაკლები, ვიდრე ყოველ თოთხმეტი წლის ბიჭს". გუმილიოვი თვლიდა, რომ მაიკოვი უნიჭო პოეტი იყო. გიპიუსი წამლავდა ბელოვს. ბუნინი ყველას ჩირქს სცხებდა. ერენბურგს ცინიკოსს ეძახდნენ. ტურგენევი მხურვალედ უმტკიცებდა ნეკრასოვს, რომ ფეტმა ერთი ლექსის სტროფში გამოავლინა თავისი ხბოს ტვინი.

გალილეი კოპერნიკის თვალსაზრისზე ამბობდა: "დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალი სისტემა (ჰელიოცენტრისტული - ავტ. შენიშვნა) - წმინდა წყლის სისულელეა". რეზერფორდმა კითხვაზე, თუ რას ფიქრობს აინშტაინის ფარდობითობის თეორიის შესახებ, უპასუხა: "აჰ, ეს არაფერია".

ყველა ეს ზემოთ აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ მსგავსი რამ ხდება ადამიანებში თავმდაბლობის უქონლობის ან ნაკლებობის გამო.

## 30 მარტი

### უხრწნელი სილამაზე

პირს ხსნის იგი სიბრძნით და წყალობის რჯულია მის ენაზე (იგავ. 31:26).

თავის ეპისტოლეში პეტრე მოციქული შეეხო ქმრებისა და ცოლების ურთიერთობის საკითხს, იმას, თუ როგორი ხასიათის თვისებებს უნდა ფლობდნენ ისინი და ავლენდნენ ოჯახში, რათა ეს იყოს კურთხეული ქრისტიანული ოჯახი. მოციქული იმეორებს ფუძემდებლურ ქრისტესმიერ ჭეშმარიტებას სულის პრიორიტეტის შესახებ სხეულთან შედარებით და შინაგანისა - გარეგანთან შედარებით. "ვინაიდან სული საზრდოზე მეტია და სხეული - სამოსელზე" (ლუკ. 12:23). ცოლებს რომ მიმართავს, პეტრე აქცენტს აკეთებს ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე გარეგნულის საპირისპიროდ: "თქვენი მშვენება ნუ იქნება გარეგნობა: თმის ნაწნავები, ოქროს სამკაულები ან ჩაცმულობა,

არამედ გულის დაფარული კაცი უხრწნელ მყუდროებაში და სულის სიმშვიდეში, რაც ძვირფასია ღვთის წინაშე" (1პეტრ. 3:3,4).

ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ქრისტიანები უნდა ზრუნავდნენ თავიანთ გარეგნულ სახეზე. დაუშვებელია სრული გულგრილობის გამოჩენა და უგულისყურო დამოკიდებულება იმის მიმართ, თუ როგორ ტანსაცმელს ან ფეხსაცმელს ვატარებთ ან როგორ ვარცხნილობას ვირჩევთ. მაგრამ გარეგნულ სახეზე ზრუნვის კულტად გადაქცევა, ჩაცმა უკანასკნელი მოდის მიხედვით, ეს უკვე კერპთაყვანისმცემლობაში გადავარდნაა. პეტრე მოციქული სწორედ ქალებს აფრთხილებდა, რომ მათ გარეგნულ სახეზე ზრუნვაში არ მიებაძათ იმ დროის მოდისთვის. მან შესაბამისი ფასეულობები ზეციური პრინციპების თანახმად დააყენა თავის ადგილებზე. ყველაზე მთავარი არის ადამიანის შინაგანი სახე, სულის ზნეობრივი მდგომარეობა და ხასიათი, რომელიც მას უყალიბდება სულიწმიდასთან თანამშრომლობით. და ამ თვალსაზრისით მოციქული ყურადღებას ამახვილებს ხასიათის ერთ მხარეზე, რომელიც ქალებს უნდა ჰქონდეთ, ავითარებდნენ და ავლენდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც უმნიშვნელოვანეს პირობას იმისა, რომ ისინი არ დარჩებიან "უქმად და უნაყოფოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ცოდნაში" (2პეტრ. 1:8). და ხასიათის ეს თვისება არის თავმდაბლობა ანუ მოციქულების მიერ ნახსენები სინონიმები თავმდაბლობისა: πραέως (პრაუს) - მშვიდი, ლმობიერი, ალერსიანი და ἡσύχιος (ესიუხიოს) - უშფოთველი, მდუმარე, წყნარი.

ძნელია წარმოიდგინო ქალი-დედა ხასიათის ამ თვისებების გარეშე. და აქ მართებულია გავიხსენოთ მოსეს ცოლი ციფორა, რომლის გამოც ბუზღუნებდნენ აარონი და მირიამი მოსეზე. ამ დროს კი ის შესანიშნავი ქალი იყო. აი, როგორ დაახასიათა **წინასწარმეტყველების სულმა** ციფორა: "თუმცა ის ებრაელი არ იყო, მაგრამ ჭეშმარიტ ღმერთს სცემდა თაყვანს. მასში უხვად იყო თავმოყრილი სინაზე და კდემამოსილება, ადამიანისადმი სიყვარული და თანაგრძნობა" (პატრიარქები და წინასწარმეტყველები, გვ. 235).

# 31 მარტი

## დიდია უფალი!

გაიხაროს და გამხიარულდეს ყველა, ვინც შენ გეძებს: შენი შველის მოყვარულებმა მუდამ თქვან: "დიდია უფალი!" (ფსალმ. 39:17).

უფალმა თქვა: "მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ" (მათ. 11:29). რაში გამოვლინდა მისი ეს თვისებები: სიმშვიდე, თავმდაბლობა, ლმობიერება? როდესაც ვიწყებთ ფიქრს იმაზე, თუ როგორ განხორციელდა უფლის განკაცება, აუცილებლად მივალთ დასკვნამდე: ეს ჩაუწვდომელი საიდუმლოა. ღმერთს იმედი აქვს, რომ ჩვენ შევურიგდებით იმას, რომ განკაცება შეუცნობელი და მარადიული საიდუმლოა: ჩვენ ვერასოდეს ავწევთ უკიდეგანო სამყაროს სიდიდის ამ ქვის ლოდს. მაგრამ აქ კიდევ არის მეორე მხარე ამ ღვთიური უპრეცენდენტო აქტისა: როგორ შეეძლო უფალს გადაედგა ეს სწორუპოვარი და უნიკალური ნაბიჯი, როგორიცაა დამცირებისა და თავისი ღვთიური არსისგან დაცარიელების აქტი?

სწორედ აქ გამოვლინდა ქრისტეს სიყვარულის თვისება - თავმდაბლობა. ის მზად იყო, წასულიყო ნებისმიერ დამცირებაზე და ღვთიურობისგან დაცარიელებაზე თავისი ქმნილებების გულისთვის დედამიწაზეც და მთელ სამყაროშიც. აქ ის ანგარიშს არ უწევდა თავის თავს - ეს უბრალოდ არ ახასიათებს მის უსაზღვრო სიყვარულს, მის ხასიათში იოტისოდენა თავისმოყვარეობაც კი არ არის. იესო დათანხმდა ამ აქტს, რადგან დედამიწაზე ყველა ადამიანისა და სამყაროში ყველა ზეცის მკვიდრის ბედი მის ხელთ იყო: ან ცოდვა დაიწყებდა ნგრევას ყველაფრისა, რაც ღმერთმა შექმნა, ან ამ ნგრევისგან ის დაიცავდა თავისი დამცირების, წამოცარიელების, ტანჯვისა და ჯვარზე მიღებული სასტიკი სასჯელის ფასად.

როდესაც ამ ფაქტზე ფიქრობ, გეუფლება გრძნობა, თუ ზეციური ნათლის სხივები როგორ აღწევენ შენს გულში და ანათებენ მას ღვთის უსასრულო სიყვარულის გამოცხადებით. და როცა იცი, რომ ეს სიყვარული ვრცელდება შენზეც, ცოდვილზეც, მაშინ რა შეიძლება გაჩნდეს შენს სულში? მოწიწება? დიახ, მუდმივი მოკრძალება და წმინდა თრთოლვა ღვთიური ღირსების შეცნობის გამო! როგორ, რანაირად და

რომელი გზით გამოხატო მოწიწება და თრთოლვა ღმერთის წინაშე? პირქვე დაემხო და მადლობა გადაუხადო? დიახ! მადლიერება გამოხატო და თაყვანი სცე მას? დიახ! აღტაცებაში, აღფრთოვანებაში მოხვიდე და იყვირო მისი სიყვარულით მოხიბლულმა და გახარებულმა? დიახ! არ არის არც ძალა, არც გონება, რომ გამოხატო გრძნობები, რომლებიც მთელ არსებას განმსჭვალავს იმის შეგნების გამო, თუ როგორი უსაზღვროა საოცარი ღმერთი, შემოქმედი და მმართველი სამყაროსი, რა უსასრულოდ დიადია მისი სიყვარული თავისი ქმნილებებისადმი!